# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 27 ნოემბერი 2001 №226 (1499) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათების გადანაცვლებით საქართველო არ იცვლება

**აქამდე** ყველაფერი ერთი სცენარით ვითარდებოდა: ჯერ კალათის ამბავი გვაინტერესებდა, მერე ჩვენთვის სასურველი კალენდრის შედგენას ვლამობდით, მიზნად მეორე ადგილზე ანუ პლეი ოფში მოხვედრას ვისახავდით, მაგრამ პირველი (მეორე ან ჰა, ჰა, მესამე) მატჩის შემდეგ ხელს ვიქნევდით. ასე იყო ევროპის 1996 და 2000 წლების ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე, ასე ხდებოდა 1998 და 2002 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზეც — საფეხბურთო დღესასწაულზე მოხვედრა საქართველოს ნაკრებმა ერთხელაც ვერ შეძლო. თქვენთვის კარი იკეტებაო, სულ ბოლოს ამ შემოდგომაზე მოვისმინეთ.

და აი, შემდეგი გაჩერება: პორტუგალია, რომელსაც უეფამ 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობა მიანდო. ზუსტად ორ თვეში პორტუს „ევროპარკ კონგრეს სენტრში“ შესარჩევ ჯგუფებს დაალაგებენ ანუ 25 იანვარს სხვებთან ერთად ჩვენი ნაკრების მეტოქეებიც გამოვლინდებიან.

ჰოდა, ისევ დაიწყო. პირველი, ცხადია, კალათის ამბავი იყო გასარკვევი. პარასკევს გამოცხადდა, რომ საქართველო, ბოლო ორი ტურნირის (ევრო 2000 და ახლახან დამთავრებული შესარჩევი) შედეგების შესაბამისად, მეოთხე კალათშია განთესილი. ეს ამბავი, ერთი მხრივ, ვითომ პროგრესის მაჩვენებელია, რადგან წინა შესარჩევში მთლად მეხუთედან გაგვანაწილეს (ლიტვა მეხამედან იყო, უნგრეთი — მეოთხედან), მაგრამ მაშინ სულ 6 კალათა გახლდათ, ახლა კი უეფამ თავისი წევრები ხუთში გაანაწილა (თითოში 10 გუნდი). ასე რომ, მაინც ბოლოსწინები ვართ.

უეფას ამ გადაწყვეტილებით, ამჯერად არა 9, არამედ 10 შესარჩევი ჯგუფი შეიქმნება, ანუ ყველა ჯგუფში 5-5 გუნდი იქნება. აქვე გეტყვით, რომ ათი გამარჯვებული, ტრადიციისამებრ, პირდაპირ წავა პორტუგალიაში, ათი მეორეადგილოსანი კი პლეი ოფში კიდევ ხუთი ფინალისტის ვინაობას გაარკვევს, ამ 15-ს მასპინძელიც დაემატება და ფინალური ეტაპიც გახურდება.

გავალთ, არ გავალთ — საფიქრალი ახლაც ეს არის. ჯერჯერობით კი დანამდვილებით იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენი ნაკრები შესარჩევში არ შეხვდება იგივე მეოთხე კალათში განაწილებულ 9 გუნდს: კვიპროსს, ბოსნიას, ბელარუსს, უელსს, ესტონეთს, ლატვიას (გადავრჩით!), ჩრდილოეთ ირლანდიას, მაკედონიასა და ლიტვას.

**გიგა ძოგახიძე**

## განთესილნი

### I კალათა

საფრანგეთი, შვედეთი, ესპანეთი, ჩეხეთი, გერმანია, ირლანდია, რუმინეთი, იტალია, ბელგია, თურქეთი

### II კალათა

რუსეთი, ხორვატია, დანია, ჰოლანდია, იუგოსლავია, პოლონეთი, ინგლისი, სლოვენია, უკრაინა, შოტლანდია

### III კალათა

ავსტრია, ნორვეგია, სლოვაკეთი, ისრაელი, შვეიცარია, ისლანდია, ბულგარეთი, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი

### IV კალათა

კვიპროსი, ბოსნია, ბელარუსი, უელსი, ესტონეთი, ლატვია, ჩრდილოეთ ირლანდია, საქართველო, მაკედონია, ლიტვა

### V კალათა

სომხეთი, მოლდოვა, ალბანეთი, ფარერები, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი, სან მარინო, მალტა, ლუქსემბურგი, ანდორა

## ერთი და პოღოსიანის



საქართველო საჭიდაო მარაქას მსოფლიოს ჩემპიონატის ერთადერთი, ისიც ბრინჯაოს მედლით შერჩა. სოფიაში გამართული თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს პირველობა 27 წლის გორელმა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა დავით პოღოსიანმა მესამე საპრიზო ადგილით დაასრულა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი



## ხრიკი ზანგური: მივედ, ვთხლიშე, დავაბრალე!

**შოთა არველაძის** „რეინჯერსი“ შოტლანდიურ პრემიერლიგაში მეორედ, ამჯერად სტუმრად დამარცხდა თანაქალაქელ „სელტიკთან“. „ჩაფართა“ მცველ მაიკლ ბოლსა და მენეჯერ დიკ ადვოკაატს შორის მომხდარი ინციდენტი ბრიტანულმა პრესამ ყბად კი იღო, თუმც „დეილი რეკორდი“ ჩვენებურსაც გადასწვდა, აქაოდა, შოთა არველაძემ გოლის გატანა ვერ შეძლო და ამით გახელებულმა „სელტიკის“ ზორბა ზანგ ბობო ბალდეს რასისტული ფრაზები უძღვნაო. ყოველივე ეს, ცხადია, მძიმე ბრალდებაა და ჩვენც გუშინ გლაზგოში შევეხმიანეთ შოთა არველაძეს და ზოგადად მატჩზეც დავეკითხეთ.

**— პირველი ტაიმი „რეინჯერსის“ უპირატესობით წარიმართა, მეორეში კი დათმეთ პოზიციები და საბოლოოდ დამარცხდით კიდეც.**

— პირველ ტაიმში მართლაც ვფლობდით უპირატესობას, მაგრამ სამი საგოლე მომენტი გავაცუდეთ. მეორეში კი შემთხვევითი, ალოგიკური ბურთი გავუშვით რიკოშეტით და ამან გარდატეხა შეიტანა თამაშში.

**— დიკ ადვოკაატმა 64-ე წუთზე შეგცვალა...**

— პირველ ტაიმში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვიყავი და რატომ შემცვალა ადვოკაატმა, ვერ გავიგე. გულდასაწყვეტია ისიც, რომ „რეინჯერსმა“ ეს მატჩი წააგო — ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჩვენთვის ახლა ერთობ გართულდება.

**— „დეილი რეკორდმა“ რასიზმში დაგადანაშაულა, ამაზე რას იტყვი?**

— ეს ტყუილია. ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო, ბობო ბალდესთვის ხმა არ გამიცია, ისე ჩამარტყა სახეში ხელი.

**— უფრო დაწვრილებით, რა და როგორ მოხდა?**

— ბურთი მივიღე, მოვტრიალდი და თანაგუნდელს გადავაწოდე, ბალდე კი გამოქანდა და სახეში მითავაზა. მე დავეცი და სამედიცინო დახმარებისთვის მოედნიდან გამიყვანეს. ვინც ამ მატჩის ტელეტრანსლაციას უყურა, ყველამ მითხრა, ინციდენტი სრულად იყო დაფიქსირებული, ყველაფერი ნათლად ჩანდა და ბალდეს დისკვალიფიკაცია არ უნდა ასცდესო. ასე რომ, ჩემი რასიზმში დადანაშაულება თავის მართლების საშუალებად სურთ გამოიყენონ, თორემ ზანგებს რას ვერჩი?! „აიაქსში“ რომ ვთამაშობდი, ყველა ზანგი ჩემი ძმაკაცი იყო.

**დავით თავართქილაძე**

## სადა ზანაოზთ?!

მეცამეტე ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპს ბოლო ტურიღა დარჩა ჩასამთავრებელი.

ბოლოსწინა ტურმა კი ერთბაშად დააგროვა რამდენიმე ხმაურიანი მოვლენა.

მიხეილ აშვეთიას „კოპენჰაგენში“ გადასვლის შემდეგ საქართველოში ხეირიანი თავდამსხმელი აღარ დარჩაო. ასეთი შეფასება სხვებმა კი იუკადრისეს, მაგრამ პირველ ექვს ტურში აშვეთიას დაწესებულ 8-გოლიან ზღვარს ორნახევარი თვის შემდეგ, ამ უქმეებზელა გადააბიჯეს. თანაც ეს ერთბაშად ორმა შეძლო, „კოლხეთის“ ბომბარდირმა ჰამლეტ ნივნივაძემ (10 გოლი) და „მერანის“ გოლეადორმა სულიკო დავითაშვილმა (9) . ორივეს გუნდმა იხეირა, ფოთელებმა რუსთავში „გორდას“ 2:1 სძლიეს, ავჭალელებმა კი მცხეთაში სამკაცნაკლულ „ვიტ ჯორჯიას“ 4:1-ით დაუცხრეს „დინამოსთან“ წინა კვირაში საგარეო 5:2-ით მოგვრილი თვითკმაყოფილების გრძნობა.

ბათუმის „დინამომ“ პაატა მაჭუტაძის გოლით შავ ზღვაში აბანავა ქუთაისის „ტორპედო“, ამასწინათ კიდევ ერთ ზღვისპირელთან, ფოთის „კოლხეთთან“ რომ დამარცხდა, თუმც ისევ ცხრილის ზედაპირზე ტივტივებს — ზეექვსეულში დასავლური გუნდების შესვლა უფრო გვაწყობსო, ასე განმარტა ამასწინათ „ტორპედოს“ ბოლოდროინდელი ნარუმატებლობანი რევაზ ძოძუაშვილმა.

ცხადია, ასევე ვერ შეთანხმდნენ და უგოლოდ გაიყარნენ „დინამო“ და „ლოკომოტივი“. აქაც იყო მსაჯთან პრეტენზიები, მაგრამ მონაგონი იმასთან, რაც ზესტაფონში მოხდა.

იმერეთში მსაჯები ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდნენ, ჩაეთვალათ თუ არა თამაშგარედან დარტყმული თუ კარის ხაზის გადამკვეთი ბურთი, ჯარიმა დაენიშნათ ხელით თამაშისას თუ თავისუფალი დარტყმა, დაემატებინათ თუ არა მატჩისთვის შეცვლებისა თუ შეწყვეტისთვის ნასამატებელი წუთები.

ყოველივე ამის შემდეგ კითხვა, რომელიც სათაურშია, ცხადია, ყოვლად ლოგიკურია.

იხილეთ მეორე, მესამე, მეოთხე გვერდები



ვიტ ჯორჯია — მერანი. არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა სამი ვიტელი გააწითლა

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი ჩემპიონატი ეტაპი 13

# 17 ტური

# ნოდიას გატანილი ცხადაძემ გამოიტანა

## დინამომ ლოკომოტივი ჩემპიონს არ დააწია

კობა ინასარიძე

„ლოკომოტივმა" კიდევ ერთი შანსი დაკარგა იმისა, რომ მეორე ეტაპის დაწყებამდე ლიდერ „ტორპედოს" გვერდში ამოსდგომოდა. მაშინ, როცა ჩემპიონი ბათუმში აგებდა, რკინიგზელები ბევრს ცდილობდნენ, კვირით ადრე „ვიტ ჯორჯიასთან" შერცხვენილი „დინამო" ზედიზედ მეორედ დაემარცხებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მატჩი სტუმართა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, დისკვალიფიცირებული კახა ცხადაძის შეგირდებს საგოლე მომენტებიც საკმაოდ ჰქონდათ, თუმც დაცვაზე აქცენტირებულ მასპინძლებს მაინც ვერ გაუტანეს.

მატჩამდე „დინამოს" მწვრთნელი გივი ნოდია და „ლოკომოტივის" თავკაციც ფრთხილობდნენ, ერთურთის ძალას აფასებდნენ და თამაშიც მწვრთნელთა ნათქვამის შესაფერისი გამოდგა. საბოლოო ანგარიშიც ლოგიკური იყო, მაგრამ „ლოკომოტივს" რომ მოეგო, ალბათ, არავინ იტყოდა, რკინიგზელებმა დაუმსახურებელი სამი ქულა მიითვალესო.

„დინამო" კონტრშეტევებით რომ ითამაშებდა, ეს მატჩის დასაწყისშივე ცხადი გახდა. ნოდიამ ჩვეული ტაქტიკური სქემა 4-4-2 ამჯერად შეცვალა და შუა ხაზი გააძლიერა. საყრდენ ამისულაშვილს ბოლო ხანს ძირითადში იშვიათად მოთამაშე მანწკავა შეუწყვილა და ხუთი ნახევარმცველით ითამაშა. გამთამაშებელ დარასელიას ნაცვლად, რომელიც ნამატჩევს თანაგუნდელებს ქორწილში ელოდა, მწვრთნელმა ახლახან გამოჯანმრთელებული იაგორაშვილი ათამაშა. ის, მართალია, დარასელიასავით ეფექტურად და სასარგებლოდ ვერ ირჯებოდა, მაგრამ ერთიორი პასით თამაში კი გაამწვავა. სწორედ მის აქტიურობას მოჰყვა მატჩში ყველაზე სახიფათო მომენტი, რაც შემდგომ მწვრთნელთა საკამათოც გახდა.

პირველი ტაიმის დამთავრებას აღარაფერი აკლდა, როცა სტუმართა დაცვა პოზიციურად შეცდა. მეტოქის კონტრშეტევისას „ლოკომოტივის" მარცხენა ფლანგი უყურადღებოდ დარჩა, რითაც იაგორაშვილმა ისარგებლა. საბოლოოდ ბურთი საპირისპირო მხარეს გადავიდა, სადაც სტუმრებს კანდელაკი ჰყავდათ მიტოვებული, ლომაია კი შორეულ ძელთან იდგა. კანდელაკიც არ შეყოვნებულა, მახვილი კუთხიდან ბურთი, ფაქტობრივად, დაუცველ კარში დაარტყა. ლომაია გაფრინდა, ბურთს შესწვდა და უკუაგდო. დინამოელებს გოლი ეგონათ, მაგრამ ელიკაშვილს გახედეს და თამაში გააგრძელეს. მერე მასპინძლებმა იდავეს, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთაო, არბიტრი შალამბერიძე კი ასისტენტს ენდო, მისი ჟესტით დარწმუნდა, რომ ლომაიამ ბურთი ხაზიდან გამოიტანა და თითქმის მაშინვე ტაიმიც დაამთავრა. ამ ეპიზოდზე მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც იკამათეს. გივი ნოდია, რომელიც მსაჯობაზე მუდამ თავშეკავებულად საუბრობს, ამტკიცებდა, ნაღდი გოლი იყო, კანდელაკმა ბურთი გაიტანაო. კახა ცხადაძე კი საპირისპიროს ამბობდა, ელიკაშვილს ვეთანხმები, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ლომაიამ რეაქცია მოასწრო და ბურთი ხაზიდან გამოიტანაო.

მეორე ტაიმში ბევრი არაფერი შეცვლილა. „ლოკომოტივის" უპირატესობა კვლავაც თვალშისაცემი იყო, „დინამო" კი კონტრშეტევებით ცდილობდა მეტოქის კართან მიახლოებას, რაც 45 წუთის განმავლობაში რამდენჯერმე მოახერხა, ისიც ისე, რომ მეკარე არ შეუწუხებია.

სტუმართაგან, როგორც ყოველთვის, ანჩაბაძე გამოირჩეოდა. მისი პასები კი პარტნიორებმა ვერ შეიმჩნევს და წლეულს მესამედ დატოვეს მოედანი უგოლოდ. არადა, როგორც ვთქვით, საამისო მომენტები რკინიგზელებს ბევრი ჰქონდათ, განსაკუთრებით დათვაძეს, რომლის დარტმყულიც ან ზოიძესი იყო, ანაც ბურთის მიმწოდებელი ბიჭუნების.

საბოლოოდ მეტოქენი მშვიდობიანი ანგარიშით დაშორდნენ ერთმანეთს. მხოლოდ ანგარიშით, თორემ მოედანზე კარგა გვარიანი ბრძოლა იყო.



გიორგი ანჩაბაძე (მარჯვნივ) ჩვეულ ამპლუაში: დრიბლინგი, პასები...

თბილისი. 24 ნოემბერი. 15.00 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

### დინამო 0:0 ლოკომოტივი

22 ზოიძე

მწვრთნელი: გივი ნოდია

2 სვანაძე, 4 ვაშაკიძე, 5 შაშიაშვილი, 3 კანდელაკი

7 ამისულაშვილი, 11 მანწკავა

8 ბურდული, 6 სახვაძე

9 იაგორაშვილი

10 ზირაქიშვილი

16 დათვაძე, 10 კაიდარაშვილი

26 ანჩაბაძე

9 გოგიჩაიშვილი, 20 ონიანი

25 ქორიძე, 8 ჭიჭვეიშვილი

23 ლაცაბიძე, 2 ბალაშვილი

4 სალუქვაძე

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

1 ლომაია

შეცვლა: იაგორაშვილი — 18. მიკუჩაძე (61), დათვაძე — 15. მორჩილაძე (79), ამისულაშვილი — 17. გაბიდაური (88)

გაფრთხილება: ბალაშვილი (84)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | |
|---|---|---|
| 17 | ჯარიმა | 19 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 3 | კარში დარტყმა | 7 |
| 0 | თამაშგარე | 1 |

# ქუთაისში „რამპიანები" აღარ არიან?

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

„ბათუმი" ნაღდად აღარ ხუმრობს. თავად განსაჯეთ: გუნდმა, რომელსაც ერთხანს ზეექვსეულში შესვლის არცთუ სახარბიელო პერსპექტივა ჰქონდა, ზედიზედ დამარცხებულ მეტოქეებს აგერ ჩემპიონიც მიაყოლა და „ტორპედოს" ბეჭებზე გაკვრით მესამე ადგილზეც მყარად დამკვიდრდა.

ზღვისპირელები წლეულს ბოლო საშინაო მატჩს მართავდნენ და გულით სწყუროდათ, საკუთარ ქომაგთან განშორება მაჟორულ ნოტაზე აღენიშნათ. საბოლოოდ ასეც მოხდა.

თავად შეხვედრა საკმაოდ საინტერესო გამოდგა, ბლომად ორთაბრძოლებით და მაღალი ტემპით გამორჩეული. მართალია, მეტოქეთა თავგამოდებას ხშირ შემთხვევებში საგოლე მომენტები არ მოჰყოლია, მაგრამ შეხვედრას მცდელობა და მონდომება არ მოჰკლებია.

პირველ ტაიმში ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. „ბათუმი" შედარებით კი ძალობდა, მაგრამ იმერელთა დაცვის გარღვევა უჭირდა. „ტორპედო" კონტრშეტევების წარმართვას ფლანგებიდან ცდილობდა, უფრო მარცხნიდან, სადაც უკრაინელი პოროშინი აქტიურობდა. მან გვარიანად იბრძოლა, ქუთათელაძესაც შეტევაში წაეხმარა და არც უკან ჩამოსვლა ითაკილა. იონანიძეც ბევრს მოძრაობდა, ბურთს ხშირად ფლობდა, ოღონდ ქუთათელაძის პასიურობის ფონზე არაფერი გამოდიოდა.

ტაიმის შუაწელში მეტოქეებმა მწვავე ეპიზოდები გაცვალეს. ჯერ მაჭუტაძემ ითამაშა ეფექტურად, მახვილაძეს ბურთი თავს ზემოთ გადაუტარა და მიწაზე დაუშვებლად აბრაგანი დაჰკრა, ოდნავ არაზუსტად და ბურთი ხარიხას ზემოდან ჩაეშვა ბადეში.

ჩემპიონმა მყისვე უპასუხა. ფლანგზე აქტიურმა დიდავამ საჯარიმოში ქუთათელაძეს ჩააწოდა. ზვიადს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ხუთიოდ მეტრიდან თავური მაინც არაზუსტი გამოუვიდა.

ნათლად ჩანდა, რომ „ბათუმი" სულ უფრო და უფრო ცდილობდა, თამაშის სადავეები ხელთ ეგდო. ამას შესვენებამდე მოჰყვებოდა შედეგი, აფხაზავას ჩინებული დრიბლინგი მაჭუტაძეს გოლად რომ ექცია. არადა, მას კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ სუსტად დაარტყა.

თამაშის განახლება და ასლან ბალაძის შეგირდების მეტოქეზე ზეწოლის დაწყება ერთი იყო. თუმც იმერლები გააზრებულად იცავდნენ თავს და გვარამაძესაც საქმე დიდად არ გასჩენია. ერთხელ იყო, ქაცარავას ფლანგურ გარღვევას აფხაზავას თავით დარტყმული რომ მოჰყვა. შალვამ პირდაპირ მეკარეს დაუმიზნა ბურთი.

ამასობაში „ტორპედო" შიგადაშიგ მწვავედ იჩხვლიტებოდა. თამაშის დასრულებას თხუთმეტი წუთი აკლდა, „ბათუმი" გოლს რომ გადაურჩა. იონანიძემ ფლანგზე გაუჭრა დიდავას, რომელმაც თანაგუნდელს ბურთი საჯარიმოში დაუბრუნა. იონანიძემ კარგადაც დაარტყა, თუმც კარს მცირედით აცილა. საერთოდ ქუთაისელებს კარის ჩარჩოში ერთხელაც არ მოურტყამთ ბურთი. სტუმრები მალევე დაისაჯნენ. ამ ეპიზოდიდან ორიოდ წუთში კობიძემ ივარგა მარჯვენა ფლანგზე, ჩაშლილი შეტევა განაახლა, საჯარიმოში შეაღწია და დაბალი დიაგონალური პასიც გააკეთა. აფხაზავამ ბურთის მოხელთება სცადა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა და მისგან ასხლეტილი მაჭუტაძეს მიუვიდა. პაატამაც არ დაახანა და ერთი შეხებით მიუჩინა კარში ადგილი.

დარჩენილ დროში სტუმრებმა თამაშის გადარჩენა სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. საგულისხმოა, რომ ძოძუაშვილმა სათადარიგო იმედაძე რატომღაც დაივიწყა და მისი გაყვანა არც უფიქრია. „ბათუმი" კი დინჯად იცავდა თავს და სათამაშო ინიციატივაც ბოლომდე არ დაუთმია.

გახარებული იყო მატჩის შემდეგ ასლან ბალაძე. ეს არც არის გასაკვირი, მისმა შეგირდებმა ხომ ზეექვსეულში მოხვედრა ფაქტობრივად გაინაღდეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ცუდ ხასიათზე არც რევაზ ძოძუაშვილი გახლდათ. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ „ლოკომოტივმა" ვერ მოიგო, მისი გუნდი კვლავ პირველ ადგილზე დარჩა.

ბათუმი. 24 ნოემბერი. 15.00 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 1:0 ტორპედო

10 მაჭუტაძე (77)

1 ჭანტურია

მწვრთნელი: ასლან ბალაძე

4 არჩვაძე, 3 მინდაძე, 18 თურმანიძე

6 ქაცარავა, 5 კობიძე, 7 ხუჯაძე, 2 ჩხაიძე

17 დარჩიძე

9 მაჭუტაძე, 11 აფხაზავა

9 ქუთათელაძე

15 პოროშინი

2 იონანიძე

10 ახალკაცი

6 ქემოკლიძე, 7 სილაგაძე

5 თოდუა, 24 ხვადაგიანი, 3 მახვილაძე, 4 დიდავა

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

1 გვარამაძე

შეცვლა: ახალკაცი — 8. ბაბუნაშვილი (55), ქაცარავა — 10. ტულუში (58), დარჩიძე — 14. გვაზავა (82)

გაფრთხილება: თოდუა (54)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 16 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 3 | კარში დარტყმა | 0 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა. XIV ტური

შვაინფურტი 4:2 ალენი

### იტალია

სერია B. XIV ტური

კროტონე 0:2 კოზენცა

### პორტუგალია

I ლიგა. XII ტური

სპორტინგი 2:0 ბოავიშტა

# არმაზს უმტვრიეს საქეტურები

## გაბელიამ გაბელაიას დინამო დაავიწყა

მცხეთა. 25 ნოემბერი. 15.00 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 1:4 მერანი

1:0 გოჩაშვილი (13), 1:1 გოგიტაძე (25), 1:2, 1:3, 1:4 დავითაშვილი (72, 86, 88)

1 მერლანი

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

21 ჭანკოტაძე

23 თედორაძე 4 კობიაშვილი

14 დ. დოლიძე 9 ნოზაძე 5 ზაზაშვილი

7 გოგობერიშვილი

22 ადამია 20 ზ. მეტრეველი

10 გოჩაშვილი

7 დავითაშვილი

10 გაგუა

9 კოშკაძე 8 ბაჯელიძე 15 ბოლქვაძე 5 დევიძე

6 ილურიძე 4 ცქიფურიშვილი 2 გოგიტაძე

17 კვეკვესკირი

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

1 ნაჭყეპია

შეცვლა: თედორაძე — 11. იაშვილი (68), დოლიძე — 6. ფეიქრიშვილი (73), ჭანკოტაძე — 25. მამარდაშვილი (73), დავითაშვილი — 16. ფურცელაძე (90), ბოლქვაძე — 3. ხიზანიშვილი (90)

გაფრთხილება: დოლიძე (42), ბოლქვაძე (48), კობიაშვილი (52), ცქიფურიშვილი (80), კობიაშვილი (82), კოშკაძე (84)

გაძევება: მერლანი (72), კობიაშვილი (82), მეტრეველი (89)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი); გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 18 | ჯარიმა | 23 |
| 1 | კუთხური | 3 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 6 | კარში დარტყმა | 6 |
| 1 | თამაშგარე | 5 |

მამუკა კვანტალიანი მცხეთიდან

**ძნელი** სათქმელია, რა შედეგი დაფიქსირდებოდა კვირას „არმაზზე", „ვიტ ჯორჯიას" ზოგიერთ ფეხბურთელს ეთიკის ნორმები რომ არ დავიწყებოდა. მასპინძლებმა თავად წააგეს თამაში და ამაოდ ცდილობდნენ განტევების ვაცის აღმოჩენას.

ამას რომ ვამბობ, სულაც არ ვაპირებ „მერანს" ნაჯაფარი დავუკარგო. ავჭალელებმა დამსახურებულად წაიღეს სამი ქულა მცხეთიდან. კვირას სტუმრებს უფრო ეტყობოდათ მწვრთნელის ხელი, მიზანსწრაფულობა და სიმწყობრე. ისე, ისიც სათქმელია, რომ ცოტაოდენი თავდაჭერილობა და უფრო მეტი ზრდილობა არც „მერანს" აწყენდა. მეცამეტე წუთი იყო, გოგობერიშვილმა მოედნის ცენტრში საჰაერო დუელი რომ მოიგო და ბურთი თავით გოჩაშვილს გადაუგდო. მასპინძელთა მეათე ნომერმა ბურთი მიიღო, მშვიდად გაისწორა და სტუმართა მეკარესაც აუღებელი დაურტყა.

მანამდეც და მომდევნო ათი წუთის განმავლობაშიც „არმაზზე" შეკრებილთა უმრავლესობა ფიქრობდა, რომ „ვიტ ჯორჯია" „მერანს" იოლად გაუსწორდებოდა. შუა ტაიმამდე ვიტელები მეტოქეს ყველაფერში სჯობდნენ და ავიწროებდნენ. საწყისი ოცი წუთის შემდეგ კი სტუმრებმა თამაში გაათანაბრეს. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ავჭალელებმა არაფრისმომცემ ლაპარაკს და მსაჯთან კამათს ფეხბურთის თამაში არჩიეს.

...სტუმრებმა კუთხურის უფლება მოიპოვეს, ბაჯელიძემ ახლო ძელთან ჩააწოდა ბურთი. სამი მასპინძელი მცველი და გოგიტაძე ერთდროულად აღიმართნენ ჰაერში. მერანელმა ბრძოლაში დაასწრო ვეტერინარებს, ბურთს ოდნავ თავიც შეახო და შორეულ კუთხეში გაიტანა.

ამის მერე მასპინძლები პირველ ტაიმში ორ სახიფათო საჯარიმოსლა გამორჩნენ. ორივეჯერ გოგობერიშვილმა სცადა ბედი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ნაჭყეპიამ მოიგერია ურთულესი დარტყმები.

დაძაბულ და ხისტ პირველ ტაიმში ფეხბურთელები კიდევ ახერხებდნენ ემოციების მოთოკვას, თუმც აშკარად ჩანდა, ვიღაცას ნერვები უმტყუნებდა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია" თავიდანვე შეეცადა უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ სტუმრების მწყობრ თამაშს ვერაფერი დააკლო. ეს არ იყო ის გუნდი, რომელიც ერთი კვირის წინ „დინამოს" დაცვას ფლეთდა. ავჭალელებმა შეძლეს თამაშიდან გამოეთიშათ მასპინძელთა ყველა სახიფათო მოთამაშე. ადამია ამაოდ ცდილობდა, ილურიძეს დასხლტომოდა, გოგობერიშვილმა თამაში ვერ დაალაგა, გოჩაშვილმა ბურთი ვერ მიიღო და ასე შემდეგ.

სტუმრებმა მოედნის ცენტრიც ხელთ იგდეს და ვიტელები მხოლოდ მაღალი, შორეული გადაცემებით ახერხებდა ნაჭყეპიას კართან მიახლოებას. ცხადი იყო, „მერანი" თავის შანსს ელოდა და 72-ე წუთზე მიიღო კიდეც.

...კოშკაძემ ვიტელთა დაცვა გაარღვია, მეტოქის საჯარიმოში შეჭრილს და მერლანთან პირისპირ შეყრილს დარტყმა თავადაც შეეძლო, მაგრამ ავჭალელთა ნახევარმცველმა საჯარიმოში შეჭრილ დავითაშვილს დაუგორა ბურთი და „მერანიც" დაწინაურდა.

ნახევარი „ვიტ ჯორჯია" თანამსაჯისკენ დაიძრა. ისინი თამაშგარეს დაფიქსირებას მოითხოვდნენ. განსაკუთრებით მეკარე მერლანი და მარჯვენაფლანგელი დოლიძე აქტიურობდნენ. მსაჯმა მათი დაშოშმინება სცადა, მაგრამ ის ორი ვერაფრით დააოკა და წითელი ბარათიც აფრიალდა. ფანიაშვილმა მერლანი გააგდო, ხოლო დოლიძის შეცვლა გაბელაიამ მოასწრო.

იყო თუ არა თამაშგარე? „არმაზზე" 72-ე წუთიდანვე აზრი ორად გაიყო. თუმც ჭეშმარიტება საბოლოოდ ვიდეოფირის განხილვის შემდეგ თუ დადგინდება.

საჯარიმოში შეჭრილმა კოშკაძემ პასი აშკარად წინ გააკეთა, მაგრამ დავითაშვილმა ბურთს მიუსწრო და არ დალოდებია, როგორც ამას ვიტელი მოთამაშეები ამტკიცებდნენ. ვფიქრობ ბურთი წესების სრული დაცვით გავიდა.

სხვა რა გზა იყო, გაბელაიამ ჭანკოტაძე შეცვალა და მოედანზე სათადარიგო მეკარე მამარდაშვილი შეუშვა. „ვიტ ჯორჯია" ისევ მიაწყდა მეტოქის საჯარიმოს და ზურგი მოიშიშვლა. ეს კი „მერანს" აძლევდა ხელს და ავჭალელებმაც ხეირი ნახეს.

...დამთავრებამდე ათიოდ წუთი იქნებოდა დარჩენილი, როცა კიდევ ერთი ვიტელი დაადგა გასახდელის გზას. ფანიაშვილმა კობიაშვილს არ აპატია შეცდომა, მეორე ყვითელი ბარათი წამში წითლად გადაიქცა.

ამის შემდეგ ფანიაშვილმა კიდევ ერთხელ შეაწუხა წითელი ბარათი და ორ გაძევებულ თანაგუნდელს მეტრეველიც მიაყოლა. როგორც თამაშის შემდეგ მსაჯმა განაცხადა, ვიტელი სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გააძევა.

მანამდე „მერანს" საქმე მომთავრებული ჰქონდა. უკვე დაშლილი „ვიტ ჯორჯია" დავითაშვილის შემჩერებელი არ იყო. სულიკო ორჯერ გავიდა მამარდაშვილთან პირისპირ და ჰეთ თრიქიც შეასრულა.

კვირას „მერანმა", ალბათ, ერთ-ერთი უპრინციპულესი მატჩი მოიგო, რითაც ზექვსეულში მოსახვედრად სერიოზული განაცხადი გააკეთა.ბოლოს მსაჯებზეც ვთქვათ. სკანდალური მატჩი ერგო ფანიაშვილს. ვერ ვიტყვი, რომ არბიტრის თითოეული გადაწყვეტილება შეუმცდარი იყო. ცხადია, მცხეთაშიც შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები მსაჯების ქმედებაში, მაგრამ ფანიაშვილს ვერავინ შეედავება, გოლები რად ჩათვალე, ანაც ვიტელები მოედნიდან პანტაპუნტით რად გაყარეო.



დაიჭირეს, მაგრამ ვერ დაიჭირეს: სულიკო დავითაშვილმა არმაზზე სამი გაიტანა

რუსთავი. 24 ნოემბერი. 15.00 საათი. ფოლადი. 2 000 (ტევადობა 10 750)

### გორდა 1:2 კოლხეთი

1:0 გოცირიძე (27), 1:1, 1:2 წივწივაძე (37, 78)

1 ბედიაშვილი

მწვრთნელი: თენგიზ კაცია

2 კედელაშვილი 3 ბურნაძე 15 ბალასანიძე

4 ბერიძე

5 გ.გ. მიქაძე 13 ზვ. ლაბაძე

8 მელაძე 17 ალადაშვილი

6 კილასონია 9 გოცირიძე

8 წივწივაძე

7 კრასოვსკი

9 ე. გვასალია

10 ფანჩულიძე

11 კვირკველია 2 გოროზია

3 ტორჩინავა 5 მ. ქობულაძე 14 ქუტიძე

19 ნარსია

მწვრთნელი: სოსო ფილია

12 ჩემია

შეცვლა: ზვ. ლაბაძე — 7. ზ. ლაბაძე (45), გოროზია — 4. მიქელთაძე (58), კრასოვსკი — 17. მუმლაძე (58), მელაძე — 10. ჯელაძე (78), ბერიძე — 20. კიტეიშვილი (80)

გაფრთხილება: კრასოვსკი (39), კილასონია (43), ქობულაძე (43)

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია); პ. დოღრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 25 |
| 4 | კუთხური | 11 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 6 | კარში დარტყმა | 10 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

# ისევ შენ და ისევ შენ

## მინდელი და კილასონია გორდას დაუბრუნდნენ

პაატა კვანტალიანი რუსთავიდან

**მოსაგებად** ჩავიდა „კოლხეთი" რუსთავში. ზექვსეულისთვის მებრძოლ ზღვისპირელებს ჰაერივით სჭირდებოდათ სამი ქულა და აისრულეს კიდეც წადილი. სოსო ფილიას გუნდმა ფიცხელ ბრძოლაში დაჩაგრა მასპინძელი და დამსახურებულად გაიმარჯვა.

„გორდამ" დიდი სიურპრიზი მოუმზადა ფოთელებს. სიურპრიზი ვარლამ კილასონია გახლდათ. გამოცდილი ფორვარდი სარბიელს და მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა ორთვიანი შესვენების შემდეგ. ვარლამს უვარჯიშებლობა კი ეტყობოდა, მაგრამ თავისი საქმე ჩვეულად, ქინიანად შეასრულა. სწორედ მისი ეფექტური, გამოზომილი პასის შემდეგ გახსნა გოცირიძემ ანგარიში. ეს 27-ე წუთზე მოხდა. კილასონიამ ბერიძის შორეული პასი მიიღო და მკერდით დაუგდო ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ გოცირიძეს. მანაც გაისროლა და „გორდა" დააწინაურა. მასპინძლები გოლამდეც ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ ჩამორჩენილი სტუმრები 30-ე წუთისთვის ერთობ გააქტიურდნენ. ორწუთიან მონაკვეთში კოლხებმა ზედიზედ ოთხჯერ ჩააწოდეს კუთხური. მომდევნო ორ წუთში კი ელდარ გვასალია ორჯერ დარჩა ბედიაშვილთან პირისპირ, მაგრამ ორჯერვე მეკარემ ივარგა. „გორდა" 35-ე წუთზეც გადარჩა, ორი მეტრიდან წივწივაძემ ვერ შეძლო ბურთის კარში შეგორება, თუმც ჰამლეტმა ერთ წუთში გამოასწორა შეცდომა და ანგარიში გაათანაბრა. წივწივაძის გოლი მასპინძელთა მარცხენა ფრთის ჩაძინებას და ფანჩულიძის პასს მოჰყვა.

მეორე ტაიმის დებიუტში დისკვალიფიცირებული მწვრთნელის შეძახილებმა (თენგიზ კაცია ტრიბუნიდან მოძღვრავდა შეგირდებს) გაჭრა და მასპინძლებმა გააფთრებით შეუტიეს. ჯერ მიქაძის მიერ წამოწყებული სწრაფი იერიშისას ბერიძის დარტყმა მოიგერია ჩემიამ, მერე კი კილასონიამ ერთი მოძრაობით ორი მეურვე ჩამოიშორა და ზუსტი პასით გოცირიძე დატოვა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლო წამს ქუტიძე წამოეპარა და მასპინძლები კუთხურსლა გამორჩნენ. მეორე ტაიმში პირველად 67-ე წუთზე შეუტიეს სტუმრებმა და გაიტანდნენ კიდეც, ბედიაშვილს რომ არ ეყოჩაღა და ქობულაძის ძლიერად დარტყმული ბურთი თითებით არ გადაეგდო კუთხურზე. ამ მომენტს ისევ მასპინძელთა შეტევა მოჰყვა და გოცირიძესთან გათამაშებული კედელის შემდეგ კილასონიამ გადაუგდო ბურთი თავზე მეკარეს, მაგრამ სტუმართა საბედნიეროდ, ბურთი კარსაც ასცდა.

ფოთელთა გამარჯვების გოლი ფანჩულიძის გააზრებული თამაშს მოჰყვა. გელამ ორ მეტოქეს აუარა გვერდი მარჯვენა ფრთაზე და საჯარიმოში შევარდნილ წივწივაძეს ფეხზე დაასვა ბურთი, მასაც გატანის მეტი არაფერი დარჩენოდა. მეხუთე ტურის მერე დანიაში აბარგებულ მიხეილ აშვეთიას გადაასწრო ბომბარდირთა დავაში.

დარჩენილ დროში „გორდას" პრაქტიკულად შანსიც არ ჰქონია ანგარიშის გასათანაბრებლად, ფოთელებს კი რომ ეყოჩაღათ, კიდევ გაიტანდნენ. 85-ე წუთზე წივწივაძეს ჰეთ თრიქის შესრულების შანსი ჰქონდა, მაგრამ ბედიაშვილს ვერ მოუხერხა ვერაფერი, საფინალო სასტვენის წინ კი რუსთაველმა მეკარემ პირისპირ გასულ გვასალიასაც არ გაატანინა.

ერთი სიტყვით, „გორდამ" კვლავ წააგო, თუმც კილასონიას დაბრუნებით თავის დამშვიდება ნამდვილად შეუძლიათ რუსთაველებს. დაბრუნება ვახსენეთ და აქვე ვთქვათ — რუსთავის მერი ლაშა მინდელი შაბათს „გორდას" პრეზიდენტის რანგში ადევნებდა თვალს მატჩს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოცნება ისევ მეტალურჯია

## ჯვარიძემ უმწვრთნელო სამგურალი ჯვარს აცვა

ზესტაფონი. 24 ნოემბერი. 15.00 საათი. ცენტრალური. 500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 3:1 სამგურალი

1:0 გეწაძე (73), 2:0 შეყრილაძე (49), 3:0 სუხიაშვილი (73), 4:1 ხუნდაძე (89პ)

1 მერკვილიშვილი
18 გურეშიძე
3 ორმოცაძე, 2 მაღლაკელიძე
8 სუხიაშვილი, 16 გეწაძე, 5 მ. ღონღაძე
15 შეყრილაძე, 6 ამაშუკელი
9 ხმალაძე, 11 ფირცხალაიშვილი

მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

15 ვაჩიბერაძე, 19 ხუნდაძე
8 შ. ღონღაძე, 21 მ. ჯინჭარაძე
10 დარსაძე, 20 ცომაია, 22 კოპალიანი
13 ქელიძე, 2 ბერაძე
3 ფრანგიშვილი
30 ბოდოკია

უმწვრთნელოდ

შეცვლა: ხმალაძე — 7. ქურციკიძე (54), ფირცხალაიშვილი — 17. გოგაძე (71), ჯინჭარაძე — 9. კიკვიძე (73), ომოცაძე — 14. მემარნიშვილი (85)

გაფრთხილება: ფრანგიშვილი (54), მერკვილიშვილი (87)

მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); ზ. ჯვარიძე (თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქუთაისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

| | | |
|---|---|---|
| 12 | ჯარიმა | 11 |
| 2 | კუთხური | 4 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 8 | თამაშგარე | 9 |



მამუკა დუმბაძის ფოტო

გიგატაძემ „სამგურალს“ ხელი დაუქნია დროებით თუ საბოლოოდ?

**ვახტანგ ბზიკაძე ზესტაფონიდან**

**შაბათს** ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე „მეტალურგის“ კარში გატანილი პენალტი სამგურალელ მამუკა ხუნდაძეს, ყველა წესით და რიგით, უსაზღვროდ უნდა გახარებოდა. ხუნდაძემ რამდენიმე მიზეზით თავშეკავება ამჯობინა.

პირველი: ეს პენალტი 89-ე წუთზე დაინიშნა, როცა უმთავარმწვრთნელო წყალტუბოს „სამგურალი“ ზესტაფონში 0:3 აგებდა;

მეორე: ხუნდაძის სათვალავი არ დაემთხვა ქართული ფეხბურთის ვარსკვლავთმრიცხველის, რევაზ შენგელიას სათვალავს და ნამდვილად მეასე იყო თუ არა საშაბათო გოლი ფეხბურთელის 11-წლიან საჩემპიონატო კარიერაში, თავდამსხმელს ვერ გაერკვია;

და მესამე: შესვენებამდე, შესვენებისას თუ შესვენების შემდეგ სამგურალელთაგან ატეხილი წიოკის ფონზე საიუბილეო გოლის აღნიშვნა დიდად მოსაწონი საქმე ვერ იქნებოდა.

ასამდე კი ორად-ორი გოლიღა დარჩა, მაგრამ ლურჯ ოცნებამდე, ჩანს, ჯერაც გვარიანად შორია. მატჩის შემდეგ საუბრისას დაზუსტდა, რომ სათვალავში ჩასაგდები არ არის 1991 წელს ვანის „სულორთან“ (1:1) და 1992 წელს სოხუმის „ცხუმთან“ (1:3) გატანილი გოლები, რომლებიც ამ მატჩთა შედეგებთან ერთად გაუქმდა (ხუნდაძეს ასეთი კიდევ ცხრა, „საპოვნელასთან“ (11:4) ფეირ პლეის პრინციპის დარღვევისთვის გაუქმებულ შეხვედრაში აქვს გატანილი).

ჰოდა, ეს ორი გოლი სამგურალელმა ისე შეიცხადა, თითქოს, სულ მცირე, 22 მაინც დაჰკლებოდეს.

ისე, მისი გასაგებიც კია, წლეულს ეროვნულ ჩემპიონატს ერთი ტურიღა დარჩა. ბოლო ტურში „სამგურალი“ „ვიტ ჯორჯიას“ მასპინძლობს, ვისთანაც ერთბაშად დუბლის გატანა შეუძლებელი არ არის, მაგრამ არც იოლია. სხვაგვარად კი ხუნდაძის ასგოლოვანი იუბილე საგაზაფხულოდ გადაიდება. ასეთი პერსპექტივა კი უხელფასოდ მორბენალ 33 წლის ვეტერანს, ცხადია, ვერ მოხიბლავს.

არადა, მოსკოვის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლადამთავრებული თავდამსხმელი არ მალავს, რომ მოთამაშის კარიერას ქართული ფეხბურთის ისტორიაში შესვლის სურვილითღა იხანგრძლივებს.

ნამდვილად მოსაწონია მოთამაშის ასეთი რომანტიზმი, რომელსაც ხელს უშლის წყალტუბოური კლუბის აუტანელი პროზა — ხელფასი დაბალია, ისიც კი იგვიანებს, მოთამაშენი მუქარას დემარშით ცვლიან, რასაც მთავარი მწვრთნელის გუნდიდან წასვლა მოსდევს. გუნდიდან მიდის სათადარიგო მეკარეც და მას სკამზე ნახევარმცველი შოთა ფუტკარაძე ცვლის...

— გია გიგატაძე დღეს მხოლოდ ობიექტური მიზეზით ვერ ხელმძღვანელობს „სამგურალს“, რომელიც სათამაშოდ გუნდის უფროსმა პავლე გორდეზიანმა გაიყვანა — ასეთია კლუბის პრეზიდენტ ზაზა სოფრომაძის კომენტარი მწვრთნელისა და მისი თანაშემწეების არყოფნაზე.

საინტერესოა, რა არის ობიექტური მიზეზი მაშინ, როცა გიგატაძის მეტალურგ კოლეგას გარდაცვლილი დედა ჯერ არ დაეკრძალა, მაგრამ ამ მძიმე მატჩისას ფეხბურთელები მაინც არ მიუტოვებია. გუნდმაც ზაურ ჩუბინიძეს განსაცდელი მორიგი ქულათკარგვით არ დაუმძიმა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძელთა ამ გამარჯვებაში საკუთარი მოზრდილი წილი მსაჯებმა დაიდეს, უფრო ზუსტად კი მათმა უხეშმა შეცდომებმა სტუმრებს სალაპარაკო მისცა.

სალაპარაკო პირველი: მეშვიდე წუთზე მალხაზ ღონღაძის დარტყმული ბესიკ ბერაძემ თავით მოიგერია, ბურთი საჯარიმოში მდგომ მალხაზ ჯინჭარაძეს მოხვდა და არბიტრმა პენალტი დანიშნა — ჯინჭარაძის ახლომახლო შეტევის გამგრძელებელი არავინ იდგა, ფეხბურთელმაც ხელი ინსტინქტურად აუქნია ბურთსო, ჩიოდნენ სტუმრები, მაგრამ ამაოდ. გეწაძემ თერთმეტი მეტრიდან უნაკლოდ დაარტყა — 1:0.

სალაპარაკო მეორე: 43-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან პირითი ხაზის გასწვრივ შოთა დარსაძის ჩაწოდებულს პირველი ზაზა ვაჩიბერაძე შეეგება, მაგრამ თანამსაჯმა ზურაბ ჯვარიძემ ჯუმბერ ბუიშვილს ჩათვლილი გოლი გადაათქმევინა, სამგურალელმა თამაშგარედან გაიტანაო — პასი უკან, თითქმის კუთხურის ალმიდან საჯარიმოს სიღრმისკენ გაკეთდა, ვაჩიბერაძეზე წინ მცველი იდგა, თანამსაჯმა კი ალამი გოლის მერეღა აწიაო — ამტკიცებდნენ სტუმრები, მაგრამ ამაოდ, კვლავ 1:0.

სალაპარაკო მესამე: თამაშის განახლებიდან 4 წუთში ალექსანდრე შეყრილაძის ფლანგური ჩაწოდება თედო ბოდოკიამ ვერ დაიმორჩილა, ბურთი გაუვარდა და არბიტრმა ისევ ცენტრისკენ გაიშვირა ხელი — ორივე გუნდის ძირითადი თუ სათადარიგო მოთამაშენი ისევ თანამსაჯ ჯვარიძეს მისცვივდნენ, ბურთი ხაზსშიგნით კი არა, მეკარის ბაქანში, ნახერხზე დაეცაო.

დაბნეულობისგან თავადაც დაცემულ, ახალწამომდგარ და ფეხებდაბორკილ ჯვარიძეს ენაც დაება, ვერც ის თქვა გავიდაო და ვერც არგასვლა დაიჩემა. მატჩის შემდეგ აღიარა, ბუიშვილს ვუთხარი, ვერ დავინახეო. ბუიშვილმა მაინც გარისკა, საკუთარ მხედველობას ენდო — 2:0.

სალაპარაკო მეოთხე: 83-ე წუთზე „მეტალურგის“ მეკარე რაჟდენ მერკვილიშვილმა მეტოქის იერიში ჩაშალა, მაგრამ დაჭერილ ბურთს ხელები ინერციით საჯარიმოს გარეთ გააყოლა. არბიტრმა თავისუფალი დარტყმა დანიშნა — სამგურალელთა პრეტენზია, რომელიც ემოციადამცხრალზე ბევრს არც გაუგია, ახლა კი ულაპარაკოდ სამართლიანი იყო, ხელით თამაშისას თავისუფალი კი არა, საჯარიმო დარტყმა ინიშნება.

სალაპარაკო მეხუთე: „სამგურალს“ ეტყობა ხელი უკვე ჩაქნეული აქვს, თორემ თუ რამ საპრეტენზიო ექნებოდა მსაჯობასთან, პირველ რიგში, სათამაშო დროის თაობაზე. ბუიშვილმა ოთხი შეცვლისა და მეორე გოლზე დავისას გაჩერებული დროის მიუხედავად მეორე ტაიმი ზუსტად 45 წუთში დაასრულა.

მთავარი სათქმელი (ავტორისგან): მთელს ამ დომხალში უპირველესი დამნაშავე ის ფედერაციაა, რომელმაც აუტსაიდერთა უპრინციპულეს მატჩს გამოუცდელი მსაჯთა ბრიგადა და უჩვევი ინსპექტორი დაუნიშნა. რომ არა სათადარიგო არბიტრი სერგო კვარაცხელია, მსაჯებს და სფფ-ის დელეგატს ეს მატჩი, შესაძლოა, ვერც ჩაემთავრებინათ.

მთელს ამ აყალმაყალში მთლად შეუმცდარი არც ფიფას არბიტრი იყო: კვარაცხელიას ფირცხალაიშვილის გოგაძით შეცვლის წუთი 46-ის ნაცვლად 71-ით ჟურნალისტთა რჩევით რომ არ შეესწორებინა, დროში განსხვავება რა მოსატანია, ოქმში შეცვლების თანმიმდევრობაც არეული იქნებოდა.

მორიგი კენჭი კი არანაკლებ დამნაშავე „სამგურალის“ ხელმძღვანელობის ბოსტანშიცაა სასროლი: კლუბის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს ფინანსური პრობლემები დროულად რომ მოეგვარებინათ, მათი გუნდი შაბათს უმთავარმწვრთნელოდ არ იქნებოდა. ეს კი, სულ მცირე, იმის შანსს გაზრდიდა, რომ შესვენებისას მსაჯებთან თუ მათ დამცავ პოლიციელებთან ძიძგლაობა აეცილებინათ თავიდან.

რატომ? „მეტალურგს“ უმეტესი დრო თავი დიდად არ გამოუდია და „სამგურალის“ მწვრთნელთან ერთად, ეგებ, უკეთესი შედეგისთვისაც გამოეკრა ხელი.

---

ბოლნისი. 24 ნოემბერი. 15.00 საათი. თემურ სტეფანია. 300 (ტევადობა 3 000)

### სიონი 3:0 გურია

1:0 ამბიძე (36პ), 2:0 მოსეშვილი (82), 3:0 სვანიძე (88)

1 ვოლკოვი
9 სიდამონიძე, 5 ბარნოვი, 4 პაპიძე, 7 მინდიაშვილი
11 მოსეშვილი, 17 თარგამაძე, 6 ამბიძე, 10 ისიანი
14 დაუშვილი
15 მინაშვილი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

11 მეტრეველი, 12 ენდელაძე
7 სულაკაძე, 6 პატარიძე, 17 კაციაშვილი, 10 პატარაია
14 ფაცურია, 3 ორბელაძე, 2 ებრალიძე, 8 ქიქავა
1 ჩომახიძე

მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი

შეცვლა: თარგამაძე — 2. შაიომვილი (46), პატარაია — 15. ხუჭუა (46), მინაშვილი — 13. დ. სვანიძე (74), ქიქავა — 9. ჩხაიძე (74), ებრალიძე — 13. ოდიკაძე (82), ისიანი — 16. ბ. შენგელია (83)

გაფრთხილება: ფაცურია (60)

მსაჯები: ა. ოქროპირიძე (ონი); გ. ჩიქოვანი და მესხიშვილი (ორივე სამტრედია); მ. მაღლაკელიძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. გეტრიაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 7 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

# გურია დადაგულია

**ვაჟა ხუციშვილი ბოლნისიდან**

**წინა ტურში,** ფოთში დამარცხების შემდეგ „სიონის“ ზეექვსეულში მოხვედრის შანსი მკვეთრად შემცირდა. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ შაბათს ბოლნისში მატჩს მცირეოდენი მაყურებელი დაესწრო. რა თქმა უნდა, გუნდებს ისიც არ ავიწყდებათ, ჩემპიონატის მეორე ეტაპზე დაგროვილ ქულათა 50 პროცენტიანი სეკვესტრი რომ ელოდებათ. ამიტომ, თადარიგის დაჭერა შემოდგომაზევეა საჭირო. მატჩის დებიუტში სტუმრები შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა მასპინძლებს თხუთმეტიოდე წუთი დასჭირდათ ინიციატივის ხელში ჩასაგდებად. თემურ მახარაძემ შეტევის მარჯვენა ფლანგზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნით ლანჩხუთელთა დაცვის რღვევა განიზრახა. მოსეშვილი და დაუშვილი სისწრაფის ხარჯზე სჯობნიდნენ სტუმარ ფაცურიას და სულაკაძეს. მათ ცენტრიდან თარგამაძე ეხმარებოდა, რომელიც საკმაოდ კარგ პასებსაც არიგებდა. ასეთი ტაქტიკის შედეგად „გურიას“ მცველთა უმეტესობა თავს იმ ფლანგისკენ იყრიდა, საიდანაც ხიფათი მეტი იყო. ამის გამო შეტევისთვის თავისუფალი სივრცეები ექმნებოდათ ბახვა ამბიძეს და შალვა ისიანს. ამათ უკვე ტაიმის შუაწელში რამდენიმე ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს. ისიანმა არცთუ ისე მახვილი კუთხიდან, საკმაოდ ახლო მანძილიდან ააცილა. ამბიძემ კი საჯარიმოში სტუმართა მცველი მოძრაობაზე დაიჭირა და როცა უნდა დაერტყა, მოცელეს. იგი დაეცა, ორდინიძე იქვე იმყოფებოდა, თუმცა წესის დარღვევა არ დააფიქსირა. აქ უკვე ნაცნობი სურათი მერამდენედ განმეორდა: გინება, ყვირილი, პროტესტი, თუმც ამაოდ. ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ ამბიძემ დაჰკრა საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს. ამჯერად ბურთი მცველს ხელზე მოხვდა, რომელიც მან სახეზე ინსტინქტურად აიფარა. ორდინიძემ, ხელი ხელიაო და პენალტის ნიშნულისკენ საკუთარი ხელი გაიშვირა. თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა ამბიძემ და ანგარიშიც გახსნა.

რა შეიძლება ითქვას ლანჩხუთელ ფეხბურთელებზე? ცდა და მონდომება ნამდვილად არ დაუკლიათ, თუმცა შეთამაშება აკლიათ, თან შემსრულებლებიც არ ჰყავთ. ვეტერანი ზვიად ენდელაძე, ისევე როგორც ახალგაზრდა მეტრეველი, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უბურთოდ იყვნენ. მცველებიდან ორბელაძის გამორჩევა შეიძლება, რომელიც მეორე სართულზეც იგებდა ბრძოლებს და იშვიათად ცდებოდა. შუა ხაზში ყველაზე მეტად პატარიძე აქტიურობდა, მაგრამ თანაგუნდელებმა მას მხარი ვერ აუბეს. ტაიმის მიწურულს პატარიძეს შეეძლო კიდეც გათანაბრება, როცა მასპინძელთა დაცვის არეულობით ისარგებლა. მისი დარტყმული ძელს მოხვდა.

მეორე ნახევარში სცენარი არ შეცვლილა. „სიონმა“ მთელი გუნდით ოდნავ უკან კი დაიხია, მაგრამ მასპინძელთა შეტევებს სიმწვავე არ მოჰკლებია. სტუმართა მეკარემ გუნდი რამდენჯერმე იხსნა აშკარა გოლისგან. თავის მხრივ იმავე პატარიძემ ერთხელ საკმაოდ მზაკვრულად დაურტყა ვოლკოვს, თუმცა მეკარემ იმარჯვა და საკმაოდ რთული ბურთი მოიგერია. დრო იწურებოდა, ლანჩხუთელთა ქაოსურ შეტევებს კი შედეგი არ მოჰქონდა. მასპინძლები უფრო და უფრო მწვავედ იჩხვლიტებოდნენ. ჩომახიძის კართან გოლის სუნი ტრიალებდა. ისიანმა მარცხენა ფლანგზე გაილაღა და მისი აქტიურობა მოსეშვილმა მეორე გატანილ ბურთში გარდასახა. იმ დღეს მოსეშვილმა თავისი თამაშით ეს გოლი ნამდვილად დაიმსახურა.

შეხვედრის მიწურულს „სიონის“ გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, შეცვლაზე შესულმა სვანიძემ მასპინძელთა სამი ქულა საბოლოოდ გააფორმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 40:11 | 41 |
| ლოკომოტივი | 17 | 12 | 3 | 2 | 32:8 | 39 |
| ბათუმი | 17 | 9 | 4 | 4 | 24:21 | 31 |
| მერანი | 17 | 9 | 2 | 6 | 31:24 | 29 |
| დინამო | 17 | 8 | 4 | 5 | 36:17 | 28 |
| კოლხეთი | 17 | 8 | 3 | 6 | 27:26 | 27 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 6 | 6 | 5 | 25:22 | 24 |
| სიონი | 17 | 5 | 4 | 8 | 14:23 | 19 |
| გურია | 17 | 2 | 6 | 9 | 12:29 | 12 |
| მეტალურგი | 17 | 2 | 6 | 9 | 10:30 | 12 |
| გორდა | 17 | 2 | 4 | 11 | 14:33 | 10 |
| სამგურალი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:34 | 10 |

## ინგლისი

XIV ტური

**ნიუკასლი 1:0 დერბი ქაუნთი**

1:0 შირერი (30პ)
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, რ. ელიოტი, ლი, სპიდი, სოლანო, რობერი (ლუა-ლუა 89), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
დერბი ქაუნთი: პოომი, რიგოტი, მავენი, ჰიგინბოთემი, გრენე, ზავაგნო (ბოერტიენი 87), ბარლი, დ. პაუელი (კრისტი 75), დიუკრო, კარბონე, რავანელი
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
გაფრთხილება: გივენი, რიგოტი, მავენი
მსაჯი: სტაილზი
50 070 მაყურებელი

**ჩელსი 0:0 ბლეკბერნი**

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, ტერი, ლე სო, სტანიჩი, პეტი, ლამპარდი, ზენდენი (დალაბონა 46), ჰასელბაინკი, ძოლა (გუდიონსენი 46)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ბლეკბერნი: ფრიდელი, კერტისი, შორტი, ბერგი (იოჰანსონი 82), ბიორნებიე, გილესპი, დანი, ფლიტკროფტი, მაჰონი (ჰიუზი 60), დაფი, იენსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: დაფი, თუგაი
მსაჯი: პოლი
37 978 მაყურებელი

**არსენალი 3:1 მანჩესტერი**

0:1 სქოულზი (14), 1:1 ლიუნგბერგი (48), 2:1, 3:1 ანრი (80, 85)
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, ს. კემბელი, აშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი (გრიმანდი 83), ანრი, კანუ (ბერგკამპი 64)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ბლანი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი (ფ. ნევილი 57), ბექჰემი, ვერონი (იორკი 58), როი კინი, ფორლანი, სქოულზი, ვან ნისტელროოი (სოლსკაერი 77)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: აშლი, ლიუნგბერგი, ბლანი, ბარტეზი, ბექჰემი
მსაჯი: ჯოუნსი
38 174 მაყურებელი

**ლიდსი 1:1 ასტონ ვილა**

1:0 სმიტი (18), 1:1 კამლული (35)
ლიდსი: მარტინი, მილსი, რ. ფერდინანდი, მატეო, ჰარტი, ბაკე, ბეტი, ს. ჯონსონი, უოლკოქსი, რობი კინი, ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ასტონ ვილა: შმაიხელი, სტოუნი, ალფაი, მელბერგი, ა. რაიტი, მერსონი, ბოატენგი, ჰენდრი (ი. ტეილორი 50), კამლული, ჰაბლო ანხელი (დაბლინი 61), ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ჯონსონი, მილსი, ჰენდრი, რაიტი
გაძევება: სმიტი (32)
მსაჯი: ბერი
40 159 მაყურებელი

**ლივერპული 1:0 სანდერლენდი**

1:0 ჰესკი (22)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანში, ჰიიპია, რიისე, დ. მერფი (ბერგერი 68), ჰამანი, ჯერარდი, შმიცერი (ს. რაიტი 76), ჰესკი, ფაულერი (მაკალისტერი 46)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, უილიამსი (მაკარტნი 78), ტომე, გრეი, მაკატირი, გევინ მაკენი, ტირლველი (ლასლანდი 76), არკა (ბატლერი 58), ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ჯერარდი, ჰაასი, ტომე, მაკატირი
გაძევება: ჰამანი (44)
მსაჯი: ბენეტი
43 537 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:0 იფსვიჩი**

მიდლსბრო: კროსლი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, სტოკდეილი, კედრუ, გრინინგი, მარინელი (ჰადსონი 89), ჯონსტონი (უილსონი 77), მასტო, ნემეტი (უინდასი 75), ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
იფსვიჩი: სერენი, მრეიდარსონი, მაკინი, ბრემბლი, ვენუსი, კლაპამი, ჰოლანდი, ჯ. რაიტი, ბენტი (ნეილორი 67), ა. არმსტრონგი (კუნაგო 62), პერალტა (ტ. მილერი 75)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
გაფრთხილება: ნეილორი
მსაჯი: ბადი
38 586 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ფულემი**

ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, უიტლოუ, ბერგსონი, ჩარლტონი, ნოლანი, ვარჰურსტი, ფრანდსენი (ფარელი 84), გარდნერი (ჰოლდსუორთი 76), უოლესი, რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, გომა, მელვილი, ბრევეტი, კოლინზი, მალბრანკი (კლარკი 69), შ. დევისი, ლეგვინსკი, საჰა, ჰეილსი (ბოა მორტე 68)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ჰოლდსუორთი, ბრევეტი
მსაჯი: დინი
23 848 მაყურებელი

**ლესტერი 0:0 ევერტონი**

ლესტერი: ი. უოქერი, მარშალი, მ. ელიოტი, ფ. სინკლერი, დავიდსონი, სევიჯი, უაიზი, იზეტი, იმპი (როჯერსი 72), აკინბაი (ბენჯამინი 76), სკოუკროფტი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, ალექსანდერსონი, ჯემილი, გრაველსენი (გესქოინი 61), ნეისმიტი (ჰემბრიჯი 88), რაძინსკი, უოტსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: უაიზი, ბენჯამინი, ვეირი
მსაჯი: რენიე
21 539 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:0 ჩარლტონი**

1:0 პახარსი (59)
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, უილიამსი, ტელფერი, ოკლი, სვენსონი, მარსდენი, ბიტი, პახარსი (კ. დევისი 85)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ფიში, მ. ბრაუნი, კ. პაუელი, სტიუარტი (მაკდონალდი 83), კინსელა (პარკერი 71), იენსენი, კონჩესკი (ჯ. რობინსონი 65), ბარტლეტი, ჯ. იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ბრაუნი
მსაჯი: გალაჰერი
31 198 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ფერდინანდი (50)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შეპლი, რეპკა, დეილი, მონტო, ტ. სინკლერი, ლომასი (მონკუ 58), ჰათჩისონი, ჯ. კოული, კიტსონი, დეფო
მწვრთნელი: გლენ როედერი
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, კინგი, რიჩარდსი, ციგე, პოიეტი (ლეონარდსენი 52), ანდერტონი, ფრიონდი, ს. დევისი, ლ. ფერდინანდი, შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: კოული, მონკუ, ფრიონდი, პერი
მსაჯი: ელერეი
32 780 მაყურებელი

# ბარტეზის საკითხი მელოტი თავივით ნათელია

## იქ სადაც ფრანგები კოცნიდნენ, ინგლისელები შეიძლება შეგვინონ

**უკეთეს** დასაწყისს კაცი ვერ ინატრებდა: მეთოთხმეტე წუთზე მიკაელ სილვესტრმა ლორენი მოატყუა და ბურთი პოლ სქოულზს დაუგორა, ვისაც ფაქტობრივად ცარიელ კარში დარტყმის გარდა არაფერი დარჩენოდა.

მერე მონასტერი აირია. მეორე ტაიმის დაწყებისთანავე ტიერი ანრიმ მთელი მანჩესტერული დაცვა თავისკენ გაიტყუა და კარგი პასით ფრედერიკ ლიუნგბერგი ფაბიენ ბარტეზთან პირისპირ დატოვა — 1:1. თუმცა ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა, მთავარი თურმე წინ იყო.

„არსენალის" მორიგი იერიში უშედეგოდ დასრულდა, ბურთი ბარტეზს დარჩა. ფრანგმა მიმოიხედა, თანაგუნდელები შეათვალიერა და იქვე საჯარიმოსთან ტიერი ანრის ზუსტი პასი გაუკეთა. ანრი რის ანრია, მეტოქის მეკარე ამგვარი შეცდომისთვის არ დაესაჯა — 2:1.

მაგრამ ბარტეზიც რის ბარტეზია, ერთხელ მიქაროს და მეორე არ მიაყოლოს. ის და ანრი ბურთისთვის იბრძოდნენ, მეკარემ დაასწრო, დაიჭირა და მაშინვე ხელიდან გაუვარდა. ანრიმ არც ამჯერად დაინდო თვისტომი.

რა მოხდა მერე, ვინ არ შემცდარაო, ანუგეშა „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვანგერმა ბარტეზი, იგი მაინც ელოდა გოლს. 38 ათას კაცს შორის იყო სვენ გორან ერიკსონიც, რომელსაც სანაკრებოდ სურდა ფეხბურთელთა შერჩევა, მაგრამ საეჭვოა, ვინმე მოსწონებოდა. უ[illegible] ფ[illegible] უკმაყოფილო, ცხადია, „ჯ[illegible]" ფანობა დატოვა, რომლებიც [illegible] ნიერის [illegible] ლებით აღფრთოვანებულნი სულაც არ არიან და „მანჩესტერის" გადასწრების დაკარგულ შანსს მისტირიან.

ასევე უგოლოდ დასრულდა „მიდლსბრო" — „იფსვიჩის", „ბოლტონი" — „ფულემისა" და „ლესტერი" — „ევერტონის" შეხვედრები. აქ აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ „ლესტერს" ბოლო ოცდათხ პრემიერლიგურ მატჩში ოდენ სამი მოგება აქვს.

ლატვიელი მარიანს პახარსი კი ისტორიაში შევიდა, როგორც „საუთჰემპტონისთვის" პირველი გამარჯვების მომტანი. ცხადია, „საუთჰემპტონს" აქამდეც მოუგია, მაგრამ არა „სენტ მერიზე", თავის ახალ სტადიონზე.



REUTERS

საუკეთესო მეკარეა მსოფლიოშიო. ტიერი ანრიმ კი თქვა: „ფაბიენისგან ასეთ თამაშს არ ველოდი. ორი ისეთი საჩუქარი მიძღვნა, თავიდან დავიბენი კიდეც, მაგრამ დროულად მოვედი აზრზე და მოვიგეთ".

ამ მარცხმა „მანჩესტერი" მეექვსე ადგილამდე ჩააცოცა, ლიდერი კი უცვლელია — „ლივერპული".

შუა კვირაში „ბარსელონასგან" შერცხვენილმა ლივერპულელებმა ემილ ჰესკის ერთადერთი გოლით სძლიეს „სანდერლენდს" და, ეს მაშინ, როცა დიტმარ ჰამანი გაუძევეს, ხოლო მაიკლ ოუენს ტრავმის გამო სულაც არ უთამაშია. თუმც ისიც აღსანიშნია, რომ მთელი მეორე ტაიმი სტუმრები გვარიან უპირატესობას ფლობდნენ.

„ლიდსმა" და „ასტონ ვილამ" ფრედ ითამაშეს და აქ ალან სმიტი უნდა გამოვარჩიოთ. სმიტმა ლიდსელები ადრევე დააწინაურა, მაგრამ იმდენი ქნა, ბირმინგემელთა თურქი ალფაის გალახვისთვის მსაჯს თავი გააგდებინა. „ვილაც" თითქოს ამას ელოდაო, სამ წუთში გაათანაბრა. „ლიდსის" მენეჯერმა დევიდ ოლირიმ სმიტის საქციელი ახალგაზრდული თავქარიანობით ახსნა.

საშინაო მატჩში „ნიუკასლმა" დაამარცხა „დერბი ქაუნთი" და ეს ალან შირერის თერთმეტმეტრიანით მოახერხა. პენალტი კი კრის რიგოტის მიერ ლორან რობერის წაქცევისთვის დაინიშნა. აქვე გავიხსენოთ, რომ შირერმა წინა ტურში „ფულემის" ედვინ ვან დერ სარს ვერ გაუტანა პენალტი, რაც, მგონი, პირველი შემთხვევა იყო მისთვის.

დერბელთაგან ერთი კარგი მომენტი ჰქონდა ჭალარა ფაბრიციო რავანელის, მაგრამ ნიუკასლელთა კარის დარაჯშეი გივენს ვერ აჯობა და „დერბიც" გასავარდნთა ზონაში ჩარჩა.

„სტემფორდ ბრიჯზე" ქომაგი ამაოდ

**ირაკლი ნინიძე**



REUTERS

ლივერპული — სანდერლენდი. იონ არნე რიისე ბურთს დაემალა

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 12 | 8 | 2 | 2 | 22:11 | 11 | 26 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 |
| 2 ლიდსი | 13 | 6 | 6 | 1 | 16:8 | 8 | 24 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 12 |
| 3 არსენალი | 13 | 6 | 5 | 2 | 28:15 | 13 | 23 | 6 | 2 | 2 | 2 | 14:11 | 3 | 8 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:4 | 10 | 15 |
| 4 ნიუკასლი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:17 | 6 | 23 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 10 |
| 5 ასტონ ვილა | 13 | 6 | 5 | 2 | 18:12 | 6 | 23 | 7 | 4 | 3 | 0 | 9:3 | 6 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 6 მანჩესტერი | 13 | 6 | 3 | 4 | 31:23 | 8 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 16:17 | -1 | 8 |
| 7 ტოტენჰემი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:18 | 3 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 2 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 10 |
| 8 ჩელსი | 13 | 4 | 8 | 1 | 16:11 | 5 | 20 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 2 | 10 |
| 9 ბოლტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:17 | 1 | 20 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 8 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | 6 | 12 |
| 10 ბლეკბერნი | 14 | 4 | 7 | 3 | 21:16 | 5 | 19 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:6 | 8 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 |
| 11 ფულემი | 13 | 4 | 6 | 3 | 15:13 | 2 | 18 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 12 ევერტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 18:17 | 1 | 17 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 4 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 6 |
| 13 სანდერლენდი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:15 | -3 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:7 | -4 | 5 |
| 14 მიდლსბრო | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | -4 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:12 | -1 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 6 |
| 15 ვესტ ჰემი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:26 | -10 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 10 | 7 | 1 | 2 | 4 | 9:22 | -13 | 5 |
| 16 ჩარლტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 16:18 | -2 | 14 | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 8 |
| 17 საუთჰემპტონი | 13 | 3 | 1 | 9 | 11:22 | -11 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 | 7 | 2 | 0 | 5 | 5:10 | -5 | 6 |
| 18 დერბი ქაუნთი | 13 | 2 | 4 | 7 | 10:23 | -13 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:15 | -12 | 1 |
| 19 ლესტერი | 14 | 2 | 4 | 8 | 7:25 | -18 | 10 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:12 | -8 | 6 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:13 | -10 | 4 |
| 20 იფსვიჩი | 14 | 1 | 6 | 7 | 14:22 | -8 | 9 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 5 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 12 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 9 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 7 |
| ოუენი (ლივერპული) | 7 |

**XV ტური**
1 დეკემბერი

ასტონ ვილა - ლესტერი
ბლეკბერნი - მიდლსბრო
ჩარლტონი - ნიუკასლი
დერბი ქაუნთი - ლივერპული
ევერტონი - საუთჰემპტონი
ფულემი - ლიდსი
იფსვიჩი - არსენალი
მანჩესტერი - ჩელსი
სანდერლენდი - ვესტ ჰემი
ტოტენჰემი - ბოლტონი

## პირველი დივიზიონი

XXI ტური

**ბირმინგემი 2:0 ქოვენთრი**
1:0, 2:0 მარსელო (17, 61)

**უოტფორდი 3:0 პორტსმუთი**
1:0 რობინსონი (22), 2:0 კოქსი (44), 3:0 ისა (86)

**ქრიუ 0:3 ნოტინგემი**
0:1, 0:2 ჯონსონი (12, 55), 0:3 ჯონი (82)

**მანჩესტერ სიტი 2:1 როტერჰემი**
0:1 სვეილზი (24), 1:1 ნეგუაი (43), 2:1 ბენარბია (88)

**მილუოლი 1:2 ჯილინგემი**
1:0 ჩეპილი (69), 1:1 იპუა (83), 1:2 კინგი (88)

**ნორვიჩი 2:1 ბარნსლი**
1:0 რობერტსი (30), 1:1 ბერკერი (56), 2:1 მალრინი (82)

**პრესტონი 2:1 კრისტალ პალასი**
0:1 ფრიდმენი (16), 1:1 კროსველი (52), 2:1 ალექსანდერი (80პ)

**შეფილდ უენსდი 5:0 სტოკპორტი**
1:0 მედიქსი (37), 2:0 სიბონი (70პ), 3:0 მორისონი (83), 4:0 სოლტვედტი (85), 5:0 ეკოკუ (86)

**უოლსოლი 1:2 შეფილდ იუნაიტედი**
1:0 ვრაკი (21), 1:1 ბრაუნი (43), 1:2 ნიკოლსონი (45პ)

**ვესტ ბრომვიჩი 1:0 ბრედფორდი**
1:0 მაკინსი (40)

**უიმბლდონი 0:1 ვულვერჰემპტონი**
0:1 სტარიჯი (82)

**ბარნლი 1:0 გრიმსბი**
1:0 ტეილორი (3)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 21 | 12 | 4 | 5 | 40:28 | 40 |
| ვულვზი | 19 | 11 | 5 | 3 | 29:14 | 38 |
| ნორვიჩი | 21 | 11 | 3 | 7 | 29:27 | 36 |
| პრესტონი | 21 | 9 | 8 | 4 | 35:25 | 35 |
| ვესტ ბრომვიჩი | 20 | 11 | 2 | 7 | 24:18 | 35 |
| კრისტალ პალასი | 19 | 11 | 1 | 7 | 42:28 | 34 |
| სიტი | 19 | 10 | 3 | 6 | 45:29 | 33 |
| მილუოლი | 19 | 9 | 4 | 6 | 33:23 | 31 |
| ქოვენთრი | 19 | 9 | 4 | 6 | 23:18 | 31 |
| პორტსმუთი | 20 | 8 | 6 | 6 | 30:27 | 30 |
| ბირმინგემი | 20 | 8 | 5 | 7 | 32:29 | 29 |
| ბრედფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 39:38 | 29 |
| უოტფორდი | 20 | 8 | 4 | 8 | 33:26 | 28 |
| ნოტინგემი | 20 | 7 | 7 | 6 | 22:18 | 28 |
| უიმბლდონი | 21 | 6 | 8 | 7 | 35:33 | 26 |
| შეფილდი | 21 | 6 | 8 | 7 | 22:25 | 26 |
| ჯილინგემი | 20 | 7 | 4 | 9 | 29:29 | 25 |
| როტერჰემი | 21 | 5 | 7 | 9 | 26:34 | 22 |
| უენსდი | 21 | 5 | 7 | 9 | 24:32 | 22 |
| ქრიუ | 21 | 5 | 7 | 9 | 19:34 | 22 |
| უოლსოლი | 21 | 5 | 5 | 11 | 23:34 | 20 |
| გრიმსბი | 21 | 5 | 5 | 11 | 21:40 | 20 |
| ბარნსლი | 20 | 3 | 6 | 11 | 22:43 | 15 |
| სტოკპორტი | 20 | 2 | 6 | 12 | 21:46 | 12 |

## მეორე დივიზიონი

მე-20 ტური: ბრენტფორდი — ქუინზ პარკი 0:0; ბრისტოლი — ბლეკპული 2:1; ჩესტერფილდი — ბორნმუთი 2:1; კოლჩესტერი — ბერი 0:1; ნორთჰემპტონი — უიგანი 0:2; ნოტსი — კარდიფი 0:0; ოლდემი — უიკომბი 2:0; პიტერბორო — რედინგი 1:2; პორტ ვეილი — ჰადერსფილდი 1:1; სუინდონი — ბრაიტონი 1:1; ტრანმერი — კემბრიჯი 6:1; რექსემი — სტოკი 0:1

## მესამე დივიზიონი

მე-20 ტური: ექსეტერი — ლეიტონი 0:0; ჰალიფაქსი — ტორკი 2:0; ჰალი — როჯერსი 0:0; კიდერმინსტერი — რაშდენი 3:0; მაკლსფილდი — ლუტონი 4:1; მენსფილდი — იორკი 1:1; ოქსფორდი — ჩელტენემი 3:0; პლიმუთი — კარლაილი 3:0; როჩდეილი — ლინკოლნი 2:2; სკანთორპი — დარლინგტონი 7:1; შრიუსბერი — საუთენდი 2:0; სუონსი — ჰარტლპული 0:1

## ლიგის თასი

1/8 ფინალის წილისყრა

დღეს: არსენალი — გრიმსბი (!); ბოლტონი — საუთჰემპტონი; ნიუკასლი — იფსვიჩი; უოტფორდი (!) — ჩარლტონი
ხვალ: ასტონ ვილა — შეფილდ უენსდი; ბლექბერნი — მანჩესტერ სიტი; ლიდსი — ჩელსი
ზეგ: ფულემი — ტოტენჰემი

# ცისფრები ჯოხზე და ქართველებზე ატეკვდნენ
## ეფენბერგს ისევ ატკინეს



მარცხიანები მარცხნიდან მარჯვნივ: ჰუუბ სტევენსი, ანდრეას ბრემე და კურტ იარა

### გერმანია

XIV ტური

**ბაიერნი 0:0 ნიურნბერგი**

პიზარომ ვერ გაიტანა პენალტი (12, მეკარე)

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლინკე, რ. კოვაჩი, ტარნატი, ფინკი (სფორცა 74), ეფენბერგი (ნ. კოვაჩი 46), ჰარგრივსი, სერჟიო, პიზარო (ელბერი 70), იანკერი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

**ნიურნბერგი:** კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ვიბლიშაუზერი, პასლაკი (კრჟინოვეკი 70), ლარსენი, ტავკარი, მიულერი, მიხალკე (მიოკლი 86), რინკე (დრილერი 76)

მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი

გაფრთხილება: სერჟიო, ლინკე, ნიკლი, ვიბლიშაუზერი

მსაჯი: ვაინერი

63 000 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:1 მიონხენგლადბახი**

1:0 მარიჩი (6), 2:0 პეტროვი (22), 3:0 პონტე (57), 3:1 ვან ჰუდტი (65)

**ვოლფსბურგი:** რაიტმაიერი, გრაინერი (ბილისკოვი 41), ფრანცი, რაუ (კრიგერი 74), შნოორი, კარჰანი, აკონორი, მუნტიანუ, პონტე, პეტროვი, ტ. მარიჩი (შარპი 67)

მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი

**მიონხენგლადბახი:** შტილი, ებერლი (კლუგი 46), პლეტში, კორელი (ვიტეჩეკი 72), მიუნხი, ასანინი, ჰაუსვაილერი, ულიხი, მაიკელი (კუნცელი 64), ვან ჰუდტი, ვან ლენტი

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

გაფრთხილება: პონტე, კორელი, ჰაუსვაილერი, ვან ლენტი

მსაჯი: ფლაიშერი

14 493 მაყურებელი

**კოტბუსი 0:0 შტუტგარტი**

**კოტბუსი:** პიპლიცა, და სილვა, ბეეკი, სკერბე, აკრაპოვიჩი, კობილანსკი (მუჟოროვიჩი 29), რეგეკამპფი, მირიუტა (ლაბაკი 63), კალუჟნი, ჰელბიგი, ტოპიჩი (ბრაზილია 79)

მწვრთნელი: ედუარდ გაიერი

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი (ენდრესი 63), გლები (ტიფერტი 63), ბალაკოვი, ზაიცი (ადემარი 88), განეა

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: კალუჟნი, და სილვა, აკრაპოვიჩი, ჰელბიგი, გლები, ზაიცი, მაისნერი, ჰინკელი

გაძევება: სკერბე (88)

მსაჯი: კრუგი

13 780 მაყურებელი

**ზანქტ პაული 1:2 კიოლნი**

0:1 სინკალა (28), 0:2 ცელვეგერი (31), 1:2 გიბსი (88)

**ზანქტ პაული:** ბულატი, ამადუ (პაჩინსკი 75), სტანისლავსკი, გიბსი, ჰელდი (ბარისი 66), ბიურგერი, ბერე (რატი 43), რანი, მეგლე, სეისი, მარკაო

მწვრთნელი: დიტმარ დემუტი

**კიოლნი:** პრიოლი, ცელვეგერი, ჩიკონი, სონგი, კულმანი, რეები (ტივიორი 57), შპრინგერი, სინკალა (ლოტნერი 80), შერცი, რაიხი (სიხონე 83), კურტი

მწვრთნელი: ევალდ ლინენი

გაფრთხილება: ამადუ, ბერე, მეგლე, სინკალა, ცელვეგერი, კულმანი, რაიხი

გაძევება: პაჩინსკი (90)

მსაჯი: მერკი

19 617 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:1 ჰამბურგი**

0:1 ალბერტცი (7), 1:1 ბალაკი (14), 2:1, 3:1, 4:1 ნოივილი (27, 58, 63)

**ლევერკუზენი:** ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, სებესკენი, პლასენტე (ვივკოვიჩი 80), რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშტურკი (ვრანიეში 75), კირსტენი, ნოივილი (ბრდარიჩი 85)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

**ჰამბურგი:** პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა (ტოფტინგი 21), იუფუსლუში, გროთი, მალტრიცი, ჰოლერბახი, ალბერტცი, ბარბარეზი (მანადიჩი 73), პრეგერი, მეიერი

მწვრთნელი: კურტ იარა

გაფრთხილება: პრეგერი, მალტრიცი, ტოფტინგი

მსაჯი: ფანდელი

22 500 მაყურებელი

**შალკე 1:4 ვერდერი**

0:1 ბოდე (20), 0:2 აილტონი (28), 0:3 ლისტეში (49), 0:4 სკრიპნიკი (51პ), 1:4 სანდი (58)

**შალკე:** რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ვან ჰოოგდალემი (ვილმოტსი 56), ნემეცი, ასამოა (უდე კამფისი 61), მიოლერი, ბიომე (ვერმანტი 46), სანდი, მულდერი

მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი

**ვერდერი:** როსტი, ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ტიკუზუ, ფრინგსი, ერნსტი (ბოროვკა 84), სკრიპნიკი, ლისტეში (სტალტერი 74), აილტონი (კლასნიჩი 88), ბოდე

მწვრთნელი: თომას შააფი

გაფრთხილება: ბიომე, ასამოა, ვალდოხი, ჰაიტო, აილტონი

მსაჯი: ვაკი

60 204 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 ჰერტა**

1:0 რიდლევიჩი (67პ), 1:1 რემერი (82)

**ჰანზა:** შობერი, იაკობსონი, შრიოდერი, ისაერი (ლანგე 89), ჰილი, ლანცი (ვაისჰაუპტი 83), ჰირში, რიდლევიჩი, ვიბრანი, ბაიერლე, არვიდსონი

მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი

**ჰერტა:** ფიდლერი, რემერი, ვან ბურიკი (ლაპაჩინსკი 50), სვერისონი, ჰარტმანი, შმიდტი, დარდაი, ბაინლიხი, გოორი, მარსელინიო (ნოიენდორფი 58), პრეეცი (დაეი 74)

მწვრთნელი: იურგენ რიობერი

გაფრთხილება: შობერი, სვერისონი, მარსელინიო, შმიდტი, ნოიენდორფი

მსაჯი: მეიერი

14 700 მაყურებელი

**ფრაიბურგი 1:3 მიუნხენი**

0:1 ბორიმიროვი (23), 1:1 ცაიერი (28), 1:2 ჰესლერი (40), 1:3 შროტი (67)

**ფრაიბურგი:** გოლცი, მიულერი, დიარა, ჰერმელი (რამდანე 69), ცაიერი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ტანკო, ვ. ბუტი (კულიბალი 46), სელიმი, იაშვილი

მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**მიუნხენი:** იენჩი, ვოტავა, ტაპალოვიჩი, ელერსი, ჩერნი, ბორიმიროვი, ვიზინგერი, ბიეროფკა (ვაისენბერგერი 60), ჰესლერი, შროტი (დედენი 88), ბიურკი

მწვრთნელი: პეტერ პაკულტი

გაფრთხილება: ტაპალოვიჩი

მსაჯი: იანსენი

24 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ევერტონი (77), 2:0, 3:0 ამოროზო (86პ, 90)

**დორტმუნდი:** ლემანი, მეცელდერი, იურგენ კოლერი, ევანილსონი, ოლისე, ჰაინრიხი (ვიორნსი 61), რიკენი, როსიცკი (სტევიჩი 66), ევერტონი (ჰერლიხი 89), იან კოლერი, ამოროზო

მწვრთნელი: მათიას ზამერი

**კაიზერსლაუტერნი:** გ. კოხი, ჰ. კოხი (კლოსი 67), ვესტი, რამზი, ჰენგენი, გრამოცისი, რიდლი, მალცი (შტრასერი 76), ლინკოლნი, ლოკვენცი, კლოზე

მწვრთნელი: ანდრეას ბრემე

გაფრთხილება: როსიცკი, ჰ. კოხი, გ. კოხი, მალცი

მსაჯი: ვაგნერი

67 000 მაყურებელი

**ზედიზედ** მესამე მატჩია, მიუნხენის „ბაიერნს“ არ მოუგია, თუმც ოტმარ ჰიცფელდის გუნდის ჩავარდნაზე ლაპარაკი უადგილოა — ბავარიულ სუპერკლუბს კვლავაც ტრავმირებულ ფეხბურთელთა არყოფნა ადარდებს და მიუხედავად მცირე წარუმატებლობებისა, არცთუ ურიგო შთაბეჭდილებას ტოვებს, რათა ისევ გაიბრძოლოს სინისთვის თუ ლიგის თასისთვის.

შაბათს მიუნხენელები ჩრდილობავარიელებს მასპინძლობდნენ. „ბაიერნისა“ და ბუნდესნაკრების ყოფილი ლიბეროს, კლაუს აუგენტალერის დამოძღვრილი „ნიურნბერგი“ ერთობ ყოჩაღად იდგა „ოლიმპიაშტადიონზე“. სხვათა შორის, აუგენტალერმა სამწვრთნელო პრაქტიკაც „ბაიერნში“ გაიარა, სადაც კარგა ხანს მუშაობდა მთავარი მწვრთნელების თანაშემწედ. „ნიურნბერგი“, ცხადია, დაცვაში ჩადგა, მაგრამ „ბაიერნმა“ მაინც მრავლად შექმნა გამოუყენებელი საგოლე მომენტები. საუკეთესო შანსი კლაუდიო პიზაროს ჰქონდა, რომელსაც 11-მეტრიანიდან გოლის გატანა ღარიუს კამპამ არ დაანება.

ერთ-ერთ აუტსაიდერთან უგოლო ფრე იქით იყოს და, „ბაიერნს“ გაცლებით უსიამოვნო ამბავიც შეემთხვა — ახლადგამოჯანმრთელებული შტეფან ეფენბერგი კვლავ დაშავდა, მას თეძოს კუნთი გაუწყდა და, რა თქმა უნდა, ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასისთვის გუნდს ვერაფრით შეეშველება „ბოკა ხუნიორსის“ წინააღმდეგ.

„ნიურნბერგთან“ ნამატჩევს უკმაყოფილებას ვერ მალავდა ოტმარ ჰიცფელდი: „ჩვენ თვითონ გავირთულეთ ცხოვრება, მთელი პირველი ტაიმი გვეძინა და ვერც პენალტი გავიტანეთ. მეორე ტაიმში მეტოქეზე ზეწოლა კი გავაძლიერეთ, მაგრამ იღბალმა ზურგი შეგვაქცია. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პირველ საგოლე მომენტებს. ადრე ჩვენ შეგვეძლო მათი გამოყენება, დღეს კი „ნიურნბერგულ კედელს“ შევეჯახეთ“.

აქვე დავძენთ, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში „ბაიერნმა“ შინ პირველად დაკარგა ქულები.

ისევ ლიდერობს და ჯერაც დაუმარცხებელია კლაუს ტოპმოლერის „ლევერკუზენი“. მისი მსხვერპლი ამჯერად „ჰამბურგი“ იყო. გერმანიის უმსხვილესი საპორტო ქალაქის გუნდი ყოფილი რეინჯერსელის იორგ ალბერტცის გოლით კი დაწინაურდა, მაგრამ მიხაელ ბალაკმა შვიდ წუთში გაათანაბრა, ხოლო როცა ოლივერ ნოივილმა მასპინძლები დააწინაურა, „ჰამბურგმა“ ყურები ჩამოყარა და მეტოქეს წინააღმდეგობა ველარ გაუწია. ნოივილმა კი ჰეთ თრიქით რუდი ფიოლერს ერთხელაც მიანიშნა, ნაკრებში დაჯავშნული ადგილი მეკუთვნისო.

უშელავათო ბრძოლა გაიმართა „ვესტფალენშტადიონზე“, ოღონდ, მხოლოდ 77-ე წუთამდე. ანრეას ბრემეს ბიჭები ინგლისური დასახელების ბრაზილიელმა ფორვარდმა ევერტონმა გატეხა, მერე მარსიო ამორუზომაც გამოიდო თავი და მათიას ზამერის „დორტმუნდიც“ მესამე ადგილზე ალზევდა.

იშტაზე არიან „ბრემენელი მუსიკოსები“. მათ ამჯერად „შალკე“ დაიბრიყვეს, წინა ტურში კი, მოგეხსენებათ, შინ „ბაიერნი“ დასცეს. თომას შააფის გუნდში ამჯერადაც გამოირჩა უკრაინელი მარ[illegible] სკრიპნიკი. მან ისევე, როგორც „ბაიერნთან“, კვლავ 11-მეტრიანიდან [illegible] [illegible] ლისტემ კი ერთობ ეფექტური გოლით დაამწუხრა გელზენკირხენელები.

თავი ვერაფრით გამოიჩინეს არგავარდნისთვის მებრძოლმა აღმოსავლეთგერმანულმა გუნდებმა. „კოტბუსსის“ მცველ იორგ სკერბეს გაძევებამ შეუშალა ხელი, როსტოკის „ჰანზას“ კი „ჰერტას“ და ბუნდესნაკრების მცველმა მარკო რემერმა, რომელმაც მატჩის მიწურულს იხსნა ბერლინელები. ეს „ჰერტასთვის“ ზედიზედ მერვე წაუგებელი მატჩი გამოდგა.

როგორც იქნა, მოიგო ტრავმირებულ არჩილ არველაძის გარეშე მოთამაშე „კიოლნმა“: ევალდ ლინენის გუნდი ბოლოადგილოსან „ზანკტ პაულთან“ ახალშენაძენმა შვეიცარიელმა მარკ ცელვეგერმა და ზამბიელმა მცველმა ენდრიუ სინკალამ ახეირეს.

თომას ჰესლერმა ახალგაზრდობა გაიხსენა და ფოლკერ ფინკეს ონავარი ჯეელები კარგადაც დატუქსა. ვეტერანი დირიჟორის ჯოხზე აცეკვებული „ცისფერი ლომების“ შემჩერებელი, „ფრაიბურგი“ იმ დღეს ნაღდად არ იყო. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ „მიუნხენის“ მეკარე იენჩი ჩინებულად ირჯებოდა. ქართველთაგან „კიკერმა“ ყველაზე მაღალი შეფასება ლევან ცქიტიშვილს მისცა (3,5), ლევან კობიაშვილს და ალექსანდრე იაშვილს „ოთხიანები“ არგუნა. თვით თომას ჰესლერს კი უმაღლესი შეფასება, ერთიანი დაუწერა.

**დავით თავართქილაძე**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 14 | 11 | 3 | 0 | 37:15 | 22 | 36 | 7 | 6 | 1 | 0 | 20:7 | 13 | 19 | 7 | 5 | 2 | 0 | 17:8 | 9 | 17 |
| 2 ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 30:5 | 25 | 32 | 7 | 6 | 1 | 0 | 17:1 | 16 | 19 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:4 | 9 | 13 |
| 3 დორტმუნდი | 14 | 10 | 1 | 3 | 24:9 | 15 | 31 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 7 | 6 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 18 |
| 4 ლაუტერნი | 14 | 9 | 1 | 4 | 30:20 | 10 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 12 | 19 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 9 |
| 5 ვერდერი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:15 | 7 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 10 |
| 6 ჰერტა | 14 | 7 | 3 | 4 | 23:18 | 5 | 24 | 7 | 5 | 0 | 2 | 15:7 | 8 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:11 | -3 | 9 |
| 7 შტუტგარტი | 14 | 6 | 4 | 4 | 17:14 | 3 | 22 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:1 | 9 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | -6 | 7 |
| 8 შალკე | 14 | 6 | 4 | 4 | 16:17 | -1 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:9 | 5 | 16 | 7 | 1 | 3 | 3 | 2:8 | -6 | 6 |
| 9 მიუნხენი | 14 | 5 | 2 | 7 | 19:27 | -8 | 17 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:18 | -11 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 10 |
| 10 ფრაიბურგი | 14 | 4 | 4 | 6 | 19:23 | -4 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 3 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |
| 11 ვოლფსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:20 | 1 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:6 | 6 | 11 | 7 | 1 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 4 |
| 12 გლადბახი | 14 | 3 | 5 | 6 | 16:21 | -5 | 14 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:14 | -4 | 7 |
| 13 ჰამბურგი | 14 | 3 | 4 | 7 | 15:22 | -7 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 5 |
| 14 ჰანზა | 14 | 3 | 4 | 7 | 12:20 | -8 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:9 | -3 | 6 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 7 |
| 15 კოტბუსი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:25 | -12 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | -8 | 5 |
| 16 ნიურნბერგი | 14 | 3 | 2 | 9 | 10:24 | -14 | 11 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:13 | -11 | 4 |
| 17 კიოლნი | 14 | 3 | 2 | 9 | 11:26 | -15 | 11 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | -8 | 5 |
| 18 ზანქტ პაული | 14 | 1 | 4 | 9 | 13:27 | -14 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:17 | -10 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 9 |
| პიზარო (ბაიერნი) | 8 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 8 |
| ელბერი (ბაიერნი) | 7 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |

**XV ტური**

2 დეკემბერი

მიუნხენი - კოტბუსი
შტუტგარტი - გლადბახი
ჰერტა - ბაიერნი
ნიურნბერგი - შალკე
ვერდერი - ლევერკუზენი
ჰამბურგი - ზანქტ პაული
კიოლნი - დორტმუნდი
ლაუტერნი - ფრაიბურგი
ჰანზა - ვოლფსბურგი

### მეორე ბუნდესლიგა

XIV ტური

**ფიურტი 3:1 უნტერჰახინგი**

1:0 რუმანი (4), 2:0 რაიხელი (45), 3:0 რუმანი (79), 3:1 ლექსა (82)

გიორგი დეკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**დუისბურგი 0:1 ბოხუმი**

0:1 გრაულუნდი (2)

**აინტრახტი 1:1 ჰანოვერი**

1:0 კრიშალოვიჩი (30), 1:1 შტეფული (39)

**არმინია 0:1 მაინცი**

0:1 ვორონინი (64)

**ზაარბრიუკენი 1:0 ობერჰაუზენი**

1:0 კოვაჩევიჩი (47)

**როიტლინგენი 1:0 კარლსრუე**

1:0 ბეკერი (90)

**უნიონი 5:1 ალემანია**

1:0 ფილი (37), 2:0 მენზე (51), 3:0 ვიდოლოფი (57), 3:1 შმიდტი (68), 4:1 ფილი (81), 5:1 მენზე (85პ)

**ვალდჰოფი 4:1 ბაბელსბერგი**

0:1 ჩალასკევიჩი (17პ), 1:1 ლიხტი (29), 2:1 პასეკა (43), 3:1 ტებერი (59), 4:1 კლაუსცი (88)

**შვაინფურტი — ალენი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 14 | 11 | 2 | 1 | 30:11 | 35 |
| ჰანოვერი | 14 | 8 | 6 | 0 | 36:11 | 30 |
| არმინია | 14 | 8 | 2 | 4 | 25:12 | 26 |
| აინტრახტი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:14 | 26 |
| ბოხუმი | 14 | 6 | 5 | 3 | 25:20 | 23 |
| უნიონი | 14 | 6 | 4 | 4 | 30:18 | 22 |
| ფიურტი | 14 | 6 | 4 | 4 | 21:15 | 22 |
| როიტლინგენი | 14 | 6 | 2 | 6 | 25:25 | 20 |
| კარლსრუე | 14 | 6 | 2 | 6 | 20:22 | 20 |
| ალენი | 13 | 6 | 2 | 5 | 24:30 | 20 |
| უნტერჰახინგი | 14 | 5 | 2 | 7 | 15:18 | 17 |
| ალემანია | 14 | 4 | 3 | 7 | 14:28 | 15 |
| დუისბურგი | 14 | 3 | 5 | 6 | 17:21 | 14 |
| ვალდჰოფი | 14 | 3 | 5 | 6 | 16:22 | 14 |
| შვაინფურტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:24 | 12 |
| ბაბელსბერგი | 14 | 3 | 2 | 9 | 16:35 | 11 |
| ობერჰაუზენი | 14 | 2 | 3 | 9 | 18:25 | 9 |
| ზაარბრიუკენი | 14 | 2 | 3 | 9 | 10:22 | 9 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-19 ტური: ლევერკუზენი (მ.) — ბრაუნშვაიგი 1:0; ვატენშაიდი — აუე 2:1; ესენი — კილი 1:0; მაგდებურგი — ვერდერი (მ.) 2:2; ოსნაბრიუკი — პადერბორნი 2:0; ლიუბეკი — ფორტუნა 2:0; იურდინგენი — დრეზდენი 3:0; ქემნიცი — დიუსელდორფი 1:0; ფერლი — მიუნსტერი 2:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-20 ტური: ბურგჰაუზენი — კიკერსი 2:0; დარმშტადტი — ჰოფენჰაიმი 1:1; ვეჰენი — ერფურტი 1:0; შტუტგარტი (მ.) — ოფენბახი 0:2; მანჰეიმი — ფულდა 1:1; ტრირი — ელვერსბერგი 2:1; კაიზერსლაუტერნი (მ.) — ბაიერნი (მ.) 1:2. ანსბახი — რეგენსბურგი და აალენი — ზიგენი გადაიდო

## ესპანეთი

XIV ტური

### სოსიედადი 2:0 ვალენსია

1:0, 2:0 იანკაუსკასი (37, 65პ)
სოსიედადი: ალბერტო, ლოპეს რეკარტე, კვარმე, ლუის ალბერტო, არანსაბალი, ხაბი ალონსო, არანბურუ, ტაიფური, ხოხლოვი, დე პედრო (ხაბილონდო 58), იანკაუსკასი (დე პაულა 84)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
ვალენსია: კანისარესი, კარბონი, პელეგრინო, აიალა, კურო ტორესი, ალბელდა (აიმარი 70), მარჩენა, რუფეტე (მისტა 55), ვისენტე (კილი გონსალესი 23), ხუან სანჩესი, კარეუ
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ლუის ალბერტო, ხაბი ალონსო, ალბელდა, მისტა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
27 000 მაყურებელი

### ბარსელონა 1:2 ბილბაო

0:1 ურსაისი (10), 1:1 რივალდო (58), 1:2 ეჩკერი (80)
ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ფ. ანდერსონი, ფ. დე ბური, კოკო, ხავი, როჩემბაკი (რივალდო 56), გაბრი, კლუივერტი, ოვერმარსი, სავიოლა (ხერარდი 84)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
ბილბაო: ლაფუენტე, ხავი გონსალესი, ლაკრუსი, ოსკარ ვალესი, ფელიპე, ტიკო, ალკისა, ორბაისი, იესტე (კარლოს გარსია 63), ხ. ეჩებერია (ეჩკერი 69), ურსაისი (მურილიო 77)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კლუივერტი, დე ბური, როჩემბაკი, ალკისა, ლაკრუსი, ანდერსონი, რივალდო, ლაკრუსი
გაძევება: ლაკრუსი (76), ალექსანკო (93, „ბარსელონას“ მწვრთნელის თანაშემწე)
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
50 000 მაყურებელი

### ტენერიფე 1:0 მალაგა

1:0 სლოვაკი (56)
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, ხავი ვენტა, პაბლო პასი, ლუქსემბურგი, ბასავილბასო, სლოვაკი, მარტი, ივან ანია, უგო მორალესი (ხაიმე 79), მარიონი (ფუერტესი 72), ხისკო (აკორანი 67)
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
მალაგა: პედრო კონტრერასი (რაფა 61), რობასი (დუდა 66), ხოსემი, ფერნანდო სანსი, ისნატა, ხერარდო, მიგელ ანხელი, რომერო, მუსამბა (კანაბალი 66), დელი ვალდესი, ზარატე
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: ხისკო, ხაიმე, სლოვაკი, ფერნანდო სანსი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
12 500 მაყურებელი

### სარაგოსა 2:1 ლას პალმასი

1:0 იორდი (12), 2:0 ხუანელე (78), 2:1 სარასუა (90)
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, სუნდგრენი, პაკო ხემესი, ესკერდინია, აკუნია, ხოსე იგნასიო (შაინიუ 73), მარკოს ვალესი (გალეტი 77), ხუანელე, მარტინ ველისკა (გარიტანო 90), იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ანხელი, სარასუა, შურერი, ოლიასი, პაბლო ლაგო (ორლანდო 60), სემესი, ხორხე, ხოსიკო (ტევენეტი 60), კარმელო, რუბენი (სეკერისი 74)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: იორდი, შაინიუ, ესკერდინია, სარასუა, ხოსიკო
მსაჯი: ფერნანდეს მარინი
25 000 მაყურებელი

### სელტა 4:1 ესპანიოლი

0:1 ტამუდო (18პ), 1:1 კატანია (22), 2:1 ხესული (36), 3:1 კატანია (54), 4:1 ედუ (79)
სელტა: კავალიერი,ველასკო (კოირა 81), კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, ლუქსენი (ვაგნერი 81), დორივა, ხესული, კარპინი, გუსტავო ლოპესი (ედუ 67), კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ესპანიოლი: მორა, ლობო, როტჩენი, სოლდევილა, რაკარდო, მორალესი, ველამასანი (პალენსია 58), დე ლუკასი (ივან დიასი 72), როხერი (ოსკარი 72), მარტინ პოსე, ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
გაფრთხილება: ხუანფრანი, მარტინ პოსე, დორივა, სოლდევილა
მსაჯი: ესკიანას ტორესი
21 000 მაყურებელი

# რივალდომ დაარტყა: ბურთს და... ბასკს


REUTERS გამოცემისთვის

ბარსელონა — ბილბაო. რივალდოს ლაკრუსისთვის ზურგში ჩარტყმა ალბათ არ შერჩება

### რაიო ვალეკანო 0:3 რეალი

0:1 რაული (1), 0:2, 0:3 მორიენტესი (26, 68)
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, კორინო, დე კინტანა, ერნანდესი, გრაფი, მიჩელი, კვიდო (ასკოიტია 75), ელდერი, ბოლიჩი, ბოლო (გლაუჩიო 60)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
რეალი: კასილიასი, სალგადო (ელგერა 44), იერო, პავონი, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, ფიგუ, ზიდანი (გუტი 82), რაული, მორიენტესი (სელადესი 69)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: გრაფი, პავონი, სალგადო
მსაჯი: კარმონა მენდესი
16 000 მაყურებელი

### სევილია 4:0 ვალიადოლიდი

1:0 მოისესი (32პ), 2:0 რეიესი (55), 3:0, 4:0 კასკერო (68, 81)
სევილია: ნოტარიო, ნიეგესი, ხავი ნავარო (პრიეტო 46), პაბლო ალფარო, დავიდ კასტედო, გალარდო, კასკერო, პოდესტა, ფრედი, რეიესი (ვიქტორი 76), მოისესი (ტოედტლი 57)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვალიადოლიდი: რიკარდო, ტორეს გომესი, როკეტი, პენია, ტენა, მარკოსი, ოსკარი (ფერნანდო სალესი 65), ეუსებიო (ფერნანდო 46), ხესუსი, ლუის გარსია (ჩემა 72), ტოტე
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ტორეს გომესი, ტორეს გომესი, კასკერო, ხავი ნავარო, ნიეგესი, გალარდო, პოდესტა, ხესუსი, ტოტე, მარკოსი, ტენა
გაძევება: ტორეს გომესი (53)
მსაჯი: ლოსანო ანდრეუ
25 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 1:0 ალავესი

1:0 ვიქტორი (30)
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, გალვანი, კოკე ალვარესი, ბერუე, არუაბარენა, ხორხე ლოპესი (ხავი გრასია 83), გალკა (ამორი 74), კანია, კალეხა (კრაიოვეანუ 90), ვიქტორი, პალერმო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ალავესი: ერერა, კოლოჩინი, კარმონა, ანტონიო კარმონა (ვიჩგე 46), ჯელი, იბონ ბეგონია, პაბლო, მაგნო, ასტუდილიო (მარა 83), კრუიფი, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 65)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: კანია, კოკე ალვარესი, ვიქტორი, კრაიოვეანუ, კოლოჩინი, კარმონა, კრუიფი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
18 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:2 ბეტისი

0:1 ბენჯამინი (56), 0:2 პაბლო კონტრერასი (60ა.კ.), 1:2 ივან როსადო (77)
ოსასუნა: უნსუე, ისკუერდო, კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ოლარა (რივერო 73), მუნიაინი (მონტენეგრო 65), განსედო, ალდრეიდო, ივან როსადო, ფერნანდო, არმენტანო (საბინო 65)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ბეტისი: პრატსი, კანიასი, ბელენგერი, რივასი, ლუის ფერნანდესი, ხოაკინი (ხუანიტო 61), იტო, ბენჯამინი, დენილსონი (მერინო 81), ჩაპი, ტომას ტომასი (დანი 72)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ისკუერდო, ბელენგერი, ლუის ფერნანდესი, დენილსონი, კანიასი, პრატსი, ბენჯამინი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
17 645 მაყურებელი

### მალიორკა 4:1 დეპორტივო

1:0, 2:0 ლუკე (8, 26), 2:1 პანდიანი (28), 3:1 პაუნოვიჩი (51), 4:1 კამპანო (79)
მალიორკა: ლეო ფრანკო, კამპანო, ოლაიზოლა, სივიერო, ნადალი, მიგელ სოლერი, ნოვო (რობლესი 80), ჩიჩი სოლერი, პაუნოვიჩი (მარკოსი 68), ლუკე (ლეო ბიაჯინი 75), ეტოო
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
დეპორტივო: მოლინა, სეზარი, ექტორი (სკალონი 77), ელდერი, კაპდევილა, დუშერი, სერხიო (ვალერონი 54), ჯალმინია, პანდიანი, ამავისკა
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ოლაიზოლა, ეტოო, ლეო ფრანკო, ჯალმინია
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
18 000 მაყურებელი

**დავიხსომოთ:** 24-25 ნოემბერი, პრიმერადივიზიონის მეთოთხმეტე ტური 2001-2002 წლების სეზონისა. ახლა კი მშვიდად დაველოდოთ, თუ როდის განმეორდება ისეთი რამ, რაც წინა უქმეებზე მოხდა. ოღონდ მოთმინება გვმართებს — შესაძლოა, ცდა დიდხანს მოგვიხდეს.

განსაკუთრებული აი, რა მოხდა: ტურის ათი მატჩიდან ერთიც არ დასრულებულა ფრედ და მეორეც: ზედა ოთხეულის ყველა წევრი დამარცხდა, მათ შორის „ვალენსიაც“, რომელიც წინა ცამეტ ტურში დაუმარცხებელი იყო. ლიდერთა მარცხმა კი ვითარება ერთობ დაძაბა, რაკი ცხრილში საშინელი სიმჭიდროვეა, პირველადგილოსან „დეპორტივოს“ მეთერთმეტეადგილოსან „სარაგოსასგან“ მხოლოდ ორი მოგება აშორებს.

„მალიორკამ“ და „დეპორტივომ“ შუა კვირაში ევროთასებზე ითამაშეს. შეგახსენებთ, ლაკორუნიელებმა ბრწყინვალე სანახაობა გამართეს და „არსენალი“ დაჯაბნეს, ხოლო კუნძულელები სრულიად უსუსურად გამოიყურებოდნენ ჩეხურ „ლიბერეცთან“. საკვირაო მატჩმა აჩვენა, რომ გალისიელები არაქათგამოცლილები იყვნენ, მათი მასპინძლები კი ჩეხეთში შერცხვენისგან დაბოღმილები და ჯავრი ლიდერზე იყარეს.

შუა კვირაში „დეპორტივოზე“ დიდებულად ითამაშა „ბარსელონამ“, „ლივერპულს“ „ენფილდზე“ ბურთი დაუმალა და, როგორც ჩანს, ენერგიის მთელი მარაგიც იქვე დატოვა. ბილბაოს „ატლეტიკი“, რომელიც ამ სეზონში სტუმრად უკეთ თამაშობს ვიდრე შინ, მეათე წუთზე დაწინაურდა ისმაელ ურსაისის ზუსტი საჯარიმო დარტყმით. შესვენების მერე რივალდომ გაათანაბრა და, როცა მატჩის დასრულებამდე თოთხმეტი წუთით ადრე ბასკებს ხოსე მარია ლაკრუსი გაუგდეს, ისეთი შთაბეჭდილებაც შეიქნა, რომ „ბარსელონა“ გამარჯვების გოლსაც გაიტანდა. მაგრამ რა მოხდა — კატალონიელები შეტევაში გაერთნენ და სტუმრებს კონტრიერიშებისთვის ასპარეზი დაუთმეს, რითაც ხანდი ესკერომ ისარგებლა კიდეც.

რაც შეეხება ლაკრუსის გაგდებას, ამას, ალბათ... რივალდოს დისკვალიფიკაცია მოჰყვება. საქმე ისაა, რომ ბილბაოელი რივალდოსთან ჩხუბისთვის გააძევეს, ტელეკამერამ კი დააფიქსირა — რივალდომ პირველმა დაარტყა მეტოქეს ზურგში, რაც მსაჯს გამოეპარა.

თუკი ამ ტურის შემდეგ ლიდერი არ შეცვლილა, გალისიელი ვიქტორის დამსახურებაა, რომლის ერთადერთმა გოლმაც „ალავესი“ შინ უქულოდ გაუშვა. საერთოდაც, ბურთს მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ და სათამაშო უპირატესობა შედეგშიც აისახა.

„რეალ სოსიედადის“ ამ სეზონში საუკეთესო მატჩი ამავდროულად „ვალენსიასთვის“ ყველაზე ურესი გამოდგა. მასპინძელთაგან ყოფილმა საბჭოელებმა ისახელეს თავი — პირველი გოლი ედვარას იანკაუსკასმა რუსი დმიტრი ხოხლოვის პასით შეაგდო, მეორედ კი ლიტველმა პენალტით იზეირა, რობერტო ფაბიან აიალამ საჯარიმოში აგუსტინ არანსაბალი წააქცია.

ლიდერთა წაფორხილებით ისარგებლა ერთ დროს ლიდერმა „რეალ ბეტისმა“, რომელმაც სამწუთიან მონაკვეთში ორჯერ გაუტანა „ოსასუნას“ და ცხრილში მესამე ადგილზე აცოცდა. ამ ორი გოლიდან პირველი კი პამპლონელ მარიანო არმენტანოს ავტოგოლია.

მადრიდის „რეალმა“, რომელმაც სეზონი ისე უსუსურად დაიწყო, ფავორიტებიდან ჩამოწერეს, „დეპორტივოსთან“ ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირა და ისევ ფავორიტად იქცა. დედაქალაქელთა მსხვერპლი ამჯერად თანაქალაქელი და აუტსაიდერი „რაიო ვალეკანო“ გახდა. თამაში ხეირიანად არც იყო დაწყებული, რომ ლუიშ ფიგუსგან მიღებული ბურთი ფერნანდო მორიენტესმა უკეთეს პოზიციაში მყოფ რაულს დაუტოვა და მანაც ანგარიში გახსნა. მომდევნო ორი გოლი კი მორიენტესმა თავად შეაგდო.

სხვა მატჩებიდან „სელტა“ — „ესპანიოლი“ და „სევილია“ — „ვალიადოლიდი“ გამოვარჩიოთ. ვიგოელებმა, როგორც იქნა, ნავსი გატეხეს და თითქმის ერთთვიანი წაგებათა სერია შეწყვიტეს. არადა, რაულ ტამუდოს პენალტით თავიდან სტუმრები იგებდნენ, მაგრამ გალისიელებმა ძალა მოიკრიბეს, ხოლო დუბლის შემსრულებელი დიეგო კატანია დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირადაც იქცა.

„სევილიას“ გამარჯვების აღნიშვნა კი თვრამეტი წლის თავდამსხმელის ხოსე ანტონიო რეიესის ნიჭის დასაფასებლად გვჭირდება. ორი გოლი ამ ბიჭის პასებით გავიდა, ერთი კი მან თავად შეაგდო — საბოლოო დარტყმამდე ორმოცი მეტრი ირბინა და ნახევარი „ვალიადოლიდი“ ჩამოიტოვა. ვინძლო, მალე უკეთეს კლუბში აღმოჩნდეს, თუ, ცხადია, ასევე გააგრძელებს.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 14 | 8 | 2 | 4 | 28:20 | 8 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 16 | 7 | 3 | 1 | 3 | 10:13 | -3 | 10 |
| 2 | ალავესი | 14 | 7 | 3 | 4 | 15:9 | 6 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:5 | 1 | 8 |
| 3 | ბეტისი | 14 | 7 | 3 | 4 | 17:13 | 4 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 |
| 4 | ბარსელონა | 14 | 6 | 5 | 3 | 22:11 | 11 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 16:5 | 11 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 |
| 5 | ვალენსია | 14 | 5 | 8 | 1 | 14:10 | 4 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 17 | 7 | 0 | 6 | 1 | 7:9 | -2 | 6 |
| 6 | ბილბაო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:18 | 1 | 23 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:9 | 4 | 16 |
| 7 | რეალი | 14 | 6 | 4 | 4 | 25:18 | 7 | 22 | 7 | 4 | 3 | 0 | 15:6 | 9 | 15 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:12 | -2 | 7 |
| 8 | სელტა | 14 | 5 | 6 | 3 | 26:17 | 9 | 21 | 7 | 4 | 2 | 1 | 16:7 | 9 | 14 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:10 | 0 | 7 |
| 9 | ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 15:12 | 3 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 8 |
| 10 | სევილია | 14 | 5 | 5 | 4 | 23:17 | 6 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 8 |
| 11 | სარაგოსა | 14 | 6 | 2 | 6 | 14:17 | -3 | 20 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 10 |
| 12 | ვალიადოლიდი | 14 | 5 | 3 | 6 | 15:24 | -9 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:17 | -8 | 8 |
| 13 | მალიორკა | 14 | 5 | 2 | 7 | 15:20 | -5 | 17 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:6 | 3 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | -8 | 7 |
| 14 | ტენერიფე | 14 | 5 | 2 | 7 | 11:16 | -5 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:11 | -9 | 4 |
| 15 | ესპანიოლი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:25 | -7 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 13 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | -11 | 4 |
| 16 | მალაგა | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | -4 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:13 | -2 | 8 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 8 |
| 17 | ლას პალმასი | 14 | 4 | 3 | 7 | 15:14 | 1 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 12 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:8 | -4 | 3 |
| 18 | ოსასუნა | 14 | 4 | 3 | 7 | 12:20 | -8 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:7 | -1 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 7 |
| 19 | სოსიედადი | 14 | 4 | 2 | 8 | 16:23 | -7 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 6 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 14 | 3 | 1 | 10 | 14:26 | -12 | 10 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:10 | -1 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:16 | -11 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრისტანი (დეპორტივო) | 7 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 6 |
| ტოტე (ვალიადოლიდი) | 6 |
| ურსაისი (ბილბაო) | 6 |

### XV ტური

2 დეკემბერი

| | | |
|---|---|---|
| სელტა | - | ვილიარეალი |
| ალავესი | - | ბარსელონა |
| ბილბაო | - | სარაგოსა |
| ლას პალმასი | - | სევილია |
| ვალიადოლიდი | - | რაიო ვალეკანო |
| რეალი | - | ოსასუნა |
| ბეტისი | - | ტენერიფე |
| მალაგა | - | სოსიედადი |
| ვალენსია | - | მალიორკა |
| ესპანიოლი | - | დეპორტივო |

## მეორე დივიზიონი

XVI ტური

**კორდობა 2:0 ესტრემადურა**
1:0 ლავალი (13), 2:0 ალფონსო (49)

**ატლეტიკო 1:0 პოლი ეხიდო**
1:0 კორეა (15)

**უელვა 1:0 ფეროლი**
1:0 ჩელი (35)

**ელჩე 2:0 ოვიედო**
1:0 რაული (76), 2:0 ნინიო (89)

**ლევანტე 0:1 ხერესი**
0:1 მენა (63)

**სალამანკა 1:0 ლეგანესი**
1:0 რობერტი (16)

**სპორტინგი 1:0 ეიბარი**
1:0 მიჩელი (19)

**ბადახოსი 1:0 ხაენი**
1:0 პეპინი (42)

**ნუმანსია 1:5 ბურგოსი**
0:1 ხოსე მარი (4), 1:1 ანხელ მერინო (31ს.კ.), 1:2 ეჩებანი (35), 1:3 კუელიარი (36ს.კ.), 1:4 ინიაკი (64პ), 1:5 ანხელ მერინო (82)

**ალბასეტე 0:1 რასინგი**
0:1 ნერუ (79)

**მურსია 0:2 ხიმნასტიკი**
0:1 პინილია (46), 0:2 პრიეტო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 16 | 11 | 3 | 2 | 28:11 | 36 |
| ხერესი | 16 | 10 | 1 | 5 | 19:13 | 31 |
| ბურგოსი | 16 | 8 | 2 | 6 | 18:14 | 26 |
| უელვა | 16 | 7 | 5 | 4 | 17:14 | 26 |
| ოვიედო | 16 | 6 | 7 | 3 | 16:10 | 25 |
| რასინგი | 16 | 6 | 6 | 4 | 19:15 | 24 |
| ფეროლი | 16 | 7 | 3 | 6 | 22:19 | 24 |
| სალამანკა | 16 | 6 | 6 | 4 | 21:20 | 24 |
| ელჩე | 16 | 6 | 6 | 4 | 14:16 | 24 |
| ალბასეტე | 16 | 6 | 5 | 5 | 14:10 | 23 |
| ხაენი | 16 | 6 | 4 | 6 | 15:18 | 22 |
| ეიბარი | 16 | 5 | 6 | 5 | 17:10 | 21 |
| ბადახოსი | 16 | 6 | 3 | 7 | 13:15 | 21 |
| სპორტინგი | 16 | 5 | 5 | 6 | 20:20 | 20 |
| კორდობა | 16 | 5 | 4 | 7 | 18:19 | 19 |
| მურსია | 16 | 4 | 7 | 5 | 15:17 | 19 |
| ლეგანესი | 16 | 4 | 6 | 6 | 10:16 | 18 |
| ნუმანსია | 16 | 4 | 6 | 6 | 16:23 | 18 |
| ხიმნასტიკი | 16 | 3 | 6 | 7 | 15:19 | 15 |
| ესტრემადურა | 16 | 3 | 6 | 7 | 11:17 | 15 |
| ლევანტე | 16 | 3 | 5 | 8 | 12:23 | 14 |
| პოლი ეხიდო | 16 | 1 | 6 | 9 | 13:24 | 9 |

# რონალდო, ნუ იქნები რონალდო

## იტალია

### XII ტური

**პარმა 0:1 მილანი**

0:1 ინძაგი (30)
პარმა: ფრეი, ჟეტუ, ტორიზი, ფ. კანავარო, სარტორი (დიანა 74), აპია (ნაკატა 79), ლამუში, ბოგოსიანი, ჟუნიორი, ბონაცოლი (მილოშევიჩი 46), დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, მალდინი, კალაძე, უმითი, დონატი, სერჯინიო, რუი კოშტა (როკე ჟუნიორი 90), შევჩენკო (კონტრა 67), ფ. ინძაგი (სიმონე 90)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: დონატი
გაძევება: უმითი (65)
მსაჯი: ბორიელო
25 000 მაყურებელი

**ლაციო 1:0 იუვენტუსი**

1:0 ლივერანი (49)
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, კოუტუ, ფავალი, პობორსკი, ჯანიკედა, ლივერანი (დ. ბაჯო 82), დ. სტანკოვიჩი (ფიორე 90), კრესპო, ს. ინძაგი (კლაუდიო ლოპესი 82)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ტუდორი, იულიანო, კ. ძენონი (მარესკა 60), ტაკინარდი (პარამატი 78), დავიდსი, ძამბროტა, ნედვედი, დელ პიერო (ნ. ამორუზო 68), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ტრეზეგე, დავიდსი, ჯანიკედა, პობორსკი, ინძაგი
მსაჯი: კოლინა
65 000 მაყურებელი

**ინტერი 2:0 ფიორენტინა**

1:0 კალონი (43), 2:0 ვიერი (55პ)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, გრეშკო, კონსეისაუ, ფარინოსი (ოკაკა 78), კ. ძანეტი, დალმა (ემრე 18), გულიელმინპიეტრო, ვიერი (რონალდო 72), კალონი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ფიორენტინა: მანინგერი, დი ლივიო, ტორიჩელი, მორეტი, ჩეკარელი, ვანოლი, მარკო როსი (ვაკუფცისი 57), ბარონიო (ამარალი 29), კ. ამორუზო (გონსალესი 72), ბენინი, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ამარალი, გრეშკო
მსაჯი: როდომონტი
53 704 მაყურებელი

**ბოლონია 1:3 რომა**

0:1 სამუელი (3), 0:2 ბატისტუტა (16), 1:2 ვომე (38), 1:3 ასუნსაო (40)
ბოლონია: პაგლიუკა, ფალკონე (ძაკარდო 69), ფრეზი, მ. კასტელინი, ბროსკი (ბელუჩი 46), ბრიოგი, ვომე ნერვო, პეკია, ძაული (დელა როშა 84), კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, სამუელი, ალდაირი, კაფუ (ტომაზი 25), ასუნსაო, ემერსონი, ლიმა, პანუჩი, ა. კასანო (ფუზერი 59), ბატისტუტა (ბალბო 82)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ფალკონე, სამუელი, ბატისტუტა, ნერვო
მსაჯი: პაპარესტა
30 000 მაყურებელი

**კიევო 2:0 პერუჯა**

1:0 კორინი (27პ), 2:0 დანა (77)
კიევო: ამბროზიო, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ს. ლანა, ერიბერტო (მაიელე 69), პეროტა (ბარონე 54), კორინი, მანფრედინი, კორადი (ბეგეტო 84), კოსატო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
პერუჯა: მაცანტინი, მონაკო, დი ლორეტო, ზე მარია, პარიზი, კორდოვა (ანი 84), ტედესკო (ბლაზი 84), ბაიოკო, მილანეზე, ვრიზასი, ბაცანი (რეზაეი 38)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: დანა, მონაკო, დი ლორეტო, ბაიოკო, პეროტა, მონაკო
გაძევება: პარიზი (26), მონაკო (83)
მსაჯი: ბრასკი
8 938 მაყურებელი

**ბრეშა 2:0 უდინეზე**

1:0 ჯუნტი (15), 2:0 ფილიპინი (29)
ბრეშა: კასტელაცი, ბონერა, კალორი, მერო, მასიმო ქაპოზიტო (მოპი 64), ა. ფილიპინი (გუანა 89), ჯუნტი, ილანა, სუსი, ტარე (დაინელი 81), ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
უდინეზე: ტურჩი, კაბალიერო, სოტილი, ძამბონი, იორგენსენი, ლ. ელგერა, დ. პიზარო, მარკოს პაულუ (სოზა 79), პიერი (ალმირონი 72), დი მიკელე (პავონი 61), მუცი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
გაფრთხილება: ძამბონი, სოტილი, პიერი
მსაჯი: პელეგრინო
11 000 მაყურებელი



REUTERS

ინტერი — ფიორენტინა. რონალდო ფლორენციელთა ყურადღების ცენტრში მოექცა

**პიაჩენცა 1:2 ატალანტა**

1:0 უბნერი (73), 1:1, 1:2 დონი (59, 81)
პიაჩენცა: გუარდალბენი, საკეტი, მალტალიატი, ა. ლუკარელი, მორა (კარდონე 69), დი ფრანჩესკო, სტატუტო, ვოლპი, მატუზალემი (ამაური 85), კაჩა, უბნერი (გაუტიერი 46)
მწვრთნელი: ლუიჯი დე გრადი (თანაშემწე)
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი (ორლანდინი 47; რუსტიკო 88), სალა, კარერა, ბელინი, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დონი, როსინი, კომანდინი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: დი ფრანჩესკო, დონი, როსინი, სალა, დი ფრანჩესკო, ლუკარელი, როსინი
გაძევება: დი ფრანჩესკო (43), როსინი (79)
მსაჯი: ტრენტალანჯე
9 000 მაყურებელი

**ტორინო 5:1 ვერონა**

0:1 მუტუ (11), 1:1 ფერანტე (71), 2:1 ვერგასოლა (75), 3:1 გალანტე (77), 4:1 ლუკარელი (86), 5:1 ფერანტე (89)
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, კომოტო (მასპერო 46), ასტა, ვერგასოლა, კოე (სკარკილი 46), პ. კასტელინი, კ. ლუკარელი (სემიოლი 87), ფერანტე
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
ვერონა: ფერონი (პეგოლო 51), პ. კანავარო, ძანჩი, გონელა, ოდო (დოსენა 79), იტალიანო, მაცოლა, სალვეტი, კამორანეზი, ფრიკი (ჯ. ფილიპინი 89), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
გაფრთხილება: კოე, კანავარო, ოდო, ლუკარელი
გაძევება: გონელა (41)
მსაჯი: ტომბოლინი
25 000 მაყურებელი

**ვენეცია 1:1 ლეჩე**

1:0 დი ნაპოლი (58), 1:1 კონანი (71)
ვენეცია: ჯ. როსი, ალეგრინი, ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი (პავანი 76), რუკავინა (ვალტოლინა 49), დ. ანდერსონი, მორონე, დე ფრანჩესკო (ბრესანი 70), მანიერო, დი ნაპოლი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
ლეჩე: კომენტი, სტოვინი (ბალერი 37), პოპესკუ, სავინო, ჩირილო (კონანი 70), კოლონელო, ჯორჯეტი, სუპერბი, ტონეტო, ვუგრინეცი, ციმეროტიჩი
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
გაფრთხილება: ბეტარინი, სუპერბი, პოპესკუ, ტონეტო, ანდერსონი
მსაჯი: რაკალბუტო
7 422 მაყურებელი

**ისევ „კიევო“** ლიდერობს, ამჯერად პირველსავე ტაიმში ცხრა კაცით დარჩენილი „პერუჯა“ დაამარცხა 2:0, თუმცა უახლოეს მდევართან მაინც ერთქულიანი სხვაობა დარჩა — „ინტერმა“ იმავე ანგარიშით აჯობა „ფიორენტინას“ და ვერონელებს კუდში მისდევს.

გეხსომებათ ერთი კვირის წინანდელი ამბავი: ვერონაში დერბი შედგა, სადაც „კიევო“ „ვერონას“ 2:0 უგებდა, მაგრამ 2:3 დამარცხდა და სერია A-ს დებიუტანტთა ლიდერობაც მაშინ შეიკვეცა ერთ ქულამდე. იმ დღესვე გაჩნდა ეჭვიც, შეძლებდა თუ ვერა წაქცეული „კიევო“ წამოდგომას და წარმატებულ შედეგთა გაგრძელებას. ეს ეჭვი ლოგიკური გახლდათ, რადგან „კიევო“ ისტორიაში პირველადაა ძლიერთა ლიგაში და ყველა, ადრე თუ გვიან, მისგან წაგებებს ელის. მაგრამ „პერუჯასთან“ თამაშმა ეჭვი გააბათილა, თუმცა, თუ უფრო გულწრფელნი ვიქნებით, საყოველთაო აზრით „კიევოს“ დაქვეითება დროებით გადაიდო.

ანგარიში ეუჯენიო კორინიმ პენალტით გახსნა — 27-ე წუთზე პერუჯელმა მცველმა მარტინ პარისმა საკუთარ საჯარიმოში ფედერიკო კოსატო წააქცია და პენალტის გარდა წითელი ბარათიც დაიმსახურა. ზემოთ მეორე გაძევებაც ვახსენეთ: შესვენებამდე შვიდი წუთით ადრე სალვატორე მონაკო მეორე ყვითლით დაისაჯა. მიზეზი: ხელით შეაჩერა ბურთი.

მაგრამ, თანამედროვე ფეხბურთში, სადაც მოთამაშეებს იმდენი სირბილი შეუძლიათ, რომ თავისი ადგილის გარდა გაძევებული მეგობრის ადგილზეც ასწრებენ ტრიალს, რიცხობრივი უპირატესობა ერთი გუნდისგან მეორეს გაცამტვერებას არ ნიშნავს, რის დასტურიც სწორედ „კიევო“ — „პერუჯას“ შეხვედრა გახლდათ. ვერონელებმა მეორე გოლი მართალია გაიტანეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, საფინალო სასტვენამდე 13 წუთი რომ რჩებოდა — ლორენცო დანამ ახლოდან გადააკვეთინა ბურთს კარის ხაზი.

ხოლო „სან სიროზე“ ინტერელთა ორი გოლი მოჰამედ კალონმა და კრისტიან ვიერიმ მიითვალეს — ვიერიმ პენალტით, ოღონდ მსოფლიოს მასმედიის ყურადღება ყველაზე მეტად მოედანზე რონალდოს 18 წუთიანმა გამოჩენამ მიიპყრო.

„მართალია ცოტა ხანს ვითამაშე, მაგრამ იმას მაინც მივაღწიე, რომ თუნდაც შეხვედრის მიწურულს, მოედანზე ყოფნა შემიძლია — განაცხადა ბრაზილიელმა, რომლის წინა გამოჩენა 4 ნოემბერს შედგა „ლეჩესთან“ შეხვედრაში, სადაც 14 წუთში ახალი ტრავმა მიიღო — მესმის, რომ წინ დიდი გზა მაქვს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ დადგება დრო, როდესაც თავიდან ბოლომდე თამაშს შევძლებ“.

რონალდომ ვიერი შეცვალა, რამაც ეს უკანასკნელი მაინც და მაინც ვერ გაახარა.

„ცხადია რონალდოს მხარდამხარ მირჩევნია თამაში, იმედი მაქვს, ეს დროც დადგება“ — განაცხადა მან. მოგეხსენებათ, ამ წყვილის ამოქმედებას საფეხბურთო სამყაროში მოუთმენლად ელიან, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხერხდება. აგერ უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ისინი ხელფასს ერთი და იგივე კლუბის მოლარისგან იღებენ, მათი ერთად თამაშის დრო კი მხოლოდ და მხოლოდ 121 წუთს უდრის.

„როდესაც მოედანზე ვუშვებდი, ვუთხარი მშვიდად ყოფილიყო. 2:0-ს ვიგებდით, ასე რომ რონალდოს დიდი რონალდოობა არ მოეთხოვებოდა. მას მხოლოდ და მხოლოდ უნდა ეთამაშა“ — თქვა „ინტერის“ მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა.

ჩემპიონმა „რომამ“ ბოლონიაში იფ[illegible]ჩალა. აღსანიშნავია, დღეს მეცხრე პოზიციაზე მდგომ „ბოლონიას“ აქამდე მხოლოდ [illegible] — კრისტიან პანუჩიმ რომ ჩააწოდა და მან თავური დაარტყა, მატჩი სულ სამი წუთის დაწყებული გახლდათ. შემდეგ, სამუელის სახელგანთქმულმა თანამემამულემ, გაბრიელ ბატისტუტამ ემერსონის წამოწყებული კომბინაცია დაასრულა წარმატებით, რასაც, 38-ე წუთზე მასპინძელთა ერთი საპასუხო გოლი მოჰყვა — პიერ ვომემ პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვია — თუმცა ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ბრაზილიელმა ასუნსაომ 30 მეტრიდან დაუმიზნა და რომაელთა ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა.

„ვერონამ“, რომელმაც წინა ტურში ვაჟკაცურად სძლია „კიევოს“, „ტორინოსთან“ სირცხვილი ჭამა, 1:5 წააგო. 42-ე წუთზე მსაჯმა ვერონელებს მცველი ნატალე გონელა გაუძევა. გარდა ამისა, შეუჩერებელი გამოდგა ტურინელი მარკო ფერანტე.

ხოლო კრისტიანო დონი, რომელიც ამას წინათ, იაპონიასთან შეხვედრაში პირველად გამოჩნდა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში, აღმოჩნდა „პიაჩენცას“ კარში „ატალანტას“ მიერ გატანილი ორივე გოლის ავტორი.

და გავიხსენოთ შაბათიც, როდესაც რომას „სტადიო ოლიმპიკოზე“ „ლაციომ“ ფერადკანიანი იტალიელის ფაბიო ლივერანის მოხერხებული დარტყმით „იუვენტუსს“ 1:0 აჯობა.

**ბაჩუნა ძიძია**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | კიევო | 11 | 7 | 2 | 2 | 22:11 | 11 | 23 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 8 |
| 2 | ინტერი | 11 | 6 | 4 | 1 | 17:9 | 8 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:6 | 7 | 15 | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 | რომა | 11 | 5 | 5 | 1 | 17:8 | 9 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 9 |
| 4 | მილანი | 11 | 5 | 4 | 2 | 18:12 | 6 | 19 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 10 |
| 5 | ლაციო | 11 | 4 | 5 | 2 | 13:6 | 7 | 17 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 |
| 6 | იუვენტუსი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:11 | 6 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | 5 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 7 | ბრეშა | 11 | 4 | 5 | 2 | 18:18 | 0 | 17 | 6 | 2 | 4 | 0 | 13:10 | 3 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 |
| 8 | ბოლონია | 11 | 5 | 2 | 4 | 8:9 | -1 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 7 |
| 9 | ვერონა | 11 | 4 | 4 | 3 | 15:16 | -1 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 |
| 10 | ატალანტა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | -6 | 14 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 11 | ტორინო | 11 | 3 | 4 | 4 | 14:16 | -2 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:11 | -5 | 4 |
| 12 | ლეჩე | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | -4 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 |
| 13 | უდინეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 17:19 | -2 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 2 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 |
| 14 | პარმა | 11 | 2 | 5 | 4 | 11:14 | -3 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 15 | პერუჯა | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 16 | ფიორენტინა | 11 | 3 | 1 | 7 | 14:23 | -9 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 8:17 | -9 | 3 |
| 17 | პიაჩენცა | 11 | 2 | 3 | 6 | 13:16 | -3 | 9 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 0 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 3 |
| 18 | ვენეცია | 11 | 0 | 4 | 7 | 6:17 | -11 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 9 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 8 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| მუცი (უდინეზე) | 7 |
| კალონი (ინტერი) | 7 |
| დონი (ატალანტა) | 7 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 6 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 6 |

**XIII ტური**

2 დეკემბერი

ატალანტა - ინტერი
ბოლონია - ტორინო
ფიორენტინა - პიაჩენცა
იუვენტუსი - პერუჯა
ლეჩე - ლაციო
მილანი - კიევო
რომა - ვენეცია
უდინეზე - პარმა
ვერონა - ბრეშა

## სერია B

### XIV ტური

**ემპოლი 2:1 სიენა**

1:0 როკი (61), 1:1 სკალცო (76), 2:1 ატძორი (90)
სიენა: ჯიანელო, რაგოძკინი, მანდელი, მინანი, რადიჩე, არჯილი, კარაჩოლო, პასონი, ბალძარეტი (სკალცო 66), ძამპანა (მისო 84), დე ჩეზარე (ДОЛМОЛАШВИЛИ 79)

ლევან მოლძაძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
5 000 მაყურებელი

**კალიარი 2:0 ანკონა**

1:0 მელისი (69), 2:0 ქაპოზიტო (72პ)

**ბარი 1:1 კომო**

0:1 ოლივეირა (28), 1:1 პალმიერი (38)

**ჩიტადელა 2:2 ტერნანა**

0:1 მიკოლი (9), 1:1 პიცი (55პ), 2:1 სტურბა (67), 2:2 ბორგობელო (74პ)

**პალერმო 1:0 ჯენოა**

1:0 აურელიო (44)

**პისტოიეზე 2:1 მესინა**

0:1 სულო (4პ), 1:1 რიკიო (39), 2:1 კარბონე (57)

**რეჯინა 3:1 ნაპოლი**

1:0 სავოლდი (45), 2:0 ჟირანეკი (50), 3:0 სავოლდი (68), 3:1 სტელონე (89)

**სალერნიტანა 0:0 ვიჩენცა**

**სამპდორია 1:1 მოდენა**

1:0 ფლაკი (15), 1:1 ორფეი (63)

**კროტონე — კოზენცა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე [illegible]) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 13 | 8 | 3 | 2 | 22:12 | 27 |
| კომო | 13 | 8 | 2 | 3 | 18:13 | 26 |
| მოდენა | 13 | 7 | 4 | 2 | 26:9 | 25 |
| რეჯინა | 13 | 7 | 4 | 2 | 17:8 | 25 |
| ჯენოა | 13 | 6 | 3 | 4 | 16:10 | 21 |
| ვიჩენცა | 13 | 5 | 6 | 2 | 19:19 | 21 |
| პალერმო | 13 | 6 | 3 | 4 | 17:17 | 21 |
| სალერნიტანა | 13 | 5 | 3 | 5 | 16:18 | 18 |
| ბარი | 13 | 5 | 3 | 5 | 10:13 | 18 |
| მესინა | 13 | 4 | 5 | 4 | 13:14 | 17 |
| კოზენცა | 12 | 5 | 2 | 5 | 18:21 | 17 |
| სამპდორია | 13 | 4 | 4 | 5 | 14:14 | 16 |
| ნაპოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| ანკონა | 13 | 4 | 3 | 6 | 10:14 | 15 |
| პისტოიეზე | 13 | 3 | 4 | 6 | 7:11 | 13 |
| კალიარი | 13 | 2 | 6 | 5 | 9:14 | 12 |
| ტერნანა | 13 | 1 | 8 | 4 | 12:15 | 11 |
| ჩიტადელა | 13 | 3 | 2 | 8 | 16:24 | 11 |
| კროტონე | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 |
| სიენა | 13 | 1 | 5 | 7 | 10:19 | 8 |

## სერია C1/a

მე-13 ტური: ალძანო — ალბინოლეფე 1:1; არეცო — რეჯანა 1:0; ჩეზენა — პადოვა 1:1; ლუმეცანე — კარარეზე 1:2; მონცა — ლუკეზე 1:0; პიზა — სპალ 1:0; სპეცია — ლივორნო 0:0; ტრევიზო — ტრიესტინა 0:0; ვარეზე — ლეკო 1:3

## სერია C1/b

მე-13 ტური: ბენევენტო — ტარანტო 1:1; კატანია — ასკოლი 0:1; ფერმანა — კიეტი 1:1; ჯულიანოვა — ტორესი 1:0; ლოდიჯანი — პესკარო 0:2; ნოჩერინა — აკილა 1:1; პესკარა — აველინო 2:2; სორა — ლანჩანო 0:0; ვიტერბეზე — დი სანგრო 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალიის ჩემპიონატი

## მეთორმეტე ტურის მატჩი

### პარმა 0:1 მილანი

PARMA A.C. · ACM 1899

ჯახა ჯალაძე: 90 წუთი



REUTERS

## ერთი ინძაგური

„მილანი" მეოთხე ადგილზეა, ლიდერს, „კიევოს" ოთხი ქულით ჩამორჩება და მეთორმეტე ტურში სტუმრად მოუგო „პარმას". ერთადერთი გოლი 30-ე წუთზე ფილიპო ინძაგიმ გაიტანა. მეორე ტაიმის 21-ე წუთზე მსაჯმა მოედნიდან თურქი დავალა უმითი გააძევა — ეს იყო ძირითადი.

აღსანიშნავია, რომ „შავ-წითელთა" დაცვას იმ დღეს ორი დიდი მცველი, პაოლო მალდინი და ალესანდრო კოსტაკურტა აკლდა, მაგრამ მაინც სოლიდური გამოდგა. საქართველოს ნაკრების წევრი, კახა კალაძე მარცხენა ფრთაზე მოქმედებდა. ნახევარდაცვაში დემეტრიო ალბერტინი და ჯენარო გატუზო არ იყვნენ.

გოლი, როგორც მოგახსენეთ, ინძაგიმ შეაგდო — ერთხელაც დაამტკიცა, რომ შეტევათა უბადლო დამგვირგვინებელია. მას ასისტენტობა ჯარიმიდან სერჟინიომ გაუწია, ყოფილმა იუვენტუსელმა კი თავურით დასვა წერტილი.

შესვენების შემდეგ „პარმა" გააქტიურდა, ბლომად საგოლე მომენტები შექმნა და როდესაც უმითი მოედნიდან გააძევეს, სტუმრები ძირითადად დაცვაზე გადაერთნენ. სხვათა შორის, უმითის გაძევების შემდეგ მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ანდრეი შევჩენკო გაიყვანა მოედნიდან და მის ნაცვლად რუმინელი კოზმინ კონტრა ათამაშა.

საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე მასპინძლებმაც შეაგდეს — ჟუნიორის ჩაწოდებულს ალენ ბოგოსიანმა თავური ჰკრა და ბურთი ბადეში აღმოჩნდა, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და, მათი თანაგუნდელი სავო მილოშევიჩი იმ დროს თამაშგარეთ მდგარა...

**ბაჩუნა ბეჟიაშვილი**

# შვეიცარია

## A ჯგუფი. XX ტური

### გრასჰოპერი 0:0 ციურიხი

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ჯანინი (ბიულმანი 46; ტკალე 81), შელდმანი, ჩინაბი, შელინგა, პალასი, ჯამარაული, ჩაველაშვილი, მაგრო, ფ. გერერო (მასო 61)

გაფრთხილება: ჯამარაული, გერერო, შელდმანი

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

11 800 მაყურებელი

### აარაუ 1:2 ქსამაქსი

0:1 მანგანე (61), 1:1 ოკპალა (61, პ.), 1:2 ტაჩე-მენსა (89)

ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

### იანგ ბოისი 0:1 სერვეტი

0:1 ორუმა (8)

### ლუგანო 1:2 ბაზელი

0:1 კუმანტარაკისი (13), 0:2 მ. იაკინი (83), 1:2 როტენბიუხლერი (90)

### სიონი 0:1 სენტ გალენი

0:1 ჩაილე (80)

### ლუცერნი 1:3 ლოზანა

1:0 ვალერა (15), 1:1 ვიტლი (37), 1:2 ლეანდრო (40), 1:3 ისაიაში (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 20 | 12 | 4 | 4 | 47:32 | 40 |
| სენტ გალენი | 20 | 9 | 7 | 4 | 36:29 | 34 |
| სიონი | 20 | 10 | 3 | 7 | 39:26 | 33 |
| სერვეტი | 20 | 9 | 5 | 6 | 33:26 | 32 |
| ლუგანო | 20 | 9 | 5 | 6 | 35:32 | 32 |
| გრასჰოპერი | 20 | 9 | 4 | 7 | 41:28 | 31 |
| იანგ ბოისი | 20 | 7 | 7 | 6 | 34:26 | 28 |
| ციურიხი | 20 | 6 | 8 | 6 | 22:26 | 26 |
| ქსამაქსი | 20 | 6 | 7 | 7 | 26:29 | 25 |
| აარაუ | 20 | 6 | 6 | 8 | 26:24 | 24 |
| ლოზანა | 20 | 3 | 3 | 14 | 21:47 | 12 |
| ლუცერნი | 20 | 3 | 3 | 14 | 22:57 | 12 |

## B ჯგუფი. XXII ტური

22-ე ტური: კონკორდია — ბადენი 2:1; დელემონი — ვადუცი 1:1; კარუჟი — თუნი 0:0; ლოკარნო — ბელინცონა 0:0; ვილი — კრინსი 1:1; ივერდონი — ვინტერთური 6:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვილი | 22 | 12 | 5 | 5 | 52:31 | 41 |
| ვინტერთური | 22 | 12 | 3 | 7 | 46:46 | 39 |
| დელემონი | 22 | 11 | 5 | 6 | 31:24 | 38 |
| თუნი | 22 | 10 | 6 | 6 | 39:32 | 36 |
| ივერდონი | 22 | 10 | 5 | 7 | 37:31 | 35 |
| კარუჟი | 22 | 8 | 7 | 7 | 27:26 | 31 |
| კრინსი | 22 | 9 | 4 | 9 | 28:29 | 31 |
| ბადენი | 22 | 5 | 9 | 8 | 40:37 | 24 |
| ლოკარნო | 22 | 6 | 6 | 10 | 28:32 | 24 |
| ბელინცონა | 22 | 6 | 5 | 11 | 26:33 | 23 |
| ვადუცი | 22 | 5 | 7 | 10 | 29:38 | 22 |
| კონკორდია | 22 | 5 | 4 | 13 | 32:56 | 19 |

# ადვოკაატმა გოლი გაუშვა. ძლივს!



REUTERS

სელტიკი — რეინჯერსი. შეცვლაზე შესული კლაუდიო კანიჯა (შუაში) ბევრს კი ეცადა, მაგრამ გლაზგოურ დერბიში „სელტიკმა" იმარჯვა

# შოტლანდია

## XV ტური

### სელტიკი 2:1 რეინჯერსი

1:0 ვალგაერენი (58), 2:0 ლარსონი (70პ), 2:1 ლოვენკრანდსი (77)

სელტიკი: დუგლასი, ბალდე, მიალბი, ვალგაერენი, პეტროვი, ლენონი, ლამბერტი, მორავჩიკი (მელოუნი 56), ჰეტა, ტომსონი (მაკნამარა 70), ლარსონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: კლოსი, როსი (დოდსი 81), ლ. ამორუზო, კონტერმანი, ბოლი (ლოვენკრანდსი 73), რეინა, რ. დე ბური, ბ. ფერგიუსონი, ნუმანი, ფლო, შ. არველაძე (კანიჯა 64)

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გაფრთხილება: მორავჩიკი, ტომსონი, ბოლი, ფერგიუსონი, კონტერმანი

მსაჯი: დუგალი

59 609 მაყურებელი

### დანდი 1:1 ჰარტსი

0:1 ვებსტერი (30), 1:1 მაკეი (80)

დანდი: ლენგფილდი, მაკეი, სმიტი, ხიზანიშვილი, ბეჟეტო (რობერტსონი 16), გარიდო (არტერო 46), რაე, ძიგბაია, კარანსა, კაბალიერო, სარა (მილნი 78)

გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

7 219 მაყურებელი

### დანფერმლაინი 1:1 დანდი იუნაიტედი

1:0 პეტრი (69), 1:1 მაკკონალოგი (87)

### ჰიბერნიანი 0:3 ლივინგსტონი

0:1, 0:2 ზიკუსი (8, 34), 0:3 ლაუნდისი (86)

### მოზერუელი 3:2 აბერდინი

1:0 პირსონი (8), 2:0 ელიოტი (18), 2:1 ვინტერსი (40), 2:2 ზერუალი (79), 3:2 მაკფეიდენი (83)

### სენტ ჯონსტონი 1:0 კილმარნოკი

1:0 რასელი (12)

16 თვეა, რაც „სელტიკს" ირლანდიელი მარტინ ონილი წვრთნის და ამ ხნის განმავლობაში კათოლიკეებმა შვიდიდან ექვსი დერბი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს. ჰოდა, აბა, გლაზგოური ჯახის დებიუტანტი შოთა არველაძე რას შეცვლიდა — „რეინჯერსი" ისევ დამარცხდა და ლიდერს აწ უკვე 10 ქულით ჩამორჩა.

არადა, შანსი იყო და მეტად რეალურიც: მთელი პირველი ტაიმი უკეთ „სელტიკ პარკის" სტუმრები ირჯებოდნენ, მაგრამ შოთას პასები ჯერ ნორვეგიელმა ფლომ 21-ე წუთზე, მერე კი ჰოლანდიელმა რონალდ დე ბურმა ვერ გამოიყენეს — პირველ შემთხვევაში ბურთი ძელს მოხვდა, მეორედ კი მეკარე დუგლასმა იყოჩაღა. „ბედმა გაგვიმართლა და „რეინჯერსის" შტურმს შედეგი არ მოჰყვა, ჩვენ კი გოლები საჭირო დროს გავიტანეთ" — თქვა მატჩის შემდეგ ონილმა.

„საჭირო დრო" მეორე ტაიმის პირველი ნახევარი გამოდგა: 58-ე წუთზე სტილიან პეტროვის საჯარიმო დარტყმა სტუმრებმა მოიგერიეს, მაგრამ ვალგაერენმა ზუსტად დაამატა, 12 წუთში კი კონტერმანმა შეუჩერებელი ჰენრიკ ლარსონი შეაჩერა უხეშად და შვედმა პენალტით მეორე შეაგდო. ამ დროისთვის „რეინჯერსის" ქართველი ფორვარდი მოედანზე აღარ იყო — ის უსიტყვოდ დაემორჩილა მწვრთნელის გადაწყვეტილებას და თავისი ადგილი კანიჯას დაუთმო. აი, 74-ე წუთზე კი ადვოკაატს მაიკლ ბოლის მოედნიდან ლამის ძალით გაყვანა მოუხდა, როცა ინგლისელმა შეცვლა იუარა, ბედს დამორჩილებულმა კი მწვრთნელს ჩხუბი დაუწყო. „ვინ სად და როდის ითამაშოს, ჩემი საქმეა" — თქვა მოგვიანებით ადვოკაატმა და მართალიცაა, თუნდაც იმიტომ, რომ ბოლის შემცვლელმა ლოვენკრანდსმა სამ წუთში მასპინძელთა კარი დალაშქრა არველაძის შემცვლელი კანიჯას პასით.

მაგრამ ეს იყო და ეს — „სელტიკმა" ზედიზედ მე-11 თამაში მოიგო (ეს პრემიერლიგის რეკორდია) და წაგებათა გრაფაში დიდი ნულით ზედიზედ მეორე ჩემპიონობისკენ გზას განაგრძობს. „ამ გამარჯვებას კრის სატონის ბიჭს ვუძღვნით" — განაცხადა სელტიკელმა ნილ ლენონმა. საქმე ის გახლავთ, რომ სატონის ორი თვის შვილი ჯეიმსი, ვინც ჩვეულებრივზე 11 კვირით ადრე დაიბადა, ამჟამად ჰოსპიტალშია და, ცხადია, თავს მშობლებიც ევლებიან. „ამ თამაშში კრისი ძალიან დაგვაკლდა, მაგრამ ბავშვის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი ამქვეყნად არაფერია" — თქვა იმავე ლენონმა.

...ზემოთ ვთქვით, „სელტიკს" ჩემპიონატში ჯერ არ წაუგიაო. თუ ცხრილს ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ფრეც მხოლოდ ერთხელ უთამაშიათ გლაზგოელებს. გახსოვთ ვისთან? ალბათ, არა.

ეს გუნდი სქოთური პრემიერლიგის დებიუტანტი „ლივინგსტონია", რომელიც მხოლოდ 6 წლის წინ გადაბარგდა ამავე სახელწოდების პატარა ქალაქში. ედინბურგიდან 22 კილომეტრში დაბანაკებულმა „ლივინგსტონმა" ამ 6 წელიწადში განვლო გზა მესამე დივიზიონიდან პრემიერლიგამდე და თუ ასე გააგრძელა, მომავალ სეზონში ევროსარბიელზეც გამოჩნდება. „სელტიკისა" და „ჩელსის" ყოფილი ფეხბურთელის, დევიდ ჰეის თავკაცობით დებიუტანტმა უკვე ბევრი გაამწარა („რეინჯერსთანაც" ფრე ითამაშეს), შაბათს კი დედაქალაქის „ჰიბერნიანი" გააცამტვერა მისსავე „ისტერ როუდზე" — ორი ბურთი კანადელმა დევიდ ზაუსამ გაიტანა, ედინბურგელების განადგურება კი ნათან ლაუნდისმა დაამთავრა. მატჩის კიდევ ერთი გმირი, „მანჩესტერ იუნაიტედიდან" ნათხოვარი მეკარე ნიკ კალკინი გახლა. „სერ ალექს ფერგიუსონი აქ რომ მიშვებდა, მითხრა, ეს გუნდი მალე ბევრს აალაპარაკებსო. ახლა დავრწმუნდი, რომ მართლაც ასე იქნება" — თქვა ჭაბუკმა მეკარემ, რომლის ახალი გუნდიც ამ გამარჯვებით მესამე ადგილზე აცოცდა.

კიდევ ერთმა ახალგაზრდამ, დეივ მაკეიმ ედინბურგის მეორე გუნდ „ჰართსს" გაუტანა სადებიუტო გოლი, რითაც ქართველთა „დანდის" ქულა გადაურჩინა.

**გიგა კობახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 15 | 14 | 1 | 0 | 34:6 | 43 |
| რეინჯერსი | 15 | 10 | 3 | 2 | 36:11 | 33 |
| ლივინგსტონი | 15 | 8 | 5 | 2 | 23:11 | 29 |
| აბერდინი | 16 | 8 | 2 | 6 | 26:24 | 26 |
| დანდი იუნაიტედი | 16 | 5 | 5 | 6 | 19:29 | 20 |
| დანდი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:25 | 19 |
| ჰიბერნიანი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:24 | 18 |
| კილმარნოკი | 16 | 5 | 3 | 8 | 15:20 | 18 |
| ჰარტსი | 16 | 5 | 2 | 9 | 19:22 | 17 |
| დანფერმლაინი | 16 | 5 | 1 | 10 | 21:32 | 16 |
| მოზერუელი | 16 | 4 | 4 | 8 | 19:30 | 16 |
| სენტ ჯონსტონი | 16 | 2 | 3 | 11 | 12:30 | 9 |

### თასის I ეტაპი გადათამაშება

ელგინი 0:1 ალბიონი

### ლიგის თასი

#### 1/4 ფინალის წილისყრა

დღეს: ჰიბერნიანი — დანდი იუნაიტედი

ხვალ: აირი — ინვერნესის როს ქაუნთი — გლაზგო რეინჯერსი; ლივინგსტონი — სელტიკი

# საკონტინენტთაშორისო თასი

## ბაიერნი — ბოკა ხუნიორსი

ტოკიო. „ოლიმპიური". მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

## ბოკა რიკელმეთი იმუქრება, ბაიერნი წარსულით



ოტმარ ჰიცფელდი და კარლოს ბიანკი

„ბოკა ხუნიორსს" საკონტინენტთაშორისო თასის კვლავაც ბუენოს აირესში დაბრუნების სურვილი ჰკლავს და ამიტომაც ტოკიოში, თასისთვის ბრძოლის ტრადიციულ ადგილას, მატჩამდე ექვსი დღით ადრე ჩავიდა. შესაბამისად, არგენტინელებს მომქანცველ მგზავრობისა და აკლიმატიზაციის შიში არ აქვთ.

„ბაიერნი" კი თავს ნაკლებ კომფორტულად გრძნობს, რაკი ამომავალი მზის ქვეყანაში გუშინ ჩავიდა. შეგახსენებთ, რომ შუა კვირაში „მანჩესტერ იუნაიტედთან" დაძაბული ბრძოლის მერე მიუნხენელებმა კვირას ბუნდესლიგაში ითამაშეს „ნიურნბერგის" წინააღმდეგ და სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს.

აქვე გავიხსენოთ, რომ წინა წელს „ბოკამ" „ტოიოტას" თასი მარტინ პალერმოს ორი გოლის წყალობით მოუგო მადრიდის „რეალს". საერთოდ კი მიჩნეულია, რომ სამხრეთამერიკელები ამ მატჩებს მეტი ყურადღებით ეკიდებიან.

მაგრამ „ბოკა ხუნიორსი" ახლა ის გუნდი აღარაა, შარშან რომ იყო. დღეს გუნდში აღარც მარტინ პალერმოა და გამოცდილი მცველები უგო იბარა და ერნან ბერმუდესიც წავიდნენ. შედეგიც სახეზეა: „ბოკამ" არგენტინის ჩემპიონატის მხოლოდ მეხუთე ტურში შეძლო პირველი გამარჯვების მოპოვება. სხვათა შორის, ეს გამარჯვება ხუან რომან რიკელმეს დაბრუნებას უკავშირდება, რომელიც იქამდე დაშავებული გახლდათ.

„შარშან გუნდი უფრო შეკრული იყო — ჩივის არგენტინელთა მწვრთნელი კარლოს ბიანკი — ახლა კი შემადგენლობა თითქმის ორმოცდაათი პროცენტით განახლებულია. თუმცა თასის დათმობას არ ვაპირებთ. ამ მატჩის მერე „ბოკას" დატოვებას ვაპირებ და, ცხადია, მსურს, გამარჯვებული წავიდე.

ვიცი, რომ „ბაერნის" თამაში დიდად არის დამოკიდებული შტეფან ეფენბერგზე, ის კი დაშავებულია. ასევე ალექსანდრ ციკლერზეც, რომელიც ავად გამხდარა. ასე რომ, მოგების საკმაოდ დიდი შანსი გვაქვს."

ეს კი ოტმარ ჰიცფელდის სიტყვებია: „თითოეულ ფეხბურთელს კარგად ესმის ამ მატჩის მნიშვნელობა. ზედიზედ სამი მოუგებელი თამაშის შემდეგ ჩვენ საკუთარი თავის რწმენის აღდგენა გვჭირდება და უფრო ხელსაყრელ შემთხვევას ვერ ვიპოვით. თან ეს ხომ თასისთვის მატჩია. თასის დაუფლება კი ყველას გვინდა."

ბავარიელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი მოგონებათა ზღვაში გადაეშვა: „ოცდახუთი წელი გავიდა, რაც მე, რუმენიგემ და „ბაიერნმა" საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგეთ და დროა, ის კვლავ მიუნხენში დავაბრუნოთ."

მაშინ, 1976 წელს, „ბაიერნმა" 2:0 მოუგო ბრაზილიურ „კრუზეიროს".

ტოკიოში თხუთმეტი ათას არგენტინელ ქომაგს ელიან, გერმანელთა დესანტი კი ბევრად მცირერიცხოვანი იქნება. არგენტინელები იმუქრებიან, რიკელმეს თერთმეტის კი არა, თოთხმეტი გერმანელის გაპამპულავება შეუძლიაო.

ვნახოთ, ასეა თუ არა. დანიელი არბიტრის კიმ-მილტონ ნილსენის სასტარტო სასტვენამდე ცოტა დროღა დარჩა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

ნანტი — პსჟ. პარიზელი ფრედერიკ დეე და სილვენ არმანი

# გი რუს გული გადარჩა, ოსერი კი ვერა

## საფრანგეთი

XV ტური

**ლიონი 3:0 ოსერი**

1:0 შანელე (14), 2:0 ლუინდულა (43), 3:0 ვიოლო (82)

**ლილი 1:0 რენი**

1:0 ნდიაე (48)

**ნანტი 1:2 პსჟ**

1:0 ბონილია (30), 1:1 ოგბეჩე (57), 1:2 რონალდინიო (61)

**მარსელი 4:2 სოშო**

0:1 მერიემი (17), 1:1 ლეისი (25), 2:1 ბაკაიოკო (34), 2:2 პეგი (48), 3:2 ბაკაიოკო (52), 4:2 სვიერჩევსკი (82)

**ტრუა 1:1 ლანსი**

0:1 მორეირა (44), 1:1 სელესტინი (49)

**სედანი 5:0 ლორიანი**

1:0 ა. კამარა (12), 2:0 ნდიაიე (22), 3:0, 4:0 ა. კამარა (29, 35), 5:0 გუენი (64ს.ჯ.)

**მეცი 1:0 მონაკო**

1:0 ტაგერი (90)

**გენგამი 2:2 მონპელიე**

1:0 გივარში (20), 1:1 ალიუ სისე (41), 2:1 ბარე (67), 2:2 აბდულა სისე (75)

**ბასტია 1:2 ბორდო**

0:1, 0:2 პაულეტა (45, 51პ), 1:2 ვერელი (62)

**პარასკევს** „ოსერის" მხცოვანმა მწვრთნელმა გი რუმ გულში ჩხვლეტა იგრძნო. იგი სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს და აღმოჩნდა, რომ საოპერაციო იყო. პაციენტს სასწრაფოდ გაუკეთდა გულის ოპერაცია. წარმოიდგინეთ, კვირას იგი უკვე სპორტულ გაზეთს კითხულობდა, მისი გუნდი ხომ „ლიონს" სტუმრად ხვდებოდა. „ლიონმა" ხუთშაბათს უეფას თასზე „ბრიუგესთან" მწარე მარცხი იწვნია და ცხადია, რეაბილიტაციას შეეცდებოდა. არ ვიცი, როგორ გრძნობდა თავს „ლიონი" — „ოსერის" თამაშის შემდეგ გი რუ, რადგან მისმა ბიჭებმა სამი უპასუხო ბურთი გაუშვეს.

ორ ფრონტზე მებრძოლი „ლილიც" ყოჩაღად გამოიყურება. ჰალილჰოჯიჩის შეგირდებმა მართალია, მინიმალური ანგარიშით, მაგრამ მაინც შეძლეს „რენის" ძლევა. ამ გამარჯვებით ისინი მესამე ადგილზე დამკვიდრდნენ.

პირველ ტაიმშივე უმცირესობაში დარჩენილმა „ბორდომ" სტუმრად „ბასტიასთან" იმარჯვა. ალენ როშის გაძევებიდან ორიოდ წუთში პორტუგალიელმა მეგოლემ, პედრო პაულეტამ პირველი გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმის დასაწყისშივე კიდევ ერთი. კუნძულელებმა მხოლოდ ერთის გაქვითვა მოახერხეს და შეხვედრა დათმეს.

მოქმედ ჩემპიონ „ნანტის" ძალები, ეტყობა, ნელ-ნელა ილევა. ნანტელები პსჟ-ს მასპინძლობდნენ, რომელმაც ხუთშაბათს გლაზგოში უმძიმესი მატჩი ჩაატარა. მასპინძლები იგებდნენ კიდეც ბონილას გოლის წყალობით, მეორე ნახევარში კი ორი გაუშვეს და თხუთმეტი თამაშიდან ორი კინკილა მოგებით ჩემპიონისთვის შეუფერებელ ადგილზე იმყოფებიან.

ამას წინათ, ყველასთვის კარგად ნაცნობი ბერნარ ტაპი იქადნებოდა, ჩვენ არანაირი ჩავარდნა არა გვაქვს და ამას დავამტკიცებთო. მართლაც, მარსელის „ოლიმპიკმა" ლიდერთა მარაქაში გარეულ „სოშოს" თავბედი აწყევლინა, ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და ცხრილის შუაგულში აინაცვლა.

ლიდერმა „ლანსმა" ბოლოხანს ბრწყინვალედ მოთამაშე „ტრუას" სტუმრად არაფერი დაუთმო, შედეგად მეტოქეებმა ქულები გაიყვეს და ჩემპიონატს ისევ „ლანსი" ლიდერობს. აღსანიშნავია „სედანის" დიდი ანგარიშით მოგება ცხრილის მეზობელ „ლორიანთან". თანაც მასპინძლებს ოთხი გოლის გასატანად სულ რაღაც 23 წუთი დასჭირდათ. ასეთი შოკიდან სტუმრები ვეღარ გამოვიდნენ და მეორე ტაიმში მეხუთეც გაუშვეს.

**გაჩა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 15 | 9 | 5 | 1 | 23:12 | 32 |
| ლიონი | 15 | 9 | 3 | 3 | 31:13 | 30 |
| ლილი | 15 | 8 | 5 | 2 | 18:11 | 29 |
| ოსერი | 15 | 7 | 5 | 3 | 22:17 | 26 |
| ბორდო | 15 | 6 | 6 | 3 | 13:9 | 24 |
| ტრუა | 15 | 7 | 3 | 5 | 20:17 | 24 |
| სოშო | 15 | 6 | 5 | 4 | 23:18 | 23 |
| პსჟ | 15 | 5 | 8 | 2 | 18:13 | 23 |
| მარსელი | 15 | 4 | 6 | 5 | 13:13 | 18 |
| რენი | 15 | 5 | 2 | 8 | 16:25 | 17 |
| გენგამი | 15 | 4 | 5 | 6 | 14:24 | 17 |
| მონაკო | 15 | 4 | 4 | 7 | 14:16 | 16 |
| მონპელიე | 15 | 3 | 7 | 5 | 12:14 | 16 |
| ბასტია | 15 | 5 | 1 | 9 | 15:20 | 16 |
| მეცი | 15 | 5 | 1 | 9 | 9:16 | 16 |
| ლორიანი | 15 | 4 | 3 | 8 | 22:31 | 15 |
| სედანი | 15 | 3 | 5 | 7 | 17:19 | 14 |
| ნანტი | 15 | 2 | 4 | 9 | 10:22 | 10 |

**ლიგის თასი**

1/16 ფინალის წილისყრა

1 დეკემბერი: ლიონი — სოშო; ლორიანი — მეცი; ნანტი — სედანი; ლე მანი (II) — ბასტია; რენი — კრეტეი (II); ლილი — ნანსი (II); გენგამი — სენტ ეტიენი (II); ლავალი (II) — ოსერი; კანი (II) — ბორდო; ამიენი (II) — ნიმი (II); სტრასბური (II) — კაენი (II); შატორუ (II) — მარტიგი (II); ლუან-კუისო (III) — ლე ავრი (II); მონაკო — ლანსი

2 დეკემბერი: ტრუა — პარი სენ ჟერმენი; მარსელი — მონპელიე

## ბელგია

XIII ტური

**სტანდარდი 2:1 ლიერსი**

1:0 აარსტი (32), 1:1 შიკამიჩი (80), 2:1 მორეირა (85)

ლიერსი: ვან დერ სტრაეტენი, სმეეტსი, დე როევე, უილსი, შიხილაძე, ლავერემანსი, სნოეკსი, სელსი (შიკამიჩი 75), გადიაგა, ტომპსონი (იანსენსი 70), ფრიგარდი (მოესგემსი 70)

**გამუჩა შიხილაძე** განაცხადში ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ვალტერ მეეუსი

**მოლენბეკი 2:5 გენკი**

0:1, 0:2 სონკე (6, 40), 0:3 ვამბერი (55), 0:4 სონკე (70), 1:4 ბუტერა (73), 1:5 ვანბიურენი (87), 2:5 ალუ (90)

**შარლერუა 0:4 ბრიუგე**

0:1, 0:2, 0:3, 0:4 ვერჰეიენი (5, 22, 60, 64)

**სენტ ტრუიდენი 0:2 ანდერლეხტი**

0:1, 0:2 სეოლი (53, 68)

**მუსკრონი 2:0 ლუვიე**

1:0, 2:0 ბანი (12, 23)

**ვესტერლო 2:1 ანტვერპენი**

1:0, 2:0 სევერინსი (64, 73), 2:1 გოოტსი (85)

**ლოკერენი 1:0 ბევერენი**

1:0 კრისტიანსონი (64)

**ლომელი 1:1 აალსტი**

1:0 ტანკარი (13), 1:1 ბ. დე ვილდე (20)

**ბეერსხოტი 3:2 გენტი**

1:0 დეგრიზი (30), 1:1 ოიავოლე (39), 1:2 გაიზერი (44), 2:2 მუტავჯიჩი (78), 3:2 დეგრიზი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 12 | 10 | 1 | 1 | 32:11 | 31 |
| გენტი | 13 | 9 | 2 | 2 | 26:16 | 29 |
| გენკი | 13 | 8 | 4 | 1 | 38:17 | 28 |
| ლოკერენი | 13 | 8 | 1 | 4 | 20:12 | 25 |
| ანდერლეხტი | 12 | 6 | 4 | 2 | 25:14 | 22 |
| ბეერსხოტი | 14 | 6 | 4 | 4 | 31:22 | 22 |
| სტანდარდი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:13 | 22 |
| სენტ ტრუიდენი | 13 | 5 | 3 | 5 | 21:20 | 18 |
| შარლერუა | 13 | 5 | 2 | 6 | 12:20 | 17 |
| აალსტი | 13 | 5 | 2 | 6 | 14:25 | 17 |
| მუსკრონი | 13 | 5 | 0 | 8 | 20:17 | 15 |
| ვესტერლო | 12 | 4 | 2 | 6 | 18:19 | 14 |
| ლომელი | 13 | 3 | 5 | 5 | 22:30 | 14 |
| ლიერსი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | 13 |
| ანტვერპენი | 14 | 3 | 2 | 9 | 18:26 | 11 |
| მოლენბეკი | 13 | 3 | 2 | 8 | 15:25 | 11 |
| ლუვიე | 13 | 2 | 2 | 9 | 12:29 | 8 |
| ბევერენი | 13 | 1 | 4 | 8 | 10:32 | 7 |

**მეორე დივიზიონი**

მე-14 ტური: გეელი — ვიზე 1:0; დესელი — მეუსდენი 1:3; ლიეჟი — დენდერლეეუ 0:0; დაინცე — სერკლი 1:1; ვირტონი — რუზელარე 1:2; სტრომბეეკი — პატრო 1:2; რონსი — ინგელმუნსტერი 0:1; ტიენენი — მეხელენი 0:0; ფლაანდერენი — მონსი 2:1

## ჰოლანდია

XIV ტური

**აიაქსი 1:3 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 კემანი (10), 0:2 ლუციუსი (13), 0:3 [illegible] (80), 1:3 პერდომო (87პ)

[illegible]

**ნაიმეგენი 0:3 უტრეხტი**

0:1 ჟ. დე იონგი (52), 0:2 ტანგე (68), 0:3 ვან დენ ბერგი (72)

**ფეიენოორდი 3:1 ტილბურგი**

1:0 ვან ჰოიდონკი (43), 1:1 ლანძაატი (56), 2:1, 3:1 ვან ჰოიდონკი (67, 75)

**სიტარდი 1:4 ვალვაიკი**

0:1 ფუხსი (20), 0:2 კორნელისე (21), 0:3 იანსენი (40), 0:4 ვან ვანროოი (53), 1:4 გერიტსენი (72)

**ბრედა 5:0 გრონინგენი**

1:0 ჩ. ფეჰერი (15პ), 2:0 ალახი (37ს.ჯ.), 3:0 პეტრო (54), 4:0 ე. სტიუარტი (60), 5:0 სერჯიო (69)

**ტვენტე 0:0 ჰერენვენი**

**გრააფსხაპი 3:0 სპარტა**

1:0 მეერდინკი (11), 2:0 ვან ფოსენი (70), 3:0 ვალევე (85)

**ვიტესი 2:0 როდა**

1:0 ვან დერ შააფი (7), 2:0 ჯ. სიკორა (72)

**ალკმაარი 3:2 დენ ბოსხი**

1:0 ელხატაბი (9), 2:0 უნეკენი (15), 2:1 დე ფრეიტასი (25), 2:2 ვან გალენი (44), 3:2 რ. ნელისე (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 12 | 9 | 1 | 2 | 28:8 | 28 |
| აიაქსი | 13 | 8 | 2 | 3 | 28:16 | 26 |
| ვიტესი | 14 | 7 | 5 | 2 | 15:7 | 26 |
| ჰერენვენი | 14 | 7 | 4 | 3 | 26:10 | 25 |
| ბრედა | 14 | 7 | 3 | 4 | 25:21 | 24 |
| უტრეხტი | 14 | 7 | 2 | 5 | 26:17 | 23 |
| პსვ | 14 | 7 | 2 | 5 | 25:20 | 23 |
| ვალვაიკი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:16 | 20 |
| ტილბურგი | 14 | 4 | 6 | 4 | 20:21 | 18 |
| ნაიმეგენი | 14 | 5 | 3 | 6 | 12:22 | 18 |
| ალკმაარი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:18 | 17 |
| გრააფსხაპი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:25 | 17 |
| ტვენტე | 13 | 3 | 6 | 4 | 14:17 | 15 |
| გრონინგენი | 14 | 4 | 2 | 8 | 16:27 | 14 |
| დენ ბოსხი | 14 | 2 | 7 | 5 | 18:22 | 13 |
| სპარტა | 14 | 3 | 4 | 7 | 14:31 | 13 |
| როდა | 14 | 3 | 3 | 8 | 14:21 | 12 |
| სიტარდი | 12 | 2 | 2 | 8 | 12:28 | 8 |

**მეორე დივიზიონი**

მე-15 ტური: ჰაარლემი — ვოლენდამი 1:0; დენ ჰააგი — ჰერაკლესი 1:0; ზვოლე — ჰელმონდი 2:2; როზენდალი — მაასტრიხტი 1:1; ოსი — ექსელსიორი 1:5; კამბური — ვენლო 3:1; დორდრეხტი — იგლსი 8:0; ვეენდამი — ტელსტარი 1:0; ემენი — ეინდჰოვენი 1:0

## ჩეხეთი

მე-15 ტური: ბლშანი — ჰრადეც კრალოვე 0:2; სპარტა — სინოტი 3:1; ლიბერეცი — ბოჰემიანსი 3:2; ოპავა — ბრნო 2:1; პრჟიბრამი — ტეპლიცე 1:0; სიგმა — ბანიკი 2:1; დრნოვიცე — სლავია 1:0; დრნოვიცე — იაბლონეცი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 15 | 12 | 0 | 3 | 33:9 | 36 |
| ჟილკოვი | 15 | 11 | 1 | 3 | 25:11 | 34 |
| ბოჰემიანსი | 15 | 10 | 3 | 2 | 26:11 | 33 |
| ლიბერეცი | 15 | 8 | 5 | 2 | 27:14 | 29 |
| ბანიკი | 15 | 7 | 4 | 4 | 23:17 | 25 |
| სლავია | 15 | 7 | 2 | 6 | 25:21 | 23 |
| იაბლონეცი | 15 | 5 | 5 | 5 | 12:13 | 20 |
| ჰრადეც კრალოვე | 15 | 6 | 1 | 8 | 17:27 | 19 |
| ბრნო | 15 | 5 | 4 | 6 | 16:26 | 19 |
| სიგმა | 15 | 4 | 6 | 5 | 13:18 | 18 |
| სინოტი | 15 | 4 | 4 | 7 | 13:19 | 16 |
| დრნოვიცე | 15 | 4 | 3 | 8 | 18:19 | 15 |
| ტეპლიცე | 15 | 4 | 3 | 8 | 15:22 | 15 |
| პრჟიბრამი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:22 | 15 |
| ბლშანი | 15 | 4 | 1 | 10 | 19:28 | 13 |
| ოპავა | 15 | 2 | 1 | 12 | 12:31 | 7 |

## დანია

მე-17 ტური: მიდტიულანდი — ვაილე 5:0; ორჰუსი — ესბიერგი 1:5; ბრონდბიუ — სილკებორგი 0:1; ოლბორგი — ლიუნგბიუ 4:0; აკადემისკი — კოპენჰაგენი 2:2; ვიბორგი — ოდენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 17 | 12 | 3 | 2 | 42:9 | 39 |
| აკადემისკი | 17 | 8 | 7 | 2 | 28:16 | 31 |
| კოპენჰაგენი | 17 | 8 | 6 | 3 | 26:16 | 30 |
| ოლბორგი | 17 | 9 | 3 | 5 | 28:24 | 30 |
| ესბიერგი | 17 | 9 | 2 | 6 | 28:24 | 29 |
| მიდტიულანდი | 17 | 6 | 7 | 4 | 24:15 | 25 |
| ოდენსე | 17 | 6 | 6 | 5 | 25:25 | 24 |
| ვიბორგი | 17 | 3 | 8 | 6 | 19:22 | 17 |
| ორჰუსი | 17 | 3 | 5 | 9 | 18:32 | 14 |
| ლიუნგბიუ | 17 | 2 | 7 | 8 | 16:30 | 13 |
| ვაილე | 17 | 3 | 4 | 10 | 20:45 | 13 |
| სილკებორგი | 17 | 2 | 4 | 11 | 13:29 | 10 |

## ავსტრია

მე-20 ტური: ადმირა — შტურმი 3:4; კერნტენი — ზალცბურგი 3:1; გრაცერი — ბრეგენცი 5:0; რაპიდი — აუსტრია 1:1; რიდი — ტიროლი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 18 | 14 | 3 | 1 | 39:2 | 45 |
| შტურმი | 19 | 10 | 6 | 3 | 34:18 | 36 |
| გრაცერი | 20 | 10 | 5 | 5 | 41:27 | 35 |
| კერნტენი | 19 | 9 | 4 | 6 | 22:24 | 31 |
| ზალცბურგი | 20 | 7 | 6 | 7 | 22:24 | 27 |
| აუსტრია | 19 | 5 | 7 | 7 | 24:23 | 22 |
| რიდი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:31 | 21 |
| ბრეგენცი | 20 | 5 | 6 | 9 | 23:42 | 21 |
| რაპიდი | 19 | 5 | 4 | 10 | 16:26 | 19 |
| ადმირა | 20 | 2 | 3 | 15 | 14:43 | 9 |

## თურქეთი

მე-13 ტური: ბეშიქთაში — მალათია 3:1; დიარბაქირი — დენიზლი 3:0; ბურსა — რიზე 1:0; გიოზთეფე — ფენერბაჰჩე 0:1; ანკარაგიუჯიუ — ქოჯაელი 2:0; ისთანბული — იოზგათი 2:0; გალათასარაი — სამსუნი 2:0; ტრაბზონი — ანთალია 2:0; გაზიანთეფი — გენჩლერბირლიგი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 13 | 10 | 2 | 1 | 33:16 | 32 |
| ფენერბაჰჩე | 13 | 10 | 1 | 2 | 30:12 | 31 |
| ისთანბული | 13 | 8 | 1 | 4 | 12:8 | 25 |
| ბეშიქთაში | 13 | 7 | 3 | 3 | 33:21 | 24 |
| ბურსა | 13 | 7 | 2 | 4 | 20:19 | 23 |
| ქოჯაელი | 13 | 6 | 3 | 4 | 21:16 | 21 |
| გაზიანთეფი | 13 | 6 | 3 | 4 | 18:13 | 21 |
| ტრაბზონი | 13 | 5 | 3 | 5 | 22:18 | 18 |
| ანკარაგიუჯიუ | 13 | 5 | 2 | 6 | 31:23 | 17 |
| გიოზთეფე | 13 | 4 | 5 | 4 | 11:18 | 17 |
| დენიზლი | 13 | 3 | 5 | 5 | 21:17 | 14 |
| სამსუნი | 13 | 4 | 2 | 7 | 11:19 | 14 |
| ანთალია | 13 | 3 | 4 | 6 | 18:31 | 13 |
| დიარბაქირი | 13 | 3 | 3 | 7 | 20:28 | 12 |
| იოზგათი | 13 | 3 | 3 | 7 | 15:24 | 12 |
| რიზე | 13 | 2 | 5 | 6 | 15:20 | 11 |
| გენჩლერბირლიგი | 13 | 2 | 5 | 6 | 22:31 | 11 |
| მალათია | 13 | 3 | 0 | 10 | 11:30 | 9 |

## პოლონეთი

I ფინალური ჯგუფი

მე-2 ტური: კატოვიცე — რუხი 2:1; ვისლა — პოგონი 1:0; ამიცა — ოდრა 2:1; პოლონია — ლეგია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 20 |
| ლეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 18 |
| ამიცა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 16 |
| ოდრა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 16 |
| პოლონია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 14 |
| რუხი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 13 |
| პოგონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 13 |
| კატოვიცე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 12 |

II ფინალური ჯგუფი

მე-2 ტური: ზაგლებე — ვიძევი 1:1; რადომსკო — გროცლინი 0:0; ოსტროვიცე — სტომილი 0:0; გურნიკი — შლიონსკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლებე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 13 |
| გურნიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 10 |
| რადომსკო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 10 |
| ოსტროვიცე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 10 |
| შლიონსკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 10 |
| გროცლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 9 |
| ვიძევი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 8 |
| სტომილი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 7 |

## უკრაინა

**თასის 1/4 ფინალი**

**საპასუხო მატჩები**

დინამო (კიევი) — მეტალისტი (ხარკოვი) 5:0 (1:1); ზაკარპატია (უჟგოროდი) — მეტალურგი (დონეცკი) 1:3 (0:1); კარპატი (ლვოვი) — შახტარი (დონეცკი) 1:0 (0:2); ცსკა (კიევი) — დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) 0:0 (პენ.3:4) (0:0)

**ნახევარფინალის წილისყრა**

**დინამო — მეტალურგი**

**შახტარი — დნიპრო**

მატჩები გაიმართება 2002 წლის აპრილში

## საბერძნეთი

მე-7 ტური: პანიონიოსი — პანაჰაიკი 2:1; ეგალეო — იონიკოსი 2:2; აეკ — კრატიტოსი 3:0; ქსანთი — პაოკ 1:0; არისი — ოფი 1:0; ეთნიკოსი — ოლიმპიაკოსი 2:4; ირაკლისი — პანათინაიკოსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 7 | 6 | 0 | 1 | 14:3 | 18 |
| ოლიმპიაკოსი | 7 | 5 | 2 | 0 | 20:7 | 17 |
| არისი | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 12 |
| პანათინაიკოსი | 7 | 3 | 2 | 2 | 18:8 | 11 |
| ქსანთი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| ირაკლისი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:10 | 11 |
| ოფი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| პაოკ | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| კრატიტოსი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ეთნიკოსი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:11 | 8 |
| პანიონიოსი | 7 | 1 | 4 | 2 | 9:12 | 7 |
| იონიკოსი | 7 | 0 | 4 | 3 | 6:13 | 4 |
| პანაჰაიკი | 7 | 1 | 1 | 5 | 8:20 | 4 |
| ეგალეო | 7 | 0 | 2 | 5 | 9:20 | 2 |

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**

მე-16 ტური: ერდრი — პარტიკ თისლი 1:0; არბროთი — სტ. მირენი 0:2; ეარი — ინვერნესი 3:0; რეით როვერსი — კლაიდი 1:2; როს ქაუნთი — ფოლკირკი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ერდრი | 16 | 9 | 6 | 1 | 33:12 | 33 |
| პარტიკ თისლი | 16 | 9 | 3 | 4 | 32:19 | 30 |
| სტ. მირენი | 16 | 7 | 5 | 4 | 21:18 | 26 |
| ინვერნესი | 16 | 7 | 2 | 7 | 35:28 | 23 |
| კლაიდი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:30 | 22 |
| ეარი | 16 | 6 | 3 | 7 | 25:24 | 21 |
| ფოლკირკი | 16 | 5 | 4 | 7 | 24:30 | 19 |
| არბროთი | 16 | 6 | 1 | 9 | 18:34 | 19 |
| როს ქაუნთი | 16 | 5 | 1 | 10 | 18:27 | 16 |
| რეით როვერსი | 16 | 3 | 5 | 8 | 26:31 | 14 |

**მეორე დივიზიონი**

მე-15 ტური: ალოა — ფორფარი 1:2; ქოუდენბითი — კლაიდბენკი 1:1; მორტონი — ბერვიკი 1:2; სტენჰაუსმუირი — ქუინ ოფ საუთ 1:1; სტრენრარი — ჰამილტონი 2:1

**მესამე დივიზიონი**

მე-15 ტური: დამბარტონი — სტირლინგი 4:1; ისტ სტირლინგი — ბრეჩინი 3:4; მონტროუზი — ისტ ფაიფი 2:1; ქუინზ პარკი — პიტერჰედი 0:1

## პორტუგალია

XII ტური

**ლეირია 3:0 ბელენენსეში**

1:0 დერლეი სილვა (63), 2:0, 3:0 კუნია (52, 83)

**ფარენსე 1:0 ბეირა მარი**

1:0 ჰ. ფერეირა (5)

**ფეირეირა 2:1 მარიტიმუ**

1:0 კარნეირუ (70), 1:1 კენედი (77), 2:1 პედრინია (86პ)

**ჟილ ვისენტე 2:5 პორტუ**

0:1, 0:2 დეკო სოუზა (4, 30), 0:3 კლეიტონი (43), 0:4 ნუნუ კაპუშუ (65), 1:4 ფილიუ (78), 2:4 მარტინში (87პ), 2:5 კოშტინია (90)

**სანტა კლარა 1:0 ვარზიმი**

1:0 ჯ. ვიეირა (13)

**ალვერკა 1:2 სალგეიროში**

1:0 მ. ვარგასი (18), 1:1 ტონი კოშტა (53), 1:2 ლოზე ანტონიუ (75ს.ჯ.)

**ბრაგა 0:1 ბენფიკა**

0:1 მანტორაში (69)

**გიმარაეში 0:0 სეტუბალი**

**სპორტინგი — ბოავიშტა**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 12 | 8 | 1 | 3 | 25:10 | 25 |
| ბოავიშტა | 11 | 8 | 1 | 2 | 23:8 | 25 |
| ბენფიკა | 12 | 6 | 6 | 0 | 20:11 | 24 |
| სპორტინგი | 11 | 6 | 2 | 3 | 25:10 | 20 |
| მარიტიმუ | 12 | 6 | 0 | 6 | 17:14 | 18 |
| გიმარაეში | 12 | 5 | 3 | 4 | 13:14 | 18 |
| ლეირია | 12 | 4 | 5 | 3 | 17:12 | 17 |
| ბელენენსეში | 12 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 |
| ბეირა მარი | 12 | 4 | 4 | 4 | 24:22 | 16 |
| ბრაგა | 12 | 4 | 3 | 5 | 15:10 | 15 |
| სეტუბალი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:15 | 15 |
| ჟილ ვისენტე | 12 | 4 | 3 | 5 | 14:20 | 15 |
| ფარენსე | 12 | 4 | 2 | 6 | 9:17 | 14 |
| სანტა კლარა | 12 | 3 | 4 | 5 | 9:16 | 13 |
| სალგეიროში | 12 | 4 | 1 | 7 | 11:24 | 13 |
| ალვერკა | 12 | 3 | 2 | 7 | 15:25 | 11 |
| ფერეირა | 12 | 2 | 5 | 5 | 12:23 | 11 |
| ვარზიმი | 12 | 2 | 3 | 7 | 10:23 | 9 |

**მეორე დივიზიონი**

მე-12 ტური: ქაპინოს — მორეირენსე 0:0; შავეში — ნასიონალი 1:1; ავეში — აკადემიკა 1:3; პორტიმონენსე — ამადორა 1:1; კამპომაიორენსე — ოლივეირენსე 4:1; მაია — ოვარენსე 4:0; ლეცა — პენაფიელი 1:0; რიუ ავე — ნავალი 1:1; ლამაში — ფელგეირაში 2:0

# ლიბერეცი — საშიში მხეცი ესპანელებისთვის

## უეფას თასი. მეთექვსმეტედფინალი

UEFA CUP

პირველი მატჩები

### 20 ნოემბერი

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 2:1 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ოსტერცი (42), 1:1 იზმაილოვი (55), 2:1 ა. დომბი (89)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ლეკჩეტო, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ობიორა, ლოსკოვი, ჩერევჩენკო, სენნიკოვი, ობრადოვიჩი, პიმენოვი (სარქისიანი 83)
ზაზა ჯანაშია განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: იური სიომინი
გაძევება: ჩერევჩენკო (90)
14 000 მაყურებელი

ბორდო (საფრანგეთი) 1:0 როდა (ჰოლანდია)
1:0 პაულუ მირანდა (49)

### 22 ნოემბერი

პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) 3:2 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
0:1 დე იონგი (20), 1:1 იასემაკისი (35), 2:1 უდეზე (39), 3:1 იასემაკისი (69), 3:2 ბრუგინკი (81)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ფაბერი, ჰაინცე, ნიკიფოროვი, ფოგელი, ლუსიუსი (ბრუგინკი 63), რომედალი, ბუმა, ჟ. დე იონგი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (კეჟმანი 80)
გიორგი გახოკიძე სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ფოგელი, ნიკიფოროვი
მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)
28 200 მაყურებელი

ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) 1:0 ფრაიბურგი (გერმანია)
1:0 ონო (81)
ფრაიბურგი: გოლცი, ვილი (კულიბალი 46), ა. ცაიერი, დიარა, პერმელი, კობიაშვილი, ვ. ბუტი, ტანკო (სელიმი 69), შ. მიულერი, იაშვილი, რამდანე (ბრუნსი 80)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: რამდანე, ბუტი, მიულერი
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
25 000 მაყურებელი

მილანი (იტალია) 2:0 სპორტინგი (ლისაბონი, პორტუგალია)
1:0 შევჩენკო (37), 2:0 ინძაგი (77)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი, კოსტაკურტა, კალაძე, ალბერტინი, გატუზო (ბროკი 90), სერჯინიო (კონტრა 87), რუი კოშტა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (დონატი 80)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: სერჯინიო, გატუზო
მსაჯი: ხოსე ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
10 132 მაყურებელი

გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) 0:0 პსჟ (პარიზი, საფრანგეთი)
გაძევება: რიკსენი (79, „გლაზგო რეინჯერსი")

კოპენჰაგენი (დანია) 0:1 დორტმუნდი (გერმანია)
0:1 ჰაინრიხი (90)
გაძევება: კ. პოულსენი (45, „კოპენჰაგენი"), იან კოლერი (45, „დორტმუნდი")

ფიორენტინა (ფლორენცია, იტალია) 0:1 ლილი (საფრანგეთი)
0:1 ბაკარი (24)

ვალენსია (ესპანეთი) 1:0 სელტიკი (გლაზგო, შოტლანდია)
1:0 ვისენტე (75)

სერვეტი (ჟენევა, შვეიცარია) 0:0 ჰერტა (ბერლინი, გერმანია)

იფსვიჩ თაუნი (ინგლისი) 1:0 ინტერი (მილანი, იტალია)
1:0 ა. არმსტრონგი (81)

აეკ (ათენი, საბერძნეთი) 3:2 ლიტექსი (ლოვეჩი, ბულგარეთი)
1:0 ცარტასი (13), 2:0 ზაგორაკისი (18), 3:0 ს. კონსტანტინიდისი (24), 3:1 იანკოვიჩი (30), 3:2 რაჩიტა (76)

გრასჰოპერი (ციურიხი, შვეიცარია) 1:2 ლიდს იუნაიტედი (ინგლისი)
1:0 შაბუიზა (17), 1:1 ჰარტი (73), 1:2 ა. სმიტი (79)

პარმა (იტალია) 1:1 ბრონდბიუ (კოპენჰაგენი, დანია)
1:0 დ. იოჰანსენი (ს.კ.), 1:1 ნორდინი (90პ)
გაძევება: ჟუნიორი (90, „პარმა")

ლიბერეცი (ჩეხეთი) 3:1 მალიორკა (ესპანეთი)
1:0 ლუკაში (2), 2:0 იოჰანა (19), 3:0 იუნი (61), 3:1 ლეო ბიაჯინი (61)

ბრიუგე (ბელგია) 4:1 ლიონი (საფრანგეთი)
1:0 ენგელბერტი (4), 2:0 ვან დერ ჰიდენი (54), 3:0 მენდოსა (75), 3:1 ლუინდულა (82), 4:1 დე ბრული (89)

**უეფას თასზე** „მილანის" „სპორტინგთან" გამარჯვების შემდეგ კახა კალაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა ლობანოვსკისა და ანჩელოტის მსგავსება. რა თქმა უნდა, არა ფიზიკური, არამედ მათი მუშაობის სტილისა.

„პიაჩენცასთან" ვერმოგებულმა თამაშმა მილანელი ბიჭები გვარიანად შეაჯანჯღარა. ანჩელოტისაც სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მოეგო და მოიგო კიდეც. ინძაგიმ და შევჩენკომ თითო ტაიმში თითო გოლი გაუტანეს ლისაბონელებს, რაც საკმაო უპირატესობაა საპასუხო მატჩის წინ. მილანელთა ძველმა ნაცნობმა მარიო ჟარდელმა, რომელიც ამჟამად „სპორტინგშია" და თავის დროზე „მილანი" გაუმწარებია, ამჯერად უგოლოდ დატოვა მინდორი.

გოგა გახოკიძის „ეინდჰოვენი" სალონიკის „პაოკს" ესტუმრა, სადაც მატჩის დაწყებიდან ოც წუთში დე იონგის გოლის წყალობით იგებდა კიდეც შეხვედრას. ბერძნები გონს უმალ მოეგნენ და ოთხწუთიან მონაკვეთში ორჯერ მოახერხეს გატანა. მეორე ტაიმში შეტევებით გართულ „ეინდჰოვენს" პირველი ბურთის გამტანმა იასემაკისმა მესამეც მიუმატა და სტუმართა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. პსვ-ს მხსნელად ბრუგინკი მოევლინა, რომელმაც სხვაობის შემცირება შეძლო. გოგა გახოკიძე სათადარიგოთა შორის იმყოფებოდა და ამჯერად ერიკ გერეტსმა ბურთის გორების საშუალება არ მისცა.

საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით წარსდგა „ფეიენოორდი" ჩვენებურთა „ფრაიბურგის" წინააღმდეგ. მასპინძლებს თამაშის ორგანიზება შეიძლება ამიტომაც არ გამოუვიდათ. ერთადერთი გოლი ამ მატჩში შეხვედრის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე გავიდა. გოლი „ფეიენოორდის" იაპონელმა ლეგიონერმა შინჯი ონომ მითვალა. მინიმალური სხვაობით მარცხი „ფრაიბურგს" საკმაოდ კარგ შანსს უტოვებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

ჩეხეთის „ლიბერეცმა" ესპანური გუნდები დაიბრიყვა. ჯერ იყო და „სელტა" მიაბრძანა, ახლა კი „მალიორკასაც" იგივეს უპირებს. კიდევ კარგი, 3:0-ზე ლეო ბიაჯინიმ ერთის გაქვითვა მაინც მოახერხა. ესპანელებს კუნძულზე გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდებათ ჩეხური კომპლექსის დასაძლევად. მინიმალური სხვაობით, მაგრამ მაინც მოიგო „ვალენსიამ". მთელი მატჩის განმავლობაში უტევდნენ „მესტალიას" მკვიდრნი, თუმცა ბურთის გატანა მხოლოდ 75-ე წუთზე შეძლეს. ბრწყინვალედ ჩაატარა შეხვედრა „სელტიკის" მეკარემ, რომელმაც სტუმრები დიდი ანგარიშით მარცხს გადაარჩინა.

მოულოდნელი იყო „ინტერის" წაფორხილება ინგლისში. იტალიურმა კლუბმა იმ ანგარიშით წააგო, რომლითაც თავადვე იგებს ხშირად მას შემდეგ, რაც კუპერი ჩაუდგა სათავეში. „იფსვიჩის" მცველი ჰრეიდარსონი მატჩამდე აცხადებდა, „ინტერის" დონის გუნდებთან თამაში ჩემთვის დიდი პატივიაო. თუ გულშემატკივრებმა მხარი არ მოგვცეხეს, რა იცი, ეგებ მოვუგოთ კიდეცო. შევიდა გამოჯანმრთელებული არმსტრონგი შეცვლაზე და, გაიტანა კიდეც გამარჯვებისა, თუმცა მილანში ბრიტანელებს დიდი გამოცდა რომ ელით, თვითონაც კარგად იციან.

ფლორენციელებს არც ხელფასის დარიგებამ უშველა. კერკეტმა ფრანგულმა „ლილმა" „პარმა" ხომ იმსხვერპლა და, ალბათ, „ფიორენტინასაც" იგივე ელის. პირველი ტაიმის შუაწელში გაშვებული ბურთის შემდეგ რობერტო მანჩინის შეგირდებმა ხეირიანი ვერაფერი შექმნეს და დამარცხდნენ.

დანიელ პასარელამ, ალბათ, ჯერჯერობით, „პარმას" ვერ გაუგო, რადგან მის ხელში გუნდს გამოსწორება არ ეტყობა. თუმცა „ბრონდბიუც" რომ ჯაბანი არ არის, მოგეხსენებათ. ჩავიდნენ ვიკინგები პარმაში, ორი ბურთი გაიტანეს, მათ შორის პირველი მატჩის დასაწყისში. იოჰანსენმა საკუთარ კარში პირველივე წუთზე შეაგდო, მაგრამ მასპინძლებმა ველარაფერი დაუმატეს. სამაგიეროდ, ნორდინმა მატჩის მიწურულს პენალტით გაათანაბრა და ახლა დანიელებს შინ ნულოვანი ფრეც ჰყოფნით.

მიხეილ აშვეთიას „კოპენჰაგენმა" ბოლო წუთზე გაშვებული გოლით წააგო „ბორუსიასთან", თუმცა მანამდე მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. პირველ ტაიმის ბოლოს მატჩის არბიტრმა სტუმარი იან კოლერი და მასპინძელი პოულსენი ერთმანეთის ცემა-ტყეპისთვის მინდვრიდან მიაბრძანა.

ლიდერების გარეშე დარჩენილმა „ლიდსმა" ციურიხში გამარჯვება მაინც მოახერხა. ბრიტანელები 73-ე წუთამდე აგებდნენ, მომდევნო ექვს წუთში კი ორჯერ გაიტანეს შეაგდეს „კალიების" კარში და, ალბათ, „ლიდსი" გავა კიდეც მომდევნო ეტაპზე.

**გაგა ხუციშვილი**



იფსვიჩი — ინტერი. მასპინძელი ალუნ არმსტრონგი (№ 10) და სტუმარი გრიგორის გეორგატოსი

REUTERS

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

სამხრეთ ამერიკა-ოკეანეთი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩი

### ურუგვაი 3:0 ავსტრალია (0:1)

1:0 დარიო სილვა (14), 2:0, 3:0 მორალესი (70, 90)

მონტევიდეო. „სენტენარიო". მსაჯი: ალი ბუჯსაიმი (საამიროები). 65 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კარინი, ტაისი, ლემბო, პ. მონტერო, დ. როდრიგესი, გიგუ, პაბლო გარსია, დარიო სილვა (სორონდო 83), მაგალიანესი (რ. მორალესი 66), რეგუერო (დე ლოს სანტოსი 74), რეკობა | შვარცერი, მუსკატი (აგოსტინო 73), კ. მური, ოკონი, ტ. ვიდმარი, ემერტონი, სკოკო, ვიდუკა, კიუელი, ლაზარიდისი, შ. მერფი (ალოიზი 80) |

**გაფრთხილება:** მუსკატი, რეგუერო, პაბლო გარსია, მორალესი, დე ლოს სანტოსი, დარიო სილვა, კარინი



REUTERS

დიეგო ალონსოს ზურგზე შემჯდარი ალვარო რეკობა კორეა-იაპონიაში წავა

# ნაზოლარაც გაჩნდა

## მსოფლიოს ოცდამეთორმეტე ურუგვაია

**ურუგვაელთა** მწვრთნელ ვიქტორ პუას მატჩის მერე ჰკითხეს, აქ რომ თავი გამოიდეთ, მელბურნში რად ვერ გაიტანეთო. საპასუხო მატჩისთვის ვინახავდითო, უპასუხა პუამ.

ეს ხუმრობით, რეალურად კი ურუგვაელებს პირველი შეხვედრისგან განსხვავებით მოედანზე ჰყავდათ დარიო სილვა, რომელმაც დროულად მოირჩინა მხრის ტრავმა. მასპინძელთა პირველი გოლიც სილვასა და ჯანი გიგუს კომბინაციას მოჰყვა.

სწრაფი გოლი რომ არ გაგვეშვა ან პირველ ტაიმში გათანაბრება მოგვეხერხებინა, სულ სხვა თამაში წავიდოდაო, სინანულით თქვა სტუმართა თავკაცმა ფრენკ ფარინამ, რომელმაც წაგებული პლეი ოფის შემდეგ ფიფას შეუტია, თუ სამართალია, ოკეანეთის ზონის გამარჯვებულს გადათამაშების გარეშე უნდა უშვებდეთ მსოფლიოს ჩემპიონატზეო. გავიხსენოთ, რომ ავსტრალიას მხოლოდ ერთხელ, 1974 წელს უთამაშია მუნდიალზე.

დარიო სილვას გოლმა ურუგვაელები ოდენ გაამხნევა, საბოლოო გამარჯვებისთვის კი ერთი გოლიც სჭირდებოდათ. გამარჯვების გოლი არ ჩანდა, სანამ პუამ ფედერიკო მაგალიანესი რიჩარდ მორალესით არ შეცვალა. შედეგი ხუთ წუთში მოიმკო. იმავ მორალესმა ბოლო წუთზე მესამეც გაიტანა და ყველაფერი საბოლოოდ დაალაგა.

ურუგვაი 12 წლის მერე უბრუნდება მუნდიალს. იქაურები ამბობენ, ეს მატჩი თავისი მნიშვნელობით მესამეა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაშიო. პირველი ორი კი მოგეხსენებათ რომლებიცაა: 1930 და 1950 წლების მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალები.

როგორც ვხედავთ, ურუგვაი დღეს მცირედითაც კმაყოფილდება.

**გიორგი დარჯანია**

## მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებენ

| | |
|---|---|
| საფრანგეთი (ჩემპიონი) | პორტუგალია |
| იაპონია (მასპინძელი) | დანია |
| სამხრეთ კორეა (მასპინძელი) | იტალია |
| კამერუნი | აშშ |
| ნიგერია | ჩინეთი |
| სენეგალი | საუდის არაბეთი |
| სამხრეთ აფრიკა | პარაგვაი |
| ტუნისი | ეკვადორი |
| კოსტა რიკა | მექსიკა |
| არგენტინა | გერმანია |
| შვედეთი | თურქეთი |
| პოლონეთი | ბელგია |
| ესპანეთი | სლოვენია |
| რუსეთი | ბრაზილია |
| ინგლისი | ირლანდია |
| ხორვატია | ურუგვაი |

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება პუსანში (სამხრეთ კორეა) 1 დეკემბერს

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XV ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | ალენი-ზაარბრიუკენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 22.00 | 011 | ბოხუმი-ფიურტი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.00 | 012 | მაინცი-დუისბურგი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XIX ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 019 | ბრაუნშვაიგი-ესენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XX ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 028 | რეგენსბურგი-აალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 029 | კიკერსი-ანსბახი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 048 | სტოკპორტი-ჯილინგემი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 049 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 050 | ვულვერჰემპტონი-ბარნსლი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.45 | 051 | ქოვენტრი-კრისტალ პალასი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 052 | პორტსმუთი-ნოტინგემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXII ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 053 | ჯილინგემი-ბირმინგემი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 065 | სუინდონი-რექსემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXI ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 079 | ჰარტლპული-როჩდეილი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XVI ტური.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 091 | მონპელიე-ლიონი | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| | 092 | ლანსი-ბასტია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 093 | ლანსი-ბასტია 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 094 | ლორიანი-ნანტი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.30 | 095 | რენი-მეცი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.30 | 096 | ტრუა-სედანი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.30 | 097 | ბორდო-გენგამი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.30 | 098 | სოშო-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.30 | 099 | მონაკო-ლილი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 23.45 | 100 | პსჟ-მარსელი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XVIII ტური.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 101 | გენიონი-სტრასბური | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.30 | 102 | აიაჩო-ნიმი | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 23.30 | 103 | ამიენი-ნიორი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.30 | 104 | ლე ავრი-ისტრი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.30 | 105 | სტ. ეტიენი-ნანსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 23.30 | 106 | ვალკეალი-ბოვე | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 23.30 | 107 | მარტიგი-ნიცა | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 108 | ლე მანი-შატორუ | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 109 | კრეტეი-კაენი | 3,1 | 2,8 | 2,3 |
| 23.30 | 110 | გრენობლი-ლავალი | 2,6 | 2,8 | 2,6 |

**იტალია. სერია „ბ“. XV ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 122 | ტერნანა-სალერნიტანა | 2,4 | 2,7 | 3,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. XIII ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 173 | პორტუ-ფარენსე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 174 | პორტუ-ფარენსე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XV ტური.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 193 | გრონინგენი-ალკმაარი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.00 | 194 | დენ ბოსხი-გრააფსხაპი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.00 | 195 | უტრეხტი-პსვ | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 196 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 197 | ვალვაიკი-ფეიენოორდი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 23.00 | 198 | როდა-სიტარდი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| 23.00 | 199 | სპარტა-ტილბურგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.15 | 200 | აიაქსი-ტვენტე | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 201 | აიაქსი-ტვენტე 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XVI ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 210 | ეინდჰოვენი-ოსი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 211 | ექსელსიორი-ზვოლე | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 212 | ჰერაკლესი-როსენდალი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.00 | 213 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 214 | ვენლო-ჰაარლემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 215 | დორდრეხტი-ჰელმონდი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ბელგია. I დივიზიონი. XVI (გადადებული) ტური.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 219 | ანდერლეხტი-ლოკერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 220 | ლიერსი-მუსკრონი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.00 | 221 | გენტი-სტანდარდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 222 | ლომელი-შარლერუა | 2,3 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 223 | ლუვიე-ბევერენი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 23.00 | 224 | გენკი-ვესტერლო | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 225 | ბრიუგე-სტ. ტრუიდენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 226 | ბრიუგე-სტ. ტრუიდენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 227 | აალსტი-მოლენბეკი | 1,75 | 3,4 | 3,6 |

**ჩეხეთი. XVI ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 255 | დრნოვიცე-სლავია | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 22.00 | 256 | სპარტა-ბლშანი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 257 | სპარტა-ბლშანი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

**თურქეთი. XIV ტური.**
**30 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 264 | გალათასარაი-ისთანბული | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 265 | გალათასარაი-ისთანბული 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. გადადებლი მატჩები.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 294 | ისტ სტირლინგი-ალბიონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 295 | ელგინი-ბრეჩინი | 3,2 | 3,3 | 2,0 |

**ავსტრია. XIX ტური.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 301 | კერნტენი-შტურმი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.00 | 302 | ზალცბურგი-ავსტრია | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.30 | 303 | ადმირა-ტიროლი | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 23.30 | 304 | გრაცერი-რიდი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 305 | რაპიდი-ბრეგენცი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**გერმანია. თასი. II ეტაპი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 323 | ერფურტი-ჰერტა | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 22.00 | 324 | ურდინგენი-ვერდერი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 22.00 | 325 | არმინია-შალკე | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 22.00 | 326 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 327 | მაინცი-ფიურტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 328 | ვოლფსბურგი-უნტერჰახინგი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 22.30 | 329 | დარმშტადი-ფრაიბურგი | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| 22.30 | 330 | ვოლფსბურგი (მ.)-ჰანოვერი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 22.30 | 331 | ულმი-უნიონი | 4,7 | 3,3 | 1,65 |
| 22.30 | 332 | ვერდერი (მ.)-აინტრახტი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 22.30 | 333 | ვალდჰოფი-კაიზერსლაუტერნი | 4,7 | 3,5 | 1,6 |
| 22.30 | 334 | ალემანია-კიოლნი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 22.30 | 335 | მიუნხენი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 336 | როიტლინგენი-ობერჰაუზენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ინგლისი. თასი. I ეტაპი. გადათამაშება.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 337 | ბერი-ლინკოლნი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 338 | ნოტსი-კემბრიჯი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 339 | იორკი-კოლჩესტერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ინგლისი. ლიგის თასი. IV ეტაპი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 340 | არსენალი-გრიმსბი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 341 | ნიუკასლი-იფსვიჩი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 24.00 | 342 | ბოლტონი-საუთჰემპტონი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 24.00 | 343 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.45 | 344 | ასტონ ვილა-ვენსდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 345 | ბლეკბერნი-სიტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.45 | 346 | ლიდსი-ჩელსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 23.45 | 347 | ფულემი-ტოტენჰემი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**იტალია. თასი. II წრე.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 364 | რომა-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 21.00 | 365 | პერუჯა-მილანი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.30 | 366 | პარმა-მესინა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.30 | 367 | სიენა-ლაციო | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 23.30 | 368 | ბრეშა-კომო | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 21.00 | 369 | ატალანტა-ბოლონია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.45 | 370 | ინტერი-უდინეზე | 1,4 | 3,8 | 7,0 |

**ესპანეთი. თასი. მეთექვსმეტედფინალი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 371 | ფიგერესი-ოსასუნა | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.30 | 372 | ფეროლი-ვალიადოლიდი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 373 | სალამანკა-სელტა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 374 | სპორტინგი-ალავესი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 23.45 | 375 | ლოგრონიესი-ოსპიტალეტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 24.00 | 376 | ლეონესა-დეპორტივო | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 24.00 | 377 | ლევანტე-ვილიარეალი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 24.00 | 378 | ნოველდა-ლას პალმასი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 24.00 | 379 | კორდობა-ხაენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 24.00 | 380 | ბადახოსი-უელვა | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 24.00 | 381 | ალბასეტე-რაიო | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 24.00 | 382 | ტოლედო-ბილბაო | 5,0 | 3,0 | 1,65 |
| 00.30 | 383 | ლანსაროტე-რეალი | 12,0 | 6,0 | 1,15 |
| 00.30 | 384 | სეუტა-მალიორკა | 5,0 | 3,2 | 1,65 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 23.30 | 385 | ლეიდა-ხიმნასტიკი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 00.30 | 386 | სიუდადი-მალაგა | 4,2 | 3,3 | 1,7 |

**პოლონეთი. თასი. მეოთხედფინალი. II წრე.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 387 | სვიტი-პლოცკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 15.30 | 388 | ვისლა-ლკს ლოძი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 21.00 | 389 | რუხი-ლეგია | 2,6 | 3,1 | 2,4 |

**შოტლანდია. ლიგის თასი. მეოთხედფინალი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 391 | ჰიბერნიანი-დანდი იუნაიტედი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 23.30 | 392 | როსი-რეინჯერსი | 8,0 | 4,4 | 1,3 |
| 23.30 | 393 | ეარი-ინვერნესი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.45 | 394 | ლივინგსტონი-სელტიკი | 4,4 | 3,4 | 1,6 |

**საკონტინენტთაშორისო თასი. (ტოკიოში)**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.15 | 401 | ბოკა ხუნიორსი-ბაიერნი | 2,8 | 3,1 | 2,3 |

**ჩემპიონთა ლიგა. გადადებული მატჩი.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 402 | იუვენტუსი-ლევერკუზენი | 1,6 | 3,2 | 5,6 |

**კალათბურთი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | კლივლენდი-ვაშინგტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 502 | მაიამი-ბოსტონი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 503 | ნიუ ჯერსი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 05.00 | 504 | ჰიუსტონი-საკრამენტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.30 | 505 | დალასი-გოლდენ სტეიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 506 | პორტლენდი-ინდიანა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 507 | სიეტლი-მინესოტა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 508 | ლეიკერსი-მილუოკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 04.30 | 509 | დეტროიტი-შარლოტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.30 | 510 | ატლანტა-ნიუ იორკი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 511 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 05.30 | 512 | სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 513 | ფინიქსი-მილუოკი | 1,75 | 12,0 | 1,65 |
| 06.00 | 514 | დენვერი-ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 06.00 | 515 | იუტა-სიეტლი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.30 | 516 | კლიპერსი-მინესოტა | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 03.30 | 517 | ტორონტო-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.00 | 518 | კლივლენდი-ატლანტა | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 519 | ორლანდო-ბოსტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 520 | დალასი-საკრამენტო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 521 | ჩიკაგო-მაიამი | 1,95 | 12,0 | 1,45 |

**ჰოკეი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 549 | ბოსტონი-ტამპა ბეი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 550 | ბუფალო-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 551 | აილენდერსი-ვაშინგტონი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 552 | კოლუმბუსი-ფინიქსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 553 | ტორონტო-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 554 | მონრეალი-ატლანტა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 555 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 556 | დეტროიტი-კალგარი | 1,55 | 4,0 | 2,8 |
| 05.00 | 557 | სტ. ლუისი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 558 | მინესოტა-ვანკუვერი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 559 | კოლორადო-ფლორიდა | 1,45 | 4,0 | 3,2 |
| 07.30 | 560 | სან ხოსე-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | |
| 04.00 | 561 | ვაშინგტონი-ბუფალო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 05.30 | 562 | ჩიკაგო-ვანკუვერი | 1,55 | 4,0 | 2,8 |
| 07.30 | 563 | ანაჰაიმი-ედმონტონი | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 04.00 | 564 | რეინჯერსი-კაროლინა | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 04.00 | 565 | აილენდერსი-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 566 | კოლუმბუსი-სტ. ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 567 | ფილადელფია-ბოსტონი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 568 | ტამპა ბეი-ატლანტა | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 569 | მინესოტა-ფლორიდა | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 06.00 | 570 | კალგარი-დალასი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 06.00 | 571 | ფინიქსი-ნეშვილი | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 07.30 | 572 | ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 07.30 | 573 | სან ხოსე-პიტსბურგი | 1,8 | 4,0 | 2,2 |

**მერკოსურის თასი. ნახევარფინალი. II წრე.**
**28 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.45 | 403 | სან ლორენსო (არგენტინა)-კორინტიანსი (ბრაზილია) | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **29 ნოემბერი.** | | | |
| 03.45 | 404 | გრემიო (ბრაზილია)-ფლამენგო (ბრაზილია) | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**მერკონორტეს თასი. ნახევარფინალი. I მატჩი.**
**29 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 405 | ლაგუნა(მექსიკა)-ემელეკი (ეკვადორი) | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**მერკონორტეს თასი. ნახევარფინალი. II მატჩი.**
**27 ნოემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 406 | მილიონარიოსი (კოლუმბია)-ნეკასა(მექსიკა) | 1,8 | 3,1 | 4,0 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **27 ნოემბერი.** | | | | | | | | | |
| 14.15 | 701 | ბოკა ხუნიორსი-ბაიერნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| | | **28 ნოემბერი.** | | | | | | | | | |
| 23.45 | 702 | იუვენტუსი-ლევერკუზენი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
სამტრედია რუსთაველის გამზირი №27

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არარაილური რეალობა

## ჰით-კარუსელი უკუღმა ტრიალებს

23 ნოემბერი

**მაიამი 94:104 დალასი**

**მაიამი: კარტერი (2 ქულა, 12 პასი), ჯონსი (22), მეკი (9), ელისი (7), სტეფანია (14 წუთი, 6 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება); სტრიკლენდი (14), მურნინგი (12), გეტლინგი (8), მარქსი (7), ჰაუსი (7)**

**დალასი: ნეში (22), ფინლი (15), ბაკნერი, ნოვიცკი (33 ქულა, 11 მოხსნა), ბრედლი (6); ჰოვარდი (13), გრიფინი (6), ჰარდევეი (5), ეშმეიერი (2), ჰარვი (2)**

24 ნოემბერი

**კლივლენდი 100:96 მაიამი**

(ძირითადი დრო 89:89)

**კლივლენდი: მილერი (21 ქულა, 12 პასი), პერსონი (25 ქულა, 14 მოხსნა), მიურეი (15), ჯონსი (8), მიმი (10); დევისი (12), სკინერი (9), ტრეპეჯნერი, კოულზი**

**მაიამი: კარტერი (2 ქულა, 14 პასი), ჰაუსი (17), ჯონსი (27 ქულა, 13 მოხსნა), ელისი (10), მურნინგი (14); გეტლინგი (17), სტრიკლენდი (6), მარქსი (3), ჰამილტონი**

ვისაც სირბილი და ბურთის კალათში სროლა არ ეზარება, ყველა იბრიყვებს საცოდავ „მაიამის". ისიც ყველას აჩაგვრინებს თავს — ძლიერსაც, სუსტსაც, ნახევრად ავადმყოფსაც, კალათბურთის უცოდინარსაც და ამ უქმეების შემდეგ ზედიზედ რვა წაგებაც შეაგროვა, რამაც ატლანტიკის დივიზიონის კენტ ბოლოადგილოსნად აქცია. აქამდე „მაიამი" ცხრილის ფსკერზე მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონს" შეამხანაგებოდა, ახლა ამ უხეირო გუნდმაც გაღაუსწრო და საკუთარ სირცხვილთან და უსუსურობის შეგრძნებასთან მარტოდმარტო დატოვა.

„ჰითის" სახელოვანი, ახლა კი დიდი თუ მცირე გაზეთისგან გაკრიტიკებული მწვრთნელი პეტ რაილი ცდილობს, სიმშვიდე შეინარჩუნოს, ყოველ შემთხვევაში, ზედაპირულად მაინც. მისი აზრით, გაუთავებელ მარცხთა მიზეზია ტრავმები, თუმც გაზეთებში აქაიქ უკვე გაისმის, რაილისეული სათამაშო ტაქტიკის, მძიმე დაცვითი თამაშის კრიტიკა. ზოგიერთი პოპულარული გამოცემის თვალთახედვით, რაილი ზედმეტად ბოჭავს მოთამაშეებს და უკლავს თავისუფალი თამაშის საშუალებას, რითაც „ჰითის" მეტოქეები უკვე სარგებლობენ. ყოველ შემთხვევაში, შედეგი სახეზეა, წერენ ოკეანგაღმელი კალმოსნები.

ასეა, შედეგი სახეზეა, მაიამელები უშედეგოდ ღვრიან ოფლს მოედანზე, რაილი კი თავისას არ იშლის, მეტი მუშაობაა საჭიროო.

პარასკევს „ჰითი" „დალას მავერიქსს" მასპინძლობდა და, რა თქმა უნდა, წააგო. არადა, შეიძლებოდა მოგებაზე ფიქრი, რამეთუ სტუმართა პირველი მოთამაშე დირკ ნოვიცკი ნაავადმყოფარი იყო. იგი „მაიამისთან" თამაშის დღესლა ადგა ლოგინიდან. „ის მართლა ავად იყო, თამაშის წინ ენერგიისგან დაცლილი ჩანდა. პირდაპირ არ ვიცი, რა მოუვიდა, 33 ქულა ჩააგდო. ჩემს ასისტენტს ვუთხარი, ყოველი თამაშის წინ ხომ არ შევყაროთ ვირუსიმეთქი" — უხუმრია ნამატჩევს „დალასის" თავკაც დონ ნელსონს.

ნამატჩევს თავად გერმანელი თავდამსხმელიც ჩინებულ ხასიათზე დამდგარა. „ეს ჩვენი თამაში იყო, უნდა მოგვეგო და ასეც მოვიქეცით. კარგად ვიცოდით, ალონზო კარგ ფორმაში რომ არ იყო და შევეცადეთ, მის წინ გვეტარებინა და გვეთამაშებინა ბურთი, რითაც ვაიძულეთ, ბევრი ემოძრავა. ჩანაფიქრმა გაგვიმართლა" — თქვა ნოვიცკიმ.

ათასგვარი დაავადებისგან შიგნიდან შეჭმულ ათლეტურ სხეულში ალონზო მურნინგმა მორიგი პრობლემები მოიგვარა და პარასკევს „დალასთან" მოედანზეც გავიდა, მხოლოდ არა თავიდანვე. რაილიმ იგი შეცვლაზე შეიყვანა.

შეცვლით კი მურნინგმა ჩვენებური ვოვა სტეფანია შეცვალა, რომელმაც ზედიზედ მესამე თამაში „ჰითის" ძირითად ცენტრად დაიწყო. ჩვენებური ძირითადად ლიგის უმაღლეს მოთამაშეს, 228-სანტიმეტრიან შონ ბრედლის იყვანდა და არცთუ ურიგოდ. სამაგიეროდ, ვერ ივარგა ნოვიცკის მეურვე ლაფონსო ელისმა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოპონენტი არცთუ საუკეთესო ფორმაში გახლდათ.

„მაიამის" ქებული დაცვა კიდევ ერთ, ტრადიციულ ადგილას გაირღვა. გამთამაშებელმა ენტონი კარტერმა, როგორც ყოველთვის, ვერც ახლა გაუვნებლა მეტოქის ყველაზე დაბალი მოთამაშე, ამ შემთხვევაში სტივ ნეში. ყველაფერს ისიც თან დაერთო, რომ „მაიამიმ" სეზონში პირველად მიიღო საკუთარ კალათში 100 ქულაზე მეტი და ქომაგთა სტვენის თანხლებით მოუხდა თამაში.

„დალასთან" შინაური მარცხიდან ერთი დღის შემდეგ „მაიამი" უკვე „კლივლენდში" იქაურ „კავალიერზთან" აგებდა, რომელსაც მიმდინარე სეზონში 14 თამაშიდან ოდენ ოთხი მოუგია და აქედან ორი „მაიამისთვის". „კავალერიის" მეთაური, ჯონ ლუკასი ალბათ დიდხანს ვერ გაძლებს ამ უხეირო გუნდში, მისი შეგირდები ბევრ თამაშს წააგებენ და ლუკასსაც გადააყენებენ, თუმც ამ შავკანიან მწვრთნელს ერთგვარ სავიზიტო ბარათად ექნება უკბილო გუნდით პატ რაილის შეგირდთა ზედიზედ ორჯერ, შინ და გარეთ გაბითურება.

ვოვა სტეფანიას ამჯერად არ უთამაშია.

მაიამური კედლის კარტერის მიერ დაცული ნაწილი კვლავ დაანგრია „მტერმა", „კლივლენდის" გამთამაშებელმა ანდრე მილერმა. „მაიამის" კალათის რბევაში არანაკლებ გამოიჩინა თავი უკანა ხაზში მილერის მეწყვილემ ვესლი პერსონმა. „მაიამიმ" ამ ორის და კიდევ რამდენიმე ნბა-ს მასშტაბით არცთუ ხეირიანი მოთამაშის მიწოლას ოთხი მეოთხედი გაუძლო და ოვერტაიმში დამარცხდა.

„ჩვენი დაცვა მეტოქისას სჯობდა" — თქვა ნამატჩევს პატ რაილიმ.

22 ნოემბერი

**ინდიანა 110:103 ვაშინგტონი**

**ინდიანა: ონილი (27), ტინსლი (19 ქულა, 23 პასი, 11 მოხსნა)**

**ვაშინგტონი: ჯორდანი (21), დევისი (21), ლეიტნერი (19 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი)**

**კლიპერსი 90:95 ნიუ ჯერსი**

**კლიპერსი: ბრენდი (23 ქულა, 16 მოხსნა), რიჩარდსონი (20)**

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (34 ქულა, 12 მოხსნა), კიდი (16 ქულა, 12 მოხსნა, 11 პასი)**

**ტორონტო 75:78 მილუოკი**

**ტორონტო: კარტერი (26)**

**მილუოკი: რობინსონი (19 ქულა, 10 მოხსნა)**

23 ნოემბერი

**შარლოტი 99:109 ორლანდო**

**შარლოტი: დევისი (27 ქულა, 10 პასი, 5 ჩაჭრა), კემბელი (23)**

**ორლანდო: მაკგრეიდი (24), მილერი (21), გარიტი (19)**

**ფილადელფია 79:68 კლივლენდი**

**ფილადელფია: აივერსონი (27), ჰარპრინგი (17), მაკი (16)**

**კლივლენდი: მიმი (15), ჯონსი (12 ქულა, 15 მოხსნა)**

**ლეიკერსი 106:90 გოლდენ სტეიტი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (28), ონილი (20 ქულა, 10 მოხსნა)**

**გოლდენ სტეიტი: დამპიე (16)**

**პორტლენდი 97:90 დენვერი**

**პორტლენდი: ვოლესი (30 ქულა, 10 მოხსნა), პატერსონი (15)**

**დენვერი: ვან ექსელი (29), ჯონსონი (14 ქულა, 12 პასი)**

**სიეტლი 99:81 ჰიუსტონი**

**სიეტლი: პეიტონი (24), მეისონი (21), ბეკერი (15 ქულა, 10 მოხსნა)**

**ჰიუსტონი: მობლი (21), ნორისი (19), გრიფინი (16)**

**იუტა 106:101 კლიპერსი**

**იუტა: მელოუნი (24), სტოქტონი (21), მარშალი (20)**

**კლიპერსი: ბრენდი (28), მაკინისი (22), მეჯიტი (17)**

**მემფისი 89:103 ფინიქსი**

**მემფისი: გასოლი (18), ბეტიე (18)**

**ფინიქსი: დელკი (23), როჯერსი (18), ჰარდევეი (16), მარბერი (16)**

**ინდიანა 79:97 სან ანტონიო**

**ინდიანა: როუზი (17 ქულა, 10 პასი), მილერი (17)**

**სან ანტონიო: დანკანი (30 ქულა, 18 მოხსნა)**

**ბოსტონი 89:91 ტორონტო**

**ბოსტონი: უოლკერი (25 ქულა, 12 მოხსნა), პირსი (24)**

**ტორონტო: კლერკი (19), კარტერი (18), დევისი (16)**

**ატლანტა 106:99 დეტროიტი**

**ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (50 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (15)**

**დეტროიტი: ბერი (25), ვოლესი (15 ქულა, 10 მოხსნა)**

სანამ „მაიამის" გაამწარებდა, „კლივლენდი" ფილადელფიაში ჩავიდა და იქაურ „სიქსერზთან" ჭიდილში მხოლოდ 79 ქულა მიიღო საკუთარ კალათში, თუმც ცუდად შეუტია და თავად ოდენ 68 ქულას დასჯერდა. „ფილადელფიას" ზედიზედ მეშვიდე გამარჯვებაში გვარიანად წაახმარა ხელი მეტ ჰარპრინგმა, რომელიც სეზონის დაწყებამდე „კლივლენდიდან" გადასულა „სიქსერზში". ჰარპრინგი ერთობ კმაყოფილი დარჩენილა შედეგით და უთქვამს, ყოველთვის კარგია, როცა იმ გუნდს უგებ, რომელმაც უწინ უვარგისად ჩაგთვალა და სხვაგან გაგცვალაო.

„ბოსტონის" მარცხით ისარგებლა „ორლანდო მეჯიქმა", შარლოტში იქაური „კრაზანები" დაამარცხა და ატლანტიკის დივიზიონში მესამე ადგილამდე ალზევდა. „ორლანდომ" წარმატებით დააჭაშნიკა ზონური დაცვა და „მეჯიქის" მწვრთნელი დოკ რივერსი ღონიერი მეტოქის წაქცევას ამას მიაწერს. გაილაღა ორლანდოელთა ჭაბუკმა ლიდერმა ტრეისი მაკგრეიდიმ, რომელსაც ერთი თავით დაბლები — 188-სანტიმეტრიანი დევიდ ვესლი და 191-სანტიმეტრიანი ბაირონ დეევისი მეურვეობდნენ (თავად 203-ია), მაგრამ უნაყოფოდ. მაკგრეიდიმ პირველ ტაიმში რამდენიმე პატარა სასწაული მოახდინა, ხოლო, როდესაც „შარლოტმაც" ზონურ დაცვას მიმართა და პერიმეტრიდან ფარისკენ მიმავალი ბილიკები გადაუკეტა, ორლანდოელმა ბურთის გათამაშებას მიჰყო ხელი და იოლადაც პოულობდა სამქულიან ხაზთან უმეთვალყურეოდ დარჩენილ თანაგუნდელებს — მაიკ მილერს და პეტ გარიტის. ამათაც ხუთ-ხუთი სამქულიანი „მიართვეს" გაძალიანებულ მეტოქეს.

შარიფ აბდურ-რაჰიმი ხუთი წელი თამაშობდა „ვანკუვერში" (აწ „მემფისი") და მუდამ გუნდის პირველი მექულე გახლდათ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბურთის ჩაგდებაში მთელი გუნდი ეშველებოდა, 39 ქულას არასდროს ასცილებია. წლეულს „ატლანტაში" გადმოსული აბდურ-რაჰიმი უპირობოდ პირველი ველარაა, არც ისწრაფვის ქულათა დიდი რაოდენობით მოხვეჭისკენ, მაგრამ „დეტროიტთან" სროლა წაუვიდა და მატჩის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ასცდა პირად რეკორდს. „რეკორდზე არ ვფიქრობდი, გუნდი ყოველ ქულას საჭიროებდა და მეც განვაგრძობდი, თუმც ვიცოდი, რომ ძველ რეკორდს ავცდი. საბოლოოდ არც ვიცი, რამდენი დამიგროვდა" — ამბობდა ნამატჩევს ოფლში გახვითქული კალათბურთელი. მისი ძალისხმევით „ატლანტამ" ბოლო მეოთხედში 11-ქულიანი დეფიციტი დაფარა, თავად აბდურ-რაჰიმს კი 50 ქულა მოუგროვდა, რაც პირად რეკორდთან ერთად სრულიად ამ სეზონის საუკეთესო შედეგიცაა.

24 ნოემბერი

**საკრამენტო 98:97 ნიუ ჯერსი**

**საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (29), დივაცი (18 ქულა, 19 მოხსნა, 7 პასი)**

**ნიუ ჯერსი: მარტინი (20), ვან ჰორნი (19 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (16 ქულა, 12 პასი, 10 მოხსნა)**



REUTERS ატლანტა

ატლანტა — დეტროიტი. შარიფ აბდურ-რაჰიმმა ბენ ვოლესს და მის „დეტროიტს" 50 ქულა ჩაუგდო

**მილუოკი 95:88 ატლანტა**

**მილუოკი: ალენი (21), კასელი (18), რობინსონი (17)**

**ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 14 მოხსნა), კუკოჩი (18)**

**დალასი 119:104 ფინიქსი**

**დალასი: ნოვიცკი (32), ნეში (29), ფინლი (20)**

**ფინიქსი: მარბერი (31), როჯერსი (21), მარიონი (19), ჰარდევეი (18)**

**მინესოტა 99:94 სან ანტონიო**

**მინესოტა: ნესტეროვიჩი (24 ქულა, 12 მოხსნა), ბრენდონი (21), გარნეტი (17 ქულა, 12 მოხსნა)**

**სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 18 მოხსნა, 8 პასი), პარკერი (19), რობინსონი (17)**

**ორლანდო 101:103 შარლოტი**

**ორლანდო: მილერი (32), მაკგრეიდი (31)**

**შარლოტი: კემბელი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბალარდი (19), დევისი (18 ქულა, 12 პასი)**

**დეტროიტი 91:84 მემფისი**

**დეტროიტი: რობინსონი (23)**

**მემფისი: ვილიამსი (25), ბეტიე (18)**

**ვაშინგტონი 88:84 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 78:78)

**ვაშინგტონი: ჯორდანი (17 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ლეიტნერი (17)**

**ბოსტონი: უოლკერი (24 ქულა, 11 მოხსნა), პირსი (23), პალასიო (19)**

**ნიუ იორკი 78:71 ჩიკაგო**

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (24), ჰარინგტონი (18)**

**ჩიკაგო: მილერი (23)**

„მაიამი ჰითის" წაგებათა გარდა დასასრული ამქვეყნად ყველაფერს აქვს და მათ შორის „ვაშინგტონის" უიღბლობასაც. მაიკლ ჯორდანის გუნდის ზედიზედ წაგებები რვაზე და „ბოსტონთან" შეხვედრის შემდეგ შეჩერდა. თავად ჯორდანმა საზიზღრად (როგორც თავად თქვა) ითამაშა, 24 სროლიდან 17 გააფუჭა, ამასთან ბევრი მეოთხე მეოთხედის ბოლო წუთებზე, რამაც ბოსტონს" საშუალება მისცა 61:76 ჩამორჩენა დაეფარა. ჯორდანის გუნდმა ისღა მოახერხა, თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და იქ მოითქვა სული.

„ორლანდო მეჯიქი" ორ დღეში მეორედ შეხვდა „შარლოტს", ამჯერად შინ და წააგო, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ტრეისი მაკგრეიდიმ ბევრად მეტი ქულა მოიხვეჭა, ხოლო მაიკ მილერმა მეტი სამქულიანი ჩააგდო.

შაბათის ყველაზე დაძაბულ თამაშში, შუა-დასავლეთში პირველობისთვის შეჭიდებულმა „მინესოტამ" და „სან ანტონიომ" გვარიანად გააწვალეს ერთმანეთი. სანანტონიოელებმა მოახერხეს მინესოტელთა შორის ყველაზე მრისხანეს, კევინ გარნეტის თარეშის ალკვეთა, მაგრამ საკუთარ კალათში 24 ქულა „ვიღაც" რადოსლავ ნესტეროვიჩისგან მიიღეს. მანამდე ნესტეროვიჩის საშუალო შედეგიანობა 8,1 ქულა იყო. სლოვენიელმა ცენტრმა პატარა სასწაული მოახდინა, როცა კარიერის რეკორდი (24 ქულა) იმ გუნდთან დაამყარა, რომელსაც ლიგაში უძლიერესი წინა ხაზი ჰყავს.

25 ნოემბერი

**კლიპერსი 90:83 ჰიუსტონი**

**კლიპერსი: ბრენდი (21 ქულა, 10 მოხსნა)**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (17)**

**სიეტლი 99:88 ინდიანა**

**სიეტლი: ლუისი (24), პეიტონი (20 ქულა, 12 პასი)**

**ინდიანა: ონილი (23 ქულა, 17 მოხსნა)**

**გოლდენ სტეიტი 101:85 ნიუ ჯერსი**

**გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (22)**

**ნიუ ჯერსი: მარტინი (19)**

**ლეიკერსი 105:98 დენვერი**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (25), ონილი (22)**

**დენვერი: ვან ექსელი (34)**

**ტორონტო 107:88 ფილადელფია**

**ტორონტო: კარტერი (30)**

**ფილადელფია: მაკი (23), კოულმენი (2?), აივერსონი (18)**

„ფილადელფიას" შვიდმატჩიანი მოგებათა სერია ტორონტოში დასრულდა. სტუმართა ჯილამ აივერსონმა 24 სროლიდან 7 ჩააგდო და დათმო დუელი მფრინავ მასპინძელ ვინს კარტერთან. კარტერმა პირველივე წუთებზე დაიბრიყვა სტუმრები, სამჯერ ულამაზესად ჩატენა და 11:0 დააწინაურა „რეპტორზი". ლიდერი თამაშის ბოლომდე არ შეცვლილა.

**ირაკლი ფირცხილავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2003 წლის ჩემპიონატი

## შესარჩევი ეტაპი. II ტური. 24-25 ნოემბერი

### A ჯგუფი

**ჰოლანდია 68:84 უკრაინა**

ჰოლანდია: ფლანდერსი (13), ვან დერ ჰოლსტი (7), როუვჰორსტი (4), დე ფრიზი (6), ჯონსი, კრიგერი (15), სიმიჩი (2), ტრიმსტრა (10), ვან სტეინი, ფრინდი (11)
უკრაინა: ხიჟნიაკი (3), ხრიაპა (17), კორაბლიოვი (11), ლებედევი (10), ოკუნსკი (13), პოდორვანნი (9), რაევსკი (4), რიჟოვი (2), იაილო (15)

**ბულგარეთი 87:105 ლიტვა**

ბულგარეთი: ანგელოვი (16), ბანევი (3), ბოზოვი, დიმიტროვი (6), გეორგიევი (13), ბ. მლადენოვი (1), გ. მლადენოვი (20), რადიონოვი (6), სტოიკოვი (22), ტოტევი
ლიტვა: იასიკევიჩიუსი (2), იავტოკასი (16), კაუკენასი (14), მასკოლიუნასი (9), შიშკაუსკასი (25), სლანინა (10), შტომბერგასი (10), ე. ჟუკაუსკასი (1), მ. ჟუკაუსკასი (18)

**შვეიცარია 53:70 თურქეთი**

შვეიცარია: ბორტერი, ჩერუზა (6), დარზივი (16), ედვარდსი (13), იმგრატი (3), ჟაკიე (6), კოლერი (2), სტარკი, ვალისი (7), ვეგმანი
თურქეთი: აჩიკი (1), ბეშოქი (10), ქუთლუაი (22), ოქური, ონანი (11), ფარსი (2), პეკერი (5), თუნჩერი (19), ვექილოღლუ, ილდირიმი
ლიტვა 4 ქულა, უკრაინა 4, თურქეთი 4, ბულგარეთი 2, შვეიცარია 2, ჰოლანდია 2

### B ჯგუფი

**დანია 66:96 ესპანეთი**

დანია: ანდერსენი (13), დრეიერი (24), ს. ჰანსენი (2), იენსენი (9), ლანგვადი, ლარსენი (5), სინდინგი (2), სორენსენი (3), ტიუსენი (8)
ესპანეთი: ლ. ანგულო (4), დუენიასი (9), გარბახოსა (14), მარკო (3), ნავარო (20), პარაისო (15), ა. რეიესი (16), ფ. რეიესი (4), ბ. როდრიგესი (3), ი. როდრიგესი (8)

**რუმინეთი 60:92 საბერძნეთი**

რუმინეთი: ალექსა (8), ბურლაჩუ (4), კოსიკი (4), დუმიტრესკუ, ჰელკოიუ (8), იპიადინდუ, ლაპუსტე (6), პოპესკუ (14), სტანესკუ (15), ტოადერი (1)
საბერძნეთი: ალვერტისი (14), ხაძივრეტასი (10), კუვარისი (4), დიკუდისი (18), პაპადოპულოსი (2), პაპალუკასი (11), რენციასი (22), სიგალასი (6), ცარცარისი (5), ზისისი

**ბელგია 69:75 ისრაელი**

ბელგია: ბაიერი (12), ბეგინი (4), დესვერი (3), დიუპონი (3), გუტალსი (10), ლორიდონი (2), მვანდვე (10), პოტერი (14), სტასი (11)
ისრაელი: ბურშტეინი (16), გორდონი, გრინი (11), კოზიკარო, ლუბინი, შარფი (14), შელეფი (24), ტაპირო (10), თორჟემანი
საბერძნეთი 4 ქულა, ესპანეთი 4, ისრაელი 4, დანია 2, ბელგია 2, რუმინეთი 2

### C ჯგუფი

**მაკედონია 101:92 ბოსნია**

(ძირითადი დრო 84:84)

მაკედონია: ბლაჟევსკი (2), ბოჩევსკი (2), ჩეკოვსკი (8), გეჩევსკი 16), იოვანოვსკი (10), კურტოვიკი, ნაუმოსკი (28), სლივანჩანინი (15), სტეფანოვი (20)
ბოსნია: კასლი, ფირიჩი (11), ჰუკიჩი (7), კოვაჩევიჩი (6), ლერიჩი (2), მრშიჩი (22), მუეძინოვიჩი (31), ოვჩინა (13)

**ირლანდია 76:78 ხორვატია**

ირლანდია: კონლონი (21), დონლონი (5), ფულტონი, კენედი (11), ლარანიაგა (21), მიჩელი (11), მორანი (7), ოკონელი, სილი
ხორვატია: ანზულოვიჩი (8), გირიჩეკი (18), მამიჩი (6), მანჩე, მარცელიჩი (19), პოპოვიჩი (5), სკელინი (11), ვუჩიჩი (11), ჟიჟიჩი

**კვიპროსი 63:90 გერმანია**

გერმანია 4 ქულა, ხორვატია 4, ბოსნია 3, მაკედონია 3, ირლანდია 2, კვიპროსი 2

### D ჯგუფი

**უნგრეთი 87:96 ლატვია**

უნგრეთი: ბადერი (8), ფოდორი (4), გემეში (10), კალმანი (22), მესაროში (9), ნემეტი (11), პანკარი (7), შიტკუ (16)
ლატვია: ბაგატსკისი (15), კიპრუსი, ჰელმანისი (17), კამბალა (33), მიგლინიეკსი (14), პურნისი (4), შტელმახერსი (13)

**ბელარუსი 61:85 საფრანგეთი**

ბელარუსი: ალექსეევი (16), ბაიდაკოვი (2), შარკო, კოჟენეცი (2), კორშუკი, კუჩინსკი (17), კუზმინი (5), მეშჩერიაკოვი (8), პინტიკოვი (11), ვერემეენკო
საფრანგეთი: დიგბო (12), ევტიმოვი (3), ფუარე (14), გოტიე (3), ჟულიანი (3), ფ. პიეტრუსი (6), რიზაშე (6), რუპერი (4), სკიარა (14), სონკო (20)

**პოლონეთი 110:105 ესტონეთი**

(ძირითადი დრო 97:97)

პოლონეთი: ბაციკი (3), ჰიზი, კორიტეკი (3), მაკოვსკი (15), პლუტა (11), პრავეცა (5), შჩესნიაკი (9), ტომჩიკი (12), ვოიცეკი (23), ზიელინსკი (29)
ესტონეთი: კიკერპილი (2), კრიისა (3), კულამი (16), კუუსმაა (9), მეტსტაკი (10), მიუურსეპი (26), ნოორმეტსი (8), პარნი (8), პეჟაა (21), ტეინი (2)
საფრანგეთი 4 ქულა, პოლონეთი 4, ესტონეთი 3, ლატვია 3, უნგრეთი 2, ბელარუსი 2

### E ჯგუფი

**ინგლისი 73:70 სლოვენია**

ინგლისი: ბეტსი (13), ჩუნგი (1), დორსი (16), გარდინერი (9), ჰანსელი (12), ჰესლემი (15), ჰერიმენი (2), ვაიტი, უილიამსი (5)
სლოვენია: ბეჩიროვიჩი (24), დუშჩაკი, გოლიოვიჩი (8), იურკოვიჩი (4), კრალევიჩი (7), ლაკოვიჩი (4), მილიჩი (7), ნახბარი (14), ჰავიჩი (2)

**რუსეთი 90:77 პორტუგალია**

რუსეთი: ავლეევი (12), კარასიოვი (25), ხრიაპა, მიხაილოვი (19), ზ. პაშუტინი (16), პადიუსი (4), პანოვი (7), პეტრენკო, სავრასენკო (7)
პორტუგალია: დიასი (2), გომეში (2), მარკეში (14), სიმაო (18), ტავარეში (12), ე. მონტეირო (10), პაისი (3), რიჩმონდი (2), სანტოსი, პ. მონტეირო (14)

**ჩეხეთი 75:81 იტალია**

ჩეხეთი: ველში (25), სტაროსტა (14), ბეჩკა (12), ფრანა (9), ჩუდეკი (7), კუბალეკი (3), ნეჩასი (3), კრესტა (2)
იტალია: მაიერსი (31), ბაზილე (11), მენეგინი (11), ტონოლი (10), კაჩიგი (10), აბიო (3), გალანდა (2), მარკონატო (2), სორანია (1)
იტალია 4 ქულა, რუსეთი 4, სლოვენია 3, ინგლისი 3, პორტუგალია 2, ჩეხეთი 2



REUTERS ფოტო

დანია — ესპანეთი. იგნასიო როდრიგესი (ბურთით) დანიელი მიკელ ლარსენის წინააღმდეგ

# NHL. რეგულარული ჩემპიონატი

22 ნოემბერი

**ატლანტა 2:5 მონრეალი (1:2 1:1 0:2)**
1:0 ტაპერი 4(1), 1:1 პერო 8(9), 1:2 სავაჟი 13(8), 1:3 დაკელი 26(6), 2:3 ჰიტლი 29(7), 2:4 კილგერი 51(2), 2:5 სავაჟი 59(9)

**ოტავა 4:4 კალგარი (1:1 1:1 2:2 0:0)**
0:1 კონროი 6(8), 1:1 ჰავლატი 8(9), 1:2 ნიდერმაიერი 23(1), 2:2 ფილიპსი 29(3), 3:2 ალფრედსონი 42(11), 4:2 ფილიპსი 46(4), 4:3 კონროი 47(9), 4:4 იგინლა 50(19)

**ედმონტონი 2:4 ლოს ანჯელესი (1:0 0:0 1:4)**
1:0 სტეიისი 18(1), 1:1 პალფი 44(8), 1:2 ელისონი 48(4), 1:3 ჯონსონი 48(4), 1:4 ჩარტრანი 52(1), 2:4 ლარაქი 53(3)

23 ნოემბერი

**ტამპა 2:0 ნიუ ჯერსი (0:0 1:0 1:0)**
1:0 მოდინი 37(5), 2:0 პროსპალი 54(7)

**ვაშინგტონი 6:2 რეინჯერსი (0:1 2:1 4:0)**
0:1 იორკი 20(9), 0:2 იოჰანსონი 30(7), 1:2 ოუთსი 35(2), 2:2 დალინი 37(9), 3:2 იაგრი 41(8), 4:2 ნიკოლიშინი 43(5), 5:2 ზუბრუსი 46(1), 6:2 ნიკოლიშინი 50(6)

**მინესოტა 5:2 ფინიქსი (2:0 3:1 0:1)**
1:0 დაუდი 4(8), 2:0 დიუპუი 6(5), 3:0 უოლსი 25(2), 4:0 გაბორიკი 31(11), 4:1 დოუნი 33(5), 5:1 გაბორიკი 35(12), 5:2 ლენგკოუ 60(7)

**ნეშვილი 5:0 პიტსბურგი (2:0 2:0 1:0)**
1:0 ერატი 2(3), 2:0 ლეგუანდი 9(7), 3:0 ორზაგი 23(4), 4:0 ჰარტნელი 28(5), 5:0 რონინგი 42(6)

**დალასი 3:3 ფილადელფია (0:1 1:1 2:1 0:0)**
0:1 განიე 9(10), 1:1 ბრიუნე 26(1), 1:2 მანდერვილი 37(1), 2:2 მიულერი 46(3), 2:3 რანჰეიმი 54(2), 3:3 ნუინდაიკი 56(10)

**კოლუმბუსი 2:2 ჩიკაგო (1:1 1:1 0:0 0:0)**
1:0 სილინჯერი 14(3), 1:1 მირონოვი 18(1), 1:2 ნიულანდერი 27(2), 2:2 მარშალი 40(7)

**დეტროიტი 3:1 სენტ ლუისი (1:1 1:0 1:0)**
0:1 სტილმანი 5(3), 1:1 დრეიპერი 13(7), 2:1 აიზერმანი 29(7), 3:1 შენაჰანი 45(17)

**აილენდერსი 3:1 ტორონტო (1:0 1:1 1:0)**
1:0 ბეიტსი 6(7), 1:1 სუნდინი 21(11), 2:1 კეირნსი 30(1), 3:1 პეკა 58(5)

**ბუფალო 5:2 კალგარი (0:0 3:0 2:2)**
1:0 დიუმონი 21(9), 2:0 კონოლი 27(4), 3:0 შატანი 32(10), 4:0 ბარნსი 41(7), 4:1 ბეგინი 47(2), 4:2 ნიკოლი 47(4), 5:2 პატრიკი 50(3)

**ბოსტონი 3:2 ვანკუვერი (0:1 1:0 2:1)**
0:1 ლინდენი 6(2), 1:1 ლაპოინტი 24(7), 1:2 მორისონი 43(8), 2:2 როლსტონი 46(10), 3:2 ტორნტონი 59(9)

24 ნოემბერი

**ტორონტო 2:0 ბოსტონი (1:0 1:0 0:0)**
1:0 გრინი 15(3), 2:0 ჰოგლუნდი 31(6)

**მონრეალი 5:3 ვაშინგტონი (0:1 3:1 2:1)**
0:1 პეტინგერი 3(3), 1:1 ბულისი 23(4), 2:1 პერო 30(10), 3:1 სავაჟი 32(10), 3:2 ბონდრა 34(13), 4:2 ოდელი 51(5), 4:3 იაგრი 53(9), 5:3 კილგერი 60(3)

**ოტავა 3:6 ატლანტა (2:3 0:0 1:3)**
1:0 ალფრედსონი 5(12), 1:1 ფერარო 6(4), 1:2 რომი 13(3), 2:2 ალფრედსონი 16(13), 2:3 კოვალჩუკი 19(10), 3:3 ჰოსა 46(8), 3:4 რომი 49(4), 3:5 ჩერნეცკისტი 50(1), 3:6 ბარტეჩკო 50(2)

**აილენდერსი 5:3 ანაჰაიმი (1:1 2:0 2:2)**
0:1 ტიტოვი 9(2), 1:1 ჰამრლიკი 17(3), 2:1 პერიში 28(14), 3:1 პეკა 29(6), 4:1 პერიში 46(15), 5:1 პერიში 48(16), 5:2 მაკინისი 50(3), 5:3 კარია 53(9)

**პიტსბურგი 3:1 ბუფალო (0:1 2:0 1:0)**
0:1 ჟიტნიკი 5(1), 1:1 მორანი 26(1), 2:1 პრიდჰა 37(6), 3:1 ბიჩი 53(1)

**ფლორიდა 1:5 ნიუ ჯერსი (1:1 0:0 0:4)**
1:0 ლინდსეი 14(2), 1:1 სიკორა 19(5), 1:2 არნოტი 45(8), 1:3 მედენი 51(4), 1:4 ჰოლიკი 57(9), 1:5 მაკენზი 58(1)



REUTERS ფოტო

ვაშინგტონი — რეინჯერსი. ერიკ ლინდროსს ვაშინგტონელთა მეკარე ოლაფ კოლციგმა წარბი გაუხეთქა

**სენტ ლუისი 5:3 ფინიქსი (3:0 1:3 1:0)**
1:0 იანგი 5(4), 2:0 დემიტრა 7(13), 3:0 ტკაჩუკი 20(11), 4:0 პრონგერი 23(2), 4:1 კოლანოსი 29(8), 4:2 სუხი 29(2), 4:3 ნუმინენი 37(1), 5:3 მაიერსი 56(3)

**კოლორადო 2:0 ედმონტონი (1:0 0:0 1:0)**
1:0 დრური 12(5), 2:0 ჰოდინი 60(5)

**ლოს ანჯელესი 3:1 სან ხოსე (1:0 0:1 2:0)**
1:0 ელისონი 4(5), 1:1 სელიანე 37(6), 2:1 პ აინცი 44(9), 3:1 ელორანტა 49(1)

25 ნოემბერი

**ფილადელფია 1:4 ვანკუვერი (0:2 1:0 0:2)**
0:1 კუკი 10(5), 0:2 ნესლუნდი 20(12), 1:2 განიე 30(11), 1:3 მ. სედინი 52(2), 1:4 ნესლუნდი 60(13)

**დეტროიტი 4:4 ჩიკაგო (0:0 3:1 1:3 0:0)**
1:0 ფიოდოროვი 21(11), 2:0 შენაჰანი 25(18), 3:0 დრეიპერი 26(8), 3:1 კოლდერი 29(10), 3:2 ჟამნოვი 46(9), 3:3 დაზე 47(12), 3:4 დაზე 51(13), 4:4 მაკარტი 54(1)

**რეინჯერსი 2:3 ანაჰაიმი (0:0 1:3 1:0)**
0:1 მაკინისი 21(4), 0:2 სოიერი 29(1), 0:3 კარია 33(10), 1:3 მესიე 35(4), 2:3 ნედვედი 50(5)

**მინესოტა 3:4 დალასი (1:2 0:0 2:2)**
0:1 ნუინდაიკი 6(11), 1:1 დაუდი 14(9), 1:2 ნუინდაიკი 16(12), 2:2 სეკერაში 41(2), 2:3 ზუბოვი 49(4), 2:4 ზუბოვი 50(5), 3:4 დიუპუი 52(4)

**კოლუმბუსი 4:3 კალგარი (2:1 2:1 0:1)**
0:1 იგინლა 7(20), 1:1 უაიტნი 10(6), 2:1 ობენი 12(4), 3:1 კრონი 24(2), 3:2 მაკამონდი 25(6), 4:2 სილინჯერი 36(4), 4:3 რაიტი 48(3)

**კაროლინა 0:4 ტამპა (0:2 0:0 0:2)**
0:1 კუბინა 11(2), 0:2 ტეილორი 12(3), 0:3 მოდინი 42(6), 0:4 რიჩარდსი 45(4)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 24 | 13 | 2 | 3 | 6 | 67:53 | 31 |
| ოტავა | 22 | 12 | 3 | 0 | 7 | 74:55 | 27 |
| ბოსტონი | 23 | 11 | 3 | 2 | 7 | 54:52 | 27 |
| მონრეალი | 22 | 11 | 2 | 1 | 8 | 55:57 | 25 |
| ბუფალო | 25 | 10 | 1 | 1 | 13 | 65:64 | 22 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| აილენდერსი | 23 | 15 | 2 | 1 | 5 | 69:55 | 33 |
| რეინჯერსი | 25 | 14 | 1 | 1 | 9 | 73:72 | 30 |
| ფილადელფია | 22 | 10 | 5 | 0 | 7 | 64:50 | 25 |
| პიტსბურგი | 23 | 9 | 3 | 2 | 9 | 47:57 | 23 |
| ნიუ ჯერსი | 21 | 9 | 2 | 2 | 8 | 54:57 | 22 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 26 | 11 | 4 | 2 | 9 | 62:67 | 28 |
| ტამპა | 22 | 9 | 1 | 1 | 11 | 45:47 | 20 |
| ვაშინგტონი | 23 | 9 | 2 | 0 | 12 | 60:70 | 20 |
| ფლორიდა | 23 | 6 | 2 | 3 | 12 | 49:65 | 17 |
| ატლანტა | 22 | 5 | 2 | 2 | 13 | 48:84 | 14 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 25 | 20 | 1 | 1 | 3 | 88:58 | 42 |
| ჩიკაგო | 25 | 12 | 6 | 0 | 7 | 75:70 | 30 |
| სენტ ლუისი | 22 | 10 | 3 | 1 | 8 | 56:51 | 24 |
| ნეშვილი | 23 | 9 | 3 | 0 | 11 | 63:65 | 21 |
| კოლუმბუსი | 24 | 6 | 5 | 1 | 12 | 47:68 | 18 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ედმონტონი | 25 | 14 | 3 | 1 | 7 | 69:49 | 32 |
| კალგარი | 23 | 13 | 4 | 2 | 4 | 69:53 | 32 |
| ვანკუვერი | 26 | 11 | 2 | 0 | 13 | 69:67 | 24 |
| მინესოტა | 24 | 9 | 4 | 2 | 9 | 63:72 | 24 |
| კოლორადო | 24 | 11 | 1 | 0 | 12 | 50:51 | 23 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 23 | 9 | 4 | 3 | 7 | 60:58 | 25 |
| დალასი | 24 | 8 | 6 | 3 | 7 | 60:66 | 25 |
| ფინიქსი | 23 | 9 | 3 | 3 | 8 | 57:61 | 24 |
| ლოს ანჯელესი | 23 | 7 | 3 | 2 | 11 | 62:63 | 19 |
| ანაჰაიმი | 24 | 7 | 3 | 0 | 14 | 53:70 | 17 |

მთის თხილამურობა

# ახმეტელმა ლიცენზია ბრინჯაოთი გაამყარა

**საფრანგეთის** ქალაქ ვალ ტორენსში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი სლალომში, რომელშიც ქართველი სამთო მოთხილამურეებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრება თხილამურობის საერთაშორისო ფედერაციის (ფის) ეგიდით მოეწყო და სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპსაც წარმოადგენდა.

ქალთა შორის მესამე ადგილი დაიკავა სოფიო ახმეტელმა, რომელსაც სლალომში უკვე მოპოვებული აქვს ოლიმპიადის ლიცენზია. ჩემპიონი გახდა ფრანგი მარია მორე, მეორეზე იტალიელი ელენ კონტი გავიდა.

ვაჟთა შორის თენგიზ ბაქრაძე ტურნირს გამოეთიშა, ხოლო რობერტ მახარაშვილმა 51-ე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა, მან სალიცენზიო ქულები შეიმატა და ახლა ოლიმპიადის საგზურს მცირედი აშორებს.

მახარაშვილს, ისევე როგორც სხვა ქართველ სამთომოთხილამურეებს, ქულათა სალიცენზიო მარაგის შევსება მსოფლიოს თასის ეტაპებზე შეეძლებათ. მალე ეს ეტაპები ამერიკის კონტინენტიდან ევროპაში გადმოინაცვლებს. სოფიო ახმეტელისთვის სლალომის ტურნირები უშუალოდ ოლიმპიადისთვის სამზადისი იქნება, ხოლო გიგანტური სლალომის ეტაპებზე ამ დისციპლინაში სოლტ ლეიკ სიტის ლიცენზიისთვის იბრძოლებს.

პლეი-ოფი. ნახევარფინალი

# ყოჩების ორმა აია გაართხა

25 ნოემბერი. თბილისი.
ვარკეთილის მეურნეობა

**ყოჩები 21:12 აია**

**ყოჩები: კობერიძე, სოხაძე, საკანდელიძე, ციბაძე, კ. მზეიძე, ტრაპაიძე, გიორხელიძე, ჩიქავა (ცარციძე), გოლიაძე (გულუხია), ფირიაშვილი, ხურცილავა, ურუშაძე, ს. ქელიძე, ცხვედიანი, გ. ხაბეიშვილი**
**2ლ: ურუშაძე, კობერიძე; 1გ: გიორხელიძე; 3ს: გიორხელიძე**
**აია: გ. სორდია, ნამჩევაძე, იობაშვილი (შერგაშიძე), ი. გიორგაძე, ლილუაშვილი, ზვიადაძე, კ. გიორგაძე; კოპალიანი, ბუხაიძე (დ. ბალაჩიევაძე), პაპავა (დადუნაშვილი), მაღლაკელიძე (თ. ბალანჩივაძე), მინაძე, ტორაძე, ცნობილაძე (ყურაშვილი), საყვარელიძე**
**3ს: ზვიადაძე; 1ს: ზვიადაძე**
**მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი**
**მეთვალყურე: ზურაბ ელიზბარაშვილი**

მატჩის შემდეგ მარცხით აღელვებულმა ქუთათურებმა გვერდითი მსაჯი გიორგი ბერიაშვილი ალყაში მოიქციეს და დიდხანს უმტკიცებდნენ, რომ თითქოს იგი გამუდმებით აგინებდა შეილისტოლ მორაგბეებს. რა თქმა უნდა, ბერიაშვილი რითაც შეეძლო, თავს იმართლებდა და არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა ეს ცხარე კამათი, მატჩის მომსახურე პერსონალი და მატჩის საცქერლად მისული რაგბის კავშირის ხელმძღვანელები რომ არ ჩარეულიყვნენ.

მანამდე „აიას" მორაგბეებმა მეორე გვერდით მსაჯზე, გია კარკაძეზე გაიწიეს, როდესაც ყოჩმა რატი ურუშაძემ პირველად დაალელოვა ქუთათურები. არა, ლელო წესების სრული დაცვით გავიდა, მაგრამ სტუმრები კარკაძეს ედავებოდნენ, სანამ სალელოე შეტევა დაიწყებოდა, მანამდე უსამართლოდ დაგვაჯარიმეო. მაშინ აღშფოთებული აიელების დაშოშმინება ქუთაისელთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა შეძლო. ამს მატჩის მსვლელობის დროს მოედანზე მომხდარი შეხლა-შემოხლა და მცირე მუშტიკრივიც დაუმატეთ და ადვილი მისახვედრი იქნება, თუ რა დაძაბულობა ახლდა ამ შფოთიან შეხვედრას.

სამისო საბაბი მართლაც არსებობდა, ვინაიდან საქართველოს ჩემპიონატი იმ ეტაპს მიადგა, სადაც ფავორიტები და აუტსაიდერები აღარ არიან. ამ წყვილის არც ერთ გუნდს დამარცხების უფლება არ ჰქონდა. წაგებული ავტომატურად ეთიშებოდა ბზის თასისთვის ბრძოლას, გამარჯვებული კი „დათვები" — „ლოკომოტივის" შორის ძლეულთან დაიჭერდა საქმეს და დიდ ფინალში გასასვლელად კიდევ ერთი რთული ბრძოლის გადატანა მოუხდებოდა.

ამ შემთხვევაში „აია" აღმოჩნდა ის გუნდი, ვინც საჩემპიონო მარათონს დაემშვიდობა და მეოთხე ადგილი დაიკავა. არადა, არავინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ქუთათურთა „ყოჩებთან" დაპირისპირება, პლეი ოფის პირველი წრის ნახევარფინალი ქუთაისში რომ გამართულიყო. გათამაშებას ბოლო ტურში რომ არა „აიას" მთავარ მწვრთნელ დიმიტრი ფულარიას ექსპერიმენტი, იქნებ ის მატჩი იმერეთში შემდგარიყო. მაშინ ფულარიამ საფრანგეთში გასამგზავრებლად გამზადებული ძირითადი ბირთვი თავიდანვე არ ათამაშა, ეგებ მათი შემცვლელები ვნახო, რას წარმოადგენენ და სამომავლოდ ვიცოდე, ვინ რის გამკეთებელიაო — ასე ახსნა „აიას" დამრიგებელმა თავის გადაწყვეტილება და ნახევარფინალის შინ გამართვის პერსპექტივა სასწორზე შეაგდო. სასწორი კი ძლიერისკენ გადაიხარა. „ყოჩებმა" ის შეხვედრა სასურველი ანგარიშით მოიგეს. სატურნირო ცხრილში „აიას" გადაასწრეს და ნახევარფინალს თბილისში უმასპინძლეს როგორც მოვლენათა განვითარებამ ცხადყო, ფულარიას ექსპერიმენტი სტუმართათვის საბედისწერო გამოდგა.

მართალია, ტრადიციულად შინ ძლიერად მოთამაშე „აია" სტუმრადაც სოლიდურად გამოიყურებოდა, მაგრამ ძალები ბოლომდე არ ეყო და მატჩის მიწურულს დანებდა კიდეც მეტოქეს. მატჩის წინ საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ დავით ცხვედიანით და რატი ურუშაძით გაძლიერებული „ყოჩები" ახალგაზრდული „აიასაგან" ქვას ქვაზე არ დატოვებდნენ, თუმც მიღწეული გამარჯვება არც ისეთი იოლი გამოდგა, როგორც ვიცე-ჩემპიონთა გულშემატკივარს თავიდან ეჩვენებოდა. ამის მიზეზი კი „ყოჩების" არადამაჯერებელი თამაში გახდა. მასპინძლებმა პირწმინდად დათმეს დერეფანი, არადა, აუტებში ისეთ ტანმაღალ მორაგბეს სწევდნენ, როგორიც ურუშაძეა, მაგრამ არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც რატის ბურთს აუტიდან ზუსტად მიაწოდებდა. ამის გარდა თბილისელები აშკარად დაჩაგრეს სტუმრებმა შერკინებაში, თუმც გარკვეული უპირატესობა ქულებში ვერ ასახეს. მათმა მეტოქემ კი პირიქით, ყველა შესაძლებლობა ჩინებულად გამოიყენა და ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაასრულა — 9:6. ირაკლი გიორხელიძემ სამჯერ დასაჯა მეტოქე უხეშობისთვის, სტუმარმა ზურაბ ზვიადაძემ კი ერთი საჯარიმოთი და მოზომილი არეკნით უპასუხა მასპინძლებს. არეკნი ახლახან გაბორჯღალოსნებულმა ირაკლი გიორგაძემაც სცადა, მაგრამ მიზანს ვერ უსწორა. ამის გარდა კიდევ იყო ერთი ეპიზოდი, რომელიც შემდეგ დავის საგანიც გახდა.

„ყოჩებმა" შეტევის მარჯვენა ფრთაზე მძლავრი იერიში მიიტანეს და ლელოსაც გაიტანდნენ, რომ არა ქუთაისელი კობა გიორგაძე, რომელმაც მეტოქის შეტევა წესების დარღვევით ჩაშალა. თბილისელები ტექნიკურ ლელოს ითხოვდნენ, მაგრამ მთავარი მსაჯის ნოდარ რობიტაშვილისგან ოდენ ჯარიმას გამორჩნენ.

შეხვედრის მეორე ორმოცწუთეული უფრო საინტერესო და დაძაბული გამოდგა. „აიელთა" დამრტყმელმა ზვიადაძემ საჯარიმოს ნიშნულიდან ჯერ გაათანაბრა ანგარიში, მერე კი პირველად ამ მატჩში წინ თავისიანები გაიყვანა. დიდად გაიხარეს ქუთათურებმა და გაორმაგებული ძალებით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ „ყოჩებმა" მალევე შეძლეს სტუმართა სიხარულის განელება.

რუსეთის თასის მფლობელმა და „ყოჩების" დასახმარებლად ჩამოსულმა ურუშაძემ ჩვეულად გაინავარდა მარჯვენა ფლანგზე და იქამდე ირბინა, სანამ მეტოქის ლელოს არ უწია. გიორხელიძემ გარდასახა. „აია" მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადა, თუმც რამდენიმე წუთში მეორე ლელო მიიღო. შეტევაში გართულმა სტუმრებმა ზურგი მოიშიშვლეს, რითიც კარგად ისარგებლა ზვიად კობერიძემ და თანაგუნდელი სანდრო საკანდელიძის ნაჯაფი ლელოთი დააფასა. ირაკლი გიორხელიძეს ამჯერად უმტყუნა მიზანმა, მაგრამ ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთი რჩებოდა და ცხრაქულიანი სხვაობის აღმოსაფხვრელად სტუმრებს აღარც დრო ეყოფოდათ და აღარც ძალები.

მატჩის შემდეგ „აიას" მწვრთნელი დიმიტრი ფულარია მსაჯებს შემოსწყრა და მარცხი მათ გადააბრალა, აქაოდა, ჩემი ჭაბუკი მორაგბეები მსაჯების და მეტოქის მხრიდან არასპორტული ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცნენო.

„ყოჩების" მთავარი მწვრთნელი ამირან თეზელაშვილის კომენტარი კი ასეთი იყო: „ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ბიჭები მონდომებულნი იყვნენ, მოსაგებად განწყობილნი, ოღონდ ეგ არის, ამ შემადგენლობით გაცილებით უკეთ გვმართებდა თამაში. ჩემმა შეგირდებმა თავიანთი შესაძლებლობების ნახევარი გამოავლინეს. ასეთი თამაშით „ლოკომოტივთან" შორს ვერ წავალთ".

**ბაჩო სვანიძე**

24 ნოემბერი. ბათუმი. ანგისა.

**დათვები 20:19 ლოკომოტივი**

**დათვები: 1 ლ: ჩირგაძე; 5 ს: კობახიძე**
**ლოკომოტივი: 1 ლ: ანდღულაძე; 1 გ: ძნელაძე; 3 ს: ძნელაძე; 1 ა: ძნელაძე**
**მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი**
**მეთვალყურე: მიხეილ კალანდაძე**



ნუგზარ ვარდოსანიძის ფოტო

რუსეთიდან დროებით მობრუნებული რატი ურუშაძის ამ გარღვევას „ყოჩების" ლელო მოჰყვა

# თასი დათვებს მიეკუთვნა. თასს ჭეშმარიტი მფლობელი არ ჰყავს

*5 ნოემბერს ქუთაისში გასამართი საქართველოს თასის ფინალი არ შედგა. „ტორპედოს" სტადიონზე დანიშნულ ფინალურ მატჩზე მხოლოდ ერთი მეტოქე, ბათუმის „დათვები" გამოცხადდა. თბილისის „ლოკომოტივი" კი ქუთაისში არ ჩასულა, იმ მიზეზით, რომ მორაგბეები 5 ნოემბერს ანუ ორშაბათს თავთავიანთი ძირითადი სამსახურით იყვნენ დაკავებულნი და მას ვერ გააცდენდნენ.*

*ერთი სიტყვით ფინალური მატჩი ჩაიშალა, მაგრამ დღემდე გაურკვეველი იყო თასის მფლობელის ვინაობა. გუშინ კი საქართველოს რაგბის კავშირმა განცხადება გააკეთა და შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე თავისი პოზიცია დააფიქსირა:*

„საქართველოს თასის ფინალი არ შედგა, ანუ დაირღვა თასის გათამაშების ძირითადი პრინციპი. თასს არა ჰყავს ჭეშმარიტი მფლობელი. სამწუხაროა, მაგრამ რაგბის მოყვარულებს მოაკლდათ კიდევ ერთი ლამაზი და დაძაბული მატჩი, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელოდა. ქუთაისში, „ტორპედოს" სტადიონზე დანიშნულ ფინალურ მატჩზე გამოცხადდა მხოლოდ ბათუმის „დათვები". თბილისის „ლოკომოტივი" თამაშზე ვერ ჩავიდა. მიზეზი — პრობლემები, რომლებიც წლების მანძილზე მუდმივად თან სდევს თბილისის „ლოკომოტივის" გუნდს.

რაგბის მოყვარულებს ემახსოვრებათ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილისათვის არჩატარებული მატჩი რუსთავში, რუსთავის „აზოტსა" და თბილისის „ლოკომოტივს" შორის. მაშინ ფლეი-ოფის მატჩების მომსახურებისათვის საქართველოს რაგბის კავშირს მოწვეული ჰყავდა მაღალი კვალიფიკაციის ფრანგი არბიტრი, რომელმაც ვერ დაფარა თავისი გაოცება თბილისელების ამ მატჩზე გამოუცხადებლობის გამო. სამწუხაროდ ამ ფაქტმა კარგი ვერაფერი შემატა ქართული რაგბის ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე, რომელსაც მაშინ ეყრებოდა საფუძველი.

ბოლომდე სამართლიანები რომ ვიყოთ, გვინდა ხაზი გაუსვათ ბათუმელების დამოკიდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება საყოველთაოდ აღიარებულ რაგბის ფასეულობებს. ამ ფასეულობების უზენაესობა, მათი აღიარება, რაგბიში მოღვაწე ყველა პირის მოვალეობაა და გაცილებით მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ნებისმიერი კონკრეტული შეჯიბრის დებულება.

სამწუხაროა, მაგრამ საქართველოს რაგბის კავშირის მცდელობის მიუხედავად, ბათუმის „დათვების" ხელმძღვანელობამ არ გამოიჩინა კეთილი ნება, რათა შემდგარიყო შეთანხმება თასის ფინალის გამართვის შესახებ და თასის მფლობელი გამოვლენილიყო უშელავათო და სამართლიან ბრძოლაში რაგბის მოედანზე.

საკითხის იურიდიული ასპექტები აიძულებს საქართველოს რაგბის კავშირს მიაკუთვნოს თასი ბათუმის „დათვებს".

## ტესტ მატჩები



REUTERS

ავსტრალიას ყველა ქულა მეტ ბერკმა მოუტანა

თვიქნემი

**ინგლისი 29:9 სამხრეთ აფრიკა**

**ინგლისი: რობინსონი, ო. ჰილი, გრინვუდი, კეტი (ტინდელი), ლუგერი, უილკინსონი, ბრაკენი; როუნთრი, უესტი, ვიკერი, ჯონსონი (კეი), გრიუკოკი, რ. ჰილი (მუდი), ბეკი, უორსლი**
**1 ლ: ლუგერი; 7 ს: უილკინსონი; 1 ა: კეტი**
**სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე, ჰალსტიდი, ფან სტრაატენი, ჰოლი, კოენი, ვან დერ ვესტჰოიზენი; ლე რუ, სმიტი (ფან ბილიონი), მეიერი (ფისახი), მუტილდი, ენდრიუსი (ა. ფენტერი), ფოსი, (კრიხე), ა. ჯ. ფენტერი, სკინსტედი**
**3 ს: ფან სტრაატენი**

კარდიფი

**უელსი 13:21 ავსტრალია**

**უელსი: მორგანი, პროქტორი, რობინსონი (რ. უილიამსი), ჰარისი, გარეთ ტომასი, ს. ჯონსი, ჰაული; ჯონი (დ. ჯონსი), მაკბრაიდი (ბ. უილიამსი), მორისი, გაფი (უაიატი), მური, ჩერვისი, სინკინსონი (გევინ ტომასი), ს. ქვინელი**
**1 ლ: გევინ ტომასი; 1 გ: ჰარისი; 2 ს: ჰარისი**
**ავსტრალია: ბერკი, თიუნი, ბონდი (ს. კეფუ), ფლეტლი, როფი (ლეითემი), ლარკემი, გრეგანი (ვაითეკერი); სტაილზი, ფოლი (კენონი), დარვინი (მური), კოკბეინი (ჰარისონი), გიფინი, ფინეგანი, ვო (სმიტი), ტ. კეფუ**
**7 ს: ბერკი**

მარიფილდი

**შოტლანდია 6:37 ახალი ზელანდია**

**შოტლანდია: ლეინი, სტილი, მაკლარენი, ლესლი (ჰენდერსონი), პატერსონი, თაუნსენდი, ნიკოლი (ბერნსი); სმიტი, ბალოკი (ს. სკოტი), სტიუარტი (გრეში), ს. მიურეი (ფულარტონი), გრიმსი, უაიტი, მოუერი, სიმპსონი (ტეილორი)**
**2 ს: პატერსონი**
**ახალი ზელანდია: მაკდონალდი (ბლერი), ჰოულეტი, უმაგა, მაუგერი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი (რობინსონი); ფიკი (ჰიუეტი), ოლივერი, სომერვილი, ჯეკი, მაქსველი, თორნი, მაკკაუ, რობერტსონი**
**3 ლ: უმაგა, რობინსონი, ლომუ; 2 გ: მერთენსი; 6 ს: მერთენსი**

სენტ ეტიენი

**საფრანგეთი 77:10 ფიჯი**

**საფრანგეთი: პუანტრენო (ჟანჟანი), დომინისი, მარში, ტრაი, ბორი (რუჟერი), მერსერონი, გალტიე (მიშალაკი); კრანკა, იბანიესი (ბრუ), დე ვილიე (პუ), ორადუ (ნალე), პრივატი, ბეტსენი, მანი (შაბალი), ტაბაკო**
**12 ლ: ბეტსენი (2), დომინისი (2), რუჟერი (2), გალტიე, ბორი, პუანტრენო, მანი, ჟანჟანი, პუ; 7 გ: მერსერონი; 1 ს: მერსერონი**
**ფიჯი: 1 ლ: ლასაგაბივაუ; 1 გ: ლითლი; 1 ს: ლითლი**

ლაკვილა

**იტალია 9:17 სამოა**

**იტალია: მარტინი (ძანოლეტი), პაჩე, პოცებონი, სტოიკა, დალანი, როდრიგესი, ტრონკონი; დე კარლი, მოსკარდი, მურარო (ლო ჩიჩერო), ვიზერი, ბორტოლამი, ბენატი (პერსიკო), ბერგამასკო, პეკინატო**
**3 ს: დომინგესი**
**სამოა: 1 ლ: ფაატაუ; 4 ს: ვილი (3), ლაეგა**

სევილია

**სამხრეთ აფრიკა „ა" 28:13 ესპანეთი**

**სამხრეთ აფრიკა „ა" (სასტარტო შემადგენლობა): დიუ ტუა, ვ. ჰუმანი, ჟუბერი, ბობო, ჰენდრიკსი, როსოუ, კონრადი; კუტცე, ბოსჰოფი, კარსტენსი, ბადენჰორსტი, ბოთა, ბრიცი, ვან ჰეერდენი, ვინტერი (შემცვლელები: ფან ნიკერკი, რაუტენბახი, დ. ჰუმანი, სხოლტცი, გროუნევალდი, იულიესი, ი. ფან დერ ვესტჰოიზენი)**
**3 ლ: ბობო, ფან ნიკერკი, ჰენდრიკსი; 2 გ: დიუ ტუა; 3 ს: დიუ ტუა**
**ესპანეთი: 1 ლ: ა. მარტინესი; 1 გ: ა. მარტინესი; 2 ს: ა. მარტინესი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. სოფია (ბულგარეთი)






გივი სისაურმა გადამწყვეტი გდება შეასრულა და პირველი მსოფლიოს ჩემპიონობით გაიხარა

# ხუთი მეოთხედფინალში და ერთი პოდიუმზე

**ქართველმა** თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა საერთაშორისო სარბიელზე სტარტი კონტინენტის პირველობიდან აიღეს და წარმატებასაც მიაღწიეს. ბუდაპეშტის ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ფალავნებმა სამივე ხარისხის თითო-თითო მედალი და გუნდური მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს და სეზონის უმთავრესი ასპარეზობისთვის იმედიანად განგვაწყვეს, მაგრამ...

სავსებით შესაძლებელი იყო, მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი ისტორიული გამხდარიყო როგორც ჩვენთვის, ისე ზოგადად სპორტის ამ სახეობისთვის. აქ ერთბაშად უნდა მოეყარათ თავი ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ქალ-ვაჟებს, თუმცა ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინ გაერთიანებული მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის პატივი აშშ-ს ხვდა წილად. ამერიკელებმაც ძალ-ღონე არ დაზოგეს და მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისში უზარმაზარი შრომა გასწიეს, თუმცა ეტყობა, ცნობილ „მედისონ სკვერ გარდენს" ასპარეზობების მასპინძლობა არ ეწერა. ჩემპიონატის გახსნამდე რამდენიმე კვირით ადრე, ნიუ იორკზე ტერორისტებმა იერიში მიიტანეს. 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) იძულებული გახდა, ახალი მასპინძელი მოეძებნა, თანაც თითოეული სახეობისთვის ცალ-ცალკე მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის არა... მსურველიც გამოჩნდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა 35-ე და ქალთა მე-14 მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის უფლება კი ბულგარეთის დედაქალაქს ხვდა წილად.

22-25 ნოემბერს სოფიაში მსოფლიოს უძლიერესმა ფალავნებმა მოიყარეს თავი, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებმაც. ბუნებრივია, ჩვენი გულისყურიც ბულგარეთისკენ იყო მიპყრობილი. სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატი არც ჩვენთვის გამოდგა ისტორიული. საქართველოს მოჭიდავეთა გუნდმა სოფიურ ხალიჩაზე უსახურად იასპარეზა, თორემ ისე, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის გარეშე ქართველებს ხალიჩა არ დაუტოვებიათ. გიორგი გოგშელიძე რუსეთის სახელით გახდა ჩემპიონი, ხოლო გივი სისაურმა სოფიაში კანადის ჰიმნი აჟღერა. ჩვენ კი ერთადერთ ბრინჯაოს დავჯერდით. რომ არა დავით პოღოსიანის (58კგ) თავგამოდება, საქართველო მედლის გარეშე დარჩებოდა. პოღოსიანმა ნახევარფინალამდე ყველა მეტოქე იოლად ჩამოიცილა გზიდან. პირველ წრეში ჯერ თურქმენ როვშენ სეიდოვს სძლია (9:1), მეორეში გერმანელ ოტმარ კიუჰნერს (7:0), ხოლო მერვედფინალში რუმინელი პეტრუ ტოარკა ჩამოიშორა გზიდან (6:3). მეოთხედფინალში იგივე ბედი ეწია რუს ზელიმხან ჰუსეინოვს (3:1). აი, ნახევარფინალური ორთაბრძოლა მონღოლ ოიუნბილეგ პურევბაატართან დავითმა დათმო (1:5), თუმცა მონღოლს გივი სისაურმა თანამემამულის წყენა არ შეარჩინა, როდესაც ფინალში ჩემპიონობას გამოამშვიდობა. მესამე ადგილისთვის კი პოღოსიანი მასპინძელ ანატოლი გუიდიას გადაეყარა და ბრინჯაოც მოიპოვა.

მედალთან ახლოს იყო გოჩა კირკიტაძე (54კგ). მან ჯგუფში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ყირგიზი და ვიეტნამელი მოჭიდავეები, მეოთხედფინალში კი ქართველი ფალავნისთვის ირანელი ნურზად ბაბაკის ბარიერი გადაულახავი აღმოჩნდა და ორთაბრძოლა 2:6 დათმო. სხვათა შორის, ირანელი ვიცე-ჩემპიონი გახდა.

კირკიტაძის არ იყოს, მეოთხედფინალამდე გზა გაიკაფა ოთარ თუშიშვილმაც (63კგ). ჯერ იყო და პირველივე წრეში იოლად გაუმკლავდა შვეიცარიელ გრეგორი სარასინს (11:0), ასევე იოლად დაამარცხა გერმანელი ჰანლი ვაჰაბი (9:0), მერვედფინალში მეტნაკლები წინააღმდეგობა კორეელმა ბაე ჯინ კუკმა გაუწია, მაგრამ ისიც ჩამოიშორა გზიდან (5:2). მეოთხედფინალში კი მომავალ ჩემპიონთან, მასპინძელ სერაფიმ ბარზაკოვთან დამარცხდა.

69 კგ წონით კატეგორიაში ემზარ ბედინეიშვილმა პირველ-მეორე წრეში ერთმანეთის მიყოლებით აზერბაიჯანელი ზაჰიდ მირზაევი და ფრანგი სებასტიან ბურდინი დაამარცხა, მერე გაჰოლანდიელებულ გოჩა პაპაშვილს გადაეყარა და მოუგო კიდეც, თუმცა ეს იყო და ეს, მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონს, ბულგარელ ნიკოლაი პასლარს ვერაფერი მოუხერხა და შეხვედრაც მინიმალური სხვაობით დათმო (2:3).

მეტოქეების მხრივ თუკი ვინმეს ყველაზე მეტად არ გაუმართლა, ეს რევაზ მინდორაშვილია. მას პირველივე წრეში სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ გერმანელ ალექსანდრ ლაიპოლდთან მოუწია შერკინება. ქართველი ფალავანი გერმანელის ტიტულს არ შეუშინდა და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა (3:2). მერე ორქულიანი სხვაობით დაამარცხა უკრაინელი ვლადიმირ სიროტინიც (7:5). მეოთხედფინალში კი ისევ ოლიმპიურ ჩემპიონ რუს ბუვაისა საიტიევთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონთან გამარჯვება ველარ შეძლო. არადა, თითქოს საიტიევიც ლაიპოლდის გზისთვის უნდა გაეყენებინა. ამაზე ტექნიკური შედეგიც მეტყველებს — 2:3.

85 კგ წონით კატეგორიაში უნგრელი ტამაშ კიშის ძლევის შემდეგ მალხაზ ჯორბენაძემ მეორე შეხვედრა უზბეკ რასულ კატინავასოვთან წააგო და ასპარეზობასაც გამოეთიშა.

თუ ვინმესი გვეიმედებოდა, ეს ელდარ კურტანიძეა. 97 კგ-ში ორგზის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანმა პირველი ორი შეხვედრა იოლად მოიგო და მეოთხედფინალში იგივეს მოლოდინში ვიყავით, მაგრამ ამ შემთხვევაში უკრაინელმა ვადიმ თასოევმა აჯობა ჩვენს ფალავანს. არადა, როდესაც ელდარმა ბუდაპეშტში ამ გაზაფხულს მეოთხედ იზეიმა კონტინენტის ჩემპიონობა, თანაც ფინალში რუსეთის სახელით მოასპარეზე გიორგი გოგშელიძე დაამარცხა, მისგან მსოფლიოს პირველობის უსახელოდ დატოვებას არავინ მოელოდა. გოგშელიძე კი, როგორც თავში აღვნიშნეთ, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა. სხვათა შორის, მსოფლიოს ჩემპიონატის გამო გოგშელიძემ ქორწილი ერთი თვით გადადო. სამაგიეროდ, ახლა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულოსან სიძეს მეტი დაფასებით შეხვდებიან.

არ გაუმართლა მძიმეწონოსან ალექსი მოდებაძესაც. იგი პირველივე წრეში მსოფლიოს ჩემპიონს, კუბელ სეხნია ალექსის როდრიგესს შეხვდა და 0:4 წააგო. თანაგუნდელებისგან განსხვავებით, მოდებაძემ ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა. ასე რომ, დავრჩით კინკილა ბრინჯაოს მედლით.

**გიგა გურასპაშვილი**

| ფავორიტები |
| --- |
| 54 კგ. 1. გერმან კანტოევი (ბელარუსი); 2. ნურზად ბაბაკი (ირანი); 3. ალექსანდრ კანტოევი (რუსეთი) |
| 58 კგ. 1. გივი სისაური (კანადა); 2. ოიუნბილეგ პურევბაატარი (მონღოლეთი); 3. დავით პოღოსიანი (საქართველო) |
| 63 კგ. 1. სერაფიმ ბარზაკოვი (ბულგარეთი); 2. ალირეზა დაბირი (ირანი); 3. ელბრუს თედეევი (უკრაინა) |
| 69 კგ. 1. ნიკოლაი პასლარი (ბულგარეთი); 2. ამირ ტავაკოლიანი (ირანი); 3. იანგ იაე სუნი (კორეა) |
| 76 კგ. 1. ბუვაისა საიტიევი (რუსეთი); 2. მუნ ეუ იაე (კორეა); 3. ჯო უილიამსი (აშშ) |
| 85 კგ. 1. ხაჯიმურად მაგომედოვი (რუსეთი); 2. ბრენდონ ეგანი (აშშ); 3. იოელ რომერო (კუბა) |
| 97 კგ. 1. გიორგი გოგშელიძე (რუსეთი); 2. კრასიმირ კოჩევი (ბულგარეთი); 3. ვადიმ თასოევი (უკრაინა) |
| 130 კგ. 1. დავიდ მუსულბესი (რუსეთი); 2. არტურ თაიმაზოვი (უზბეკეთი); 3. ალექსის როდრიგესი (კუბა) |



# ომი კრემლში

## კა-კა შოუ და მთელი მსოფლიო

**დღეს** მოსკოვის კრემლის სამთავრობო სასახლეში, მე-6 სართულზე, სადაც საბანკეტო დარბაზია, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება, რომელიც პლანეტის ორი უძლიერესი მოჭადრაკის გარეშე ჩაივლის, თუმცა ძლიერ შორს ისინიც არ იქნებიან — პარასკევს მოსკოვშივე „ბრაიანგეიმზნეტუორკის" მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი და ექსჩემპიონი, ოღონდ დღეისთვის დედამიწის უდავოდ უძლიერესი მოჭადრაკე, გარი კასპაროვი ბოტვინიკის მემორიალს გაითამაშებენ. ორი მოქიშპე ფირმა მთავარ საქმეს შეუდგება.

სუფთა სპორტული თვალსაზრისით, ფიდე-ს ჩემპიონატი ბევრად საყურადღებოა, რადგან კასპაროვ — კრამნიკის მატჩი არ გახლავთ ბრძოლა რაიმე ტიტულისთვის. ეს ორი პიროვნება მოსკოვში თავისი მასწავლებლის, მიხაილ ბოტვინიკის ხსოვნის პატივსაცემად ჩავიდა და ძლიერ არ შევცოდავთ, თუ ამ მატჩს ამხანაგურად მოვიხსენიებთ. მაგრამ ცოტათი მაინც შევცოდავთ — კასპაროვის და კრამნიკის ყველა პარტიის შედეგი მნიშვნელოვანია და ამხანაგობაზე აქ ვერ ვისაუბრებთ. ამათმა საჭადრაკო მტრობამ კულმინაციას შარშან ამ დროს მიაღწია, როცა კრამნიკმა ლონდონში შეძლო ის, რაც 15 წელი ვერავის მოეხერხებინა, ანუ კასპაროვს მატჩი მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული წაართვა. ფიდე შორს დგას ამ ყველაფრისგან, კასპაროვს იგი ეჯავრება, კრამნიკს „ბრაიანგეიმზთან" დადებული კონტრაქტი უბორკავს ხელფეხს და ბუნებრივია, იგი ფიდე-ს ჩემპიონატში წლეულსაც ვერაფრით ითამაშებს. დიდი სურვილიც არ ეტყობა, ფიდე-ს ჩემპიონატს ლატარიასთან გვარიანი საერთო აქვს და კრამნიკს როდი უნდა, ორ კვირაში მოზრდილი ალბათობით გემრიელი ტიტული დაკარგოს — კრემლში ხომ ვიშვანათან ანანდიდან დაწყებული, ყველა ცნობილი დიდოსტატი თამაშობს.

ბოტვინიკის მოსაგონარი მესამე მოსწავლეს, ანატოლი კარპოვსაც უნდა „შეესვა", მაგრამ ადრეც მოგახსენეთ, რომ კარპოვმა ერთიდან მეორე ბანაკში ისკუპა და დათანხმდა იმას, რაზეც წლების მანძილზე არაერთი პროტესტი გამოუთქვამს — ფიდეს ჩემპიონატში აწ უკვე ექსჩემპიონი პირველი წრიდან ჩაერთვება. უცნობია, ამისთვის კარპოვს თუ გადაუხადეს, ან რამდენი გადაუხადეს. კასპაროვი ამბობს, მეც შემომთავაზეს ამგვარი იდეა და მრგვალი თანხაცო, თუმცა ეს ყველაფერი ჩვენი წერილის თემას სცილდება. ვთქვათ მხოლოდ, რომ კარპოვის მიგრაცია ნაღდი ნოკდაუნი იყო ბოტვინიკის მემორიალისტებისთვის, საიდანაც ისინი წარმატებით გამოძვრნენ. კერძოდ, მემორიალის საპრიზო ფონდი სრულებით აღარ არის სიმბოლური, გიგანტებმა — „იუკოსმა", „ავტოვაზმა" და მისთანებმა იგი 10-ჯერ(!) გაზარდეს და 500 ათასს უწიეს. ამდენად, სპორტული ინტერესი უმთავრესი გახდა.

კასპაროვი და კრამნიკი სულ 20 პარტიას ითამაშებენ. პირველი 4 კლასიკური კონტროლით ჩაივლის 1, 2, 4 და 5 დეკემბერს, ამას მოჰყვება სწრაფი ჭადრაკის 6 პარტია და ბოლოს 10 ბლიცი. ყოველი მინი-მატჩის გამარჯვებული საპრიზო ფონდის 60 პროცენტს მიიღებს.

სულ ეს არის იმ მატჩის ამბავი, ჩვენ კი კრემლში დავბრუნდეთ, სადაც 124 ვაჟკაცი და 64 მანდილოსანი მიუჯდა დაფებს. ფიდეს წლევანდელი ჩემპიონატის მთავარი სიახლე დოპინგ-კონტროლია, რაც ჭადრაკში აქამდე არ ყოფილა. რომ არაფერი ვთქვათ ნაირგვარ აკრძალულ სტიმულატორებზე, ანაბოლიკებზე, ნარკოტიკებზე, შარდმდენებზე, პეპტიდებზე და ასე შემდეგ, პარტიის დროს ყავის სმის მნიშვნელოვანი პროცესიც მკაცრად რეგლამენტირებულია. მაგალითად, ასე: „6 საათის მანძილზე სავსებით დაშვებულია 4 ჩვეულებრივი ფინჯანი ყავის დალევა, მაგრამ თუ ამასთან თქვენ სვამთ „კოკა კოლას" ან „პეპსის", რომლებიც კოფეინს შეიცავენ, იკმარეთ ორი ფინჯანი".

დაწვრილებითაა აღწერილი შარდის ჩაბარების პროცედურა, რათა ყოველგვარი თაღლითობა გამოირიცხოს. აგრეთვე სასჯელები, რომლებიც ცოდვილებს დაედება. უმარტივესია გაფრთხილება, უმძიმესი — 100 ათასი დოლარი ჯარიმა და სამუდამო დისკვალიფიკაცია.

საქართველოს 6 მოჭადრაკე წარმოადგენს, მეტი წილი — ცხადია, ქალები. მეორე ნომერია მაია ჩიბურდანიძე, ამიტომ პირველ წრეში მეტად ადვილი მეტოქე შეხვდა — ალჟირელი ასმა ჰული, რომელსაც რეიტინგი საერთოდ არა აქვს (ჩემპიონატზე ასეთი სულ ორია). საწყის ეტაპზე კარგად აქვთ საქმეები ნანა იოსელიანს, ნინო ხურციძესა და ქეთევან არახამია-გრანტსაც. აბა, თუ გსმენიათ მათი მეტოქეების სახელები: ელინა გრობერმანი (აშშ), რამასვამი არტი (ინდოეთი), დაგნე ციუკსიტე (ლიტვა). მხოლოდ ჩემპიონატის ყველაზე საპატიო მონაწილე, ნონა გაფრინდაშვილია რთულ სიტუაციაში, მას პოლონელი მარტა ზიელინსკას ბარიერი ელის.

მოსკოვში არ არიან ზურაბ სტურუა, გია გიორგაძე და გიორგი ყაჭეიშვილი. ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველი მეტოქე შედარებით ადვილად უნდა დაამარცხოს, უზბეკ სოდალი იულდაშევს რეიტინგ-ლისტში 166 ქულით უსწრებს, ხვიჩა სუპატაშვილს კი მეტად გაუჭირდება — ალექსეი დრეევს უნდა ეთამაშოს.

იმასაც მოგახსენებთ, რომ ორი უძლიერესი მანდილოსანი — იუდით პოლგარი და ქალთა მსოფლიოს ჩემპიონი სიე ძუნი ძლიერთა სქესში გაირჯებიან. ახლა კი დროებით წერტილი დავსვათ.

**დავით გულუა**


გეპატიჟებით საბილიარდოში!



უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურეობა

მუხიანის I მიკრორაიონი, კორპუსი 3ა ტელ.: 630660



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge